ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 30 ივნისი, 2011

№153 (5534)

ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ნაპოლეონი
8 ლარი
27 ივნისიდან 11 ივლისამდე




# გუბაზმა უზნეო განცხადება გააკეთა



გვ.4

## ბაღათურიას ახალი ფრაქციის შესაქმნელად ერთი კაცი აკლდება



გვ.2

ოპოზიცია მედიაზე ზეწოლის ფაქტების გამო იებას ითხოვს



გვ.3

## ბადრი ბიწაძე შესაძლოა პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს



## ქრისტიან-დემოკრატები და მემარჯვენეები მთელი ოპოზიცია არ არის

გვ.6



გვ.5

## რატომ ჩამოვიდა საქართველოში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

## დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება

გვ.10

## „ახლებმა“ პოლიტიკა ბიზნესად აქციეს

გვ.8

საზოგადოებაში 30 ვერცხლის თემა ყოველთვის აქტუალურია



## ხელისუფლებას ოქრუაშვილის დაჭერა არ უნდა

გვ.3



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**8** დეპუტატების რაოდენობა პარლამენტმა უნდა განსაზღვროს

**3** რაზე ისაუბრეს პრეზიდენტმა და უმრავლესობამ

**7** რისთვის მიიღო გენერლობა გივი ლომინაძემ?

**5** ხელისუფლებას დათმობას მხოლოდ ხალხი აიძულებს

## პატრიარქმა დარიალის ხეობაში ეკლესიის მშენებლობა დაათვალიერა



საქართველო-რუსეთის საზღვართან, დარიალის ხეობაში ახალი სამონასტრო კომპლექსი შენდება და მისკენ მიმავალი გზა იგება.

სნო-ახალციხე-ჯუთას გზის ოთხკილომეტრიან მონაკვეთზე სამუშაოები აგვისტოში დასრულდება. პროექტი, რომელიც 948 143 ლარი ჯდება, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება.

— ეს არის სნოსკენ მიმავალი, საკმაოდ მნიშვნელოვანი გზა და შესაბამისად ეს დანაპირები სრულდება. აგვისტოში ეს გზა დასრულებული იქნება, —განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა.

ეკლესიის მშენებლობა და სნოსთან მიმავალი ახალი გზა მინისტრთან ერთად სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ დაათვალიერა და მრევლი დალოცა. მან დარიალის ხეობაში სამონასტრო კომპლექსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სნო-ახალციხე-ჯუთას გზის სიგრძე სამი კილომეტრი და 900 მეტრია. მასზე გათვალისწინებულია წყალამრიდებისათვის 11 მილხიდის გაკეთება, ვინაიდან მთებიდან ჩამოსულმა წყალმა გზა არ დააზიანოს.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტები აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების იდეას ღალატად მიიჩნევენ

ლეიბორისტული პარტია აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების იდეას აპროტესტებს.

როგორც გუშინ პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, ეს არის მოღალატეობრივ-დანაშაულებრივი იდეა და ისინი მთლიანად ჯდება მიხეილ სააკაშვილის სტრატეგიაში, რომ მოიცილოს კონფლიქტური რეგიონები და მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა.

მისი თქმით, აფხაზეთის დაკარგვა ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყო და მის დაწყებულ საქმეს მისი „სულიერი შვილი" მიხეილ სააკაშვლი აგრძელებს.

— შევარდნაძემ საქართველოს ისტორიაში მძიმე როლი შეასრულა, რაც აფხაზეთის დაკარგვას უკავშირდება. მან დაიწყო ქართველი საზოგადოების იდეოლოგიური შემზადება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, რის პირველ შედეგსაც წარმოადგენს ექსპერტ მამუკა არეშიძის იდეა, — განაცხადა შატბერაშვილმა და დასძინა, რომ არეშიძის ნათქვამს პარტია სერიოზულად არ აღიქვამს.

შატბერაშვილის თქმით, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება შესაძლებელია „ისტორიის ჩარხის" ისე შემობრუნებით, როგორც ეს აჭარის შემთხვევაში მოხდა.

— როგორც კი ეს მახინჯი ხელისუფლება დატოვებს ძალაუფლებას, გარდაუვლად დაიწყება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება. საქართველოს უაფხაზეთოდ წარმოდგენა იგივეა, რაც საქართველო უთბილისოდ. ვისაც ეს თავში იდეადაც კი მოუვა, ეს სხვა არაფერი იქნება, თუ არა ღალატი, — დასძინა სატბერაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ბალათურიას ახალი ფრაქციის შესაქმნელად ერთი კაცი აკლდება

### ოპოზიცია მედიაზე ზეწოლის ფაქტების გამო იებას ითხოვს

ნანა მიშელაშვილი

**ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ხელმოწერის შეგროვება დაიწყეს. ოპოზიცია მედიაზე ზეწოლის ფაქტების გამოძიებას მოითხოვს და ამ მიზნით სპეციალურ მიმართვას პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე ამზადებს.**

პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმის მოთხოვნას გუშინ ექვსმა დეპუტატმა უკვე მოაწერა ხელი. გუშინ 5-მა დეპუტატმა ერთობლივი ბრიფინგი გამართა და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

„ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოებას და დიპლომატიურ კორპუსს უკვე გააცნო.

— გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ იქნება კონკრეტულად ვინმეს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება, ჩვენ გამოვიძიებთ, როგორც ხელისუფლების მხრიდან მედიაზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებს, ასევე კერძო პირებისა და ოპოზიციის მხრიდან ჟურნალისტური საქმიანობის ხელშემშლელ ფაქტებსაც, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქართული დასის" ლიდერმა საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას მხარდაჭერისაკენ მოუწოდა.

დავით ბაქრაძის სახელზე გამზადებული მიმართვა გუშინ ჟურნალისტებს დიმიტრი ლორთქიფანიძემ გააცნო. მიმართვაში დეპუტატებს ერთადერთი მოთხოვნა აქვთ, პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას.

— პარლამენტის რეგლამენტის 54-ე მუხლის თანახმად, 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციების და ტელეკომპანია „იმედის" დარბევის, თავისუფალ მედიაზე ზეწოლის, მედიის სხვადასხვა საშუალებების ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფის და 2011 წლის 26 მაისის დროს ზღვარგადასული სისასტიკის გამოვლინების ფაქტების, (რომელსაც მოჰყვა უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი) შესწავლის მიზნით გთხოვთ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დააყენოთ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი, — ნათქვამია მიმართვაში.

ეს მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარეს მას შემდეგ გადაეგზავნება, რაც 30 დეპუტატის ხელმოწერა შეგროვდება. ამ დროისთვის კი, საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნას ხელს ექვსი ოპოზიციონერი დეპუტატი აწერს: ჯონდი ბაღათურია, პეტრე მამრაძე, თამაზ დიასამიძე, კარლო კოპალიანი, დიმიტრი ლორთქიფანიძე და გიორგი ცაგარეიშვილი.

ბრიფინგზე ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ ამ მიმართვას მხარს უჭერს ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატი რომან მარსაგიშვილი, თუმცა, როგორც მარსაგიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი მიმართვას ხელს არ აწერს.

გუშინ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ცაგერის მაჟორიტარმა კარლო კოპალიანმა განაცხადა, რომ 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ მან კატეგორიულად მოითხოვა საგამოძიებო კომისიის შექმნა. კოპალიანი იმ ფაქტსაც აპროტესტებს, რომ 26 მაისს, მას ბორკილები დაადეს და პოლიციის სამმართველოში მიჰყავდათ.

— როდესაც გაიგეს, ვინ ვიყავი, შეცდომის გამოსწორება სცადეს და ელიავას ბაზრობის მიდამოებში ჩამომსვეს. კატეგორიულად მოვითხოვ საგამოძიებო კომისიის შექმნას. თუ როგორი დემოკრატიის შუქურაა საქართველო და როგორი დემოკრატიაა, ეს გამოჩნდა 26 მაისს თუნდაც ჩემს მაგალითზე, პარლამენტის წევრი თავისი იმუნიტეტით დაცულია, რიგით პოლიციელს არა აქვს უფლება, ხელი სტაცოს და წაიყვანოს მშვიდობიან აქციაში მონაწილე პირი, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა განმარტა, რომ იგი 26 მაისს იგი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა დააკავეს.

— ალბათ გახსოვთ ჩანტლატის სპექტაკლი, სარაჯიშვილი როგორ დავიჭირო ოპერის წინ სიმღერისათვისო, ასე მომივიდა, პარლამენტარი დაიჭირეს პარლამენტის წინ მშვიდობიან აქციაში მონაწილეობისათვის, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

ცაგერის მაჟორიტარმა ქართულ ინტელიგენციას მოუწოდა 26 მაისს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს.



— 26 მაისს საშინელება ვნახე. არ მინდა ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც ადამიანს განსხვავებული აზრის გამოთქმის საშუალება არა აქვს, პარლამენტი არის ხალხის მიერ არჩეული ორგანო და ვალდებულია საგამოძიებო კომისია შექმნას და რეალური ფაქტები დადოს, — ასეთია ცაგერის მაჟორიტარის პოზიცია, რომელიც საკუთარ კოლეგებს მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ საგამოძიებო კომისიის შექმნას.

ბრიფინგზე განცხადება გააკეთა პეტრე მამრაძემ. მან უცხოელი ჟურნალისტების შეფასებები მოიყვანა 26 მაისთან დაკავშირებით.

— ისინი აღნიშნავენ, რომ აქციას არაფერი ჰქონდა საერთო აქციის დაშლასთან, ეს იყო ალყის შემორტყმისა და სასტიკი ფიზიკური ანგარიშწორების აქცია, — აღნიშნა მამრაძემ.

დამოუკიდებელი დეპუტატის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციები — გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო, ევროგაერთიანება, აშშ-ს კონგრესი, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ითხოვენ დამოუკიდებელ გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას.

— ამაზე პასუხი არის თავხედური ქვეყნის პირველი პირების, პირადად სააკაშვილის მხრიდან, რომ პოლიციამ შესანიშნავად იმუშავა, პოლიციის პროფესიონალიზმი გაიზარდა. პრესიდან ვიცით, რომ 1000 ლარზე მეტი მიიღეს პრემიები პოლიციელებს, ეს არის ის ზღურბლი, რაზედაც შესანიშნავად თქვა ირაკლი სესიაშვილმა: თუ გავჩერდებით, გუანტანამოს ციხეს დაამსგავსებენ ქვეყანას. არ შეიძლება ჩვენი გაჩერება, — აღნიშნა მამრაძემ.

პეტრე მამრაძის განმარტებით, მიმართვაზე ხელმოწერის შემდეგ გამოჩნდება, ვინ უჭერს მხარს კანონიერებასა და დემოკრატიას და ვინ ემსახურება ამ ხელისუფლების რეჟიმს.

გუშინ, ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებს აუწყა, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე, როგორც უმცირესობის წევრი, მოლაპარაკებას გამართავს უმცირესობაში შემავალ ორივე ფრაქციის ლიდერთან — გია თორთლაძესთან და გიორგი თარგამაძესთან.

იმ შემთხვევაში თუ ორივე ფრაქცია ხელს მოაწერს, 21 დეპუტატის ხელმოწერა ექნებათ, ბაღათურიას ლეიბორისტების იმედიც აქვს. 4 ლეიბორისტი მართალია პარლამენტში არ დადის, მაგრამ მათ ხელმოწერის დაფიქსირება შეუძლიათ ნებისმიერ დოკუმენტსა თუ მიმართვაზე.

ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ მათი მიზანია პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას, რადგან დაუსჯელი დანაშაული ახალ დანაშაულს შობს.

— მიზანი არის, ახალი დანაშაულის პრევენცია მოვახდინოთ, ანუ დავსაჯოთ ყველა დანაშაულის თანამონაწილე და ინიციატორი, ვინც ასეთი დარღვევა ჩაიდინა, — აღნიშნა ბაღათურიამ. „ქართული დასის" ლიდერს იმედი აქვს, რომ პარლამენტი ამ ზაფხულს არაერთ რიგგარეშე სხდომას ჩაატარებს და ამ დროს საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი დადგება.

— საკითხის კენჭისყრაზე დაყენება არ ნიშნავს იმას, რომ კომისია შეიქმნება, ეს წარმატებულ პიარს ნიშნავს, მაგრამ ჩვენ კომისიის შექმნა გვსურს. ჩვენ არ გვინდა სადემარკაციო ხაზი გაივლოს პარტიული ნიშნით, რომ უმრავლესობა და ოპოზიცია ერთმანეთს რაღაცას ეჭიდავება, — აღნიშნა ბაღათურიამ და დეპუტატებს მოუწოდა გუნდის ინტერესებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესებს დაუჭირონ მხარი და კომისიის შექმნის შესახებ მიმართვას ხელი მოაწერონ.

მას შემდეგ, რაც 30 დეპუტატის ხელმოწერა შეგროვდება, ოპოზიცია მიმართვას პარლამენტის თავმჯდომარეს გაუგზავნის. ამის შემდეგ კი პარლამენტში კომისიის შექმნის პროცედურა დაიწყება. ვინაიდან 30 ხელმოწერის შეგროვება ოპოზიციას უჭირს, პარლამენტში ამ დრომდე საგამოძიებო კომისია არ შექმნილა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უმრავლესობა ოპოზიციის მოთხოვნას მხარს არასდროს არ უჭერს, ამ შემთხვევაშიც, პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა სათუოა. ამდენად, ამ პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას არ უნდა ველოდოთ.

კომისიის შექმნის იდეამ რამდენიმე დეპუტატი მჭიდროდ დააკავშირა. ოპოზიციაში „ახალი პერეტრუბაციები" იწყება. კერძოდ, პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნის თეორიული შანსი გაჩნდა, თუმცა, მისი პრაქტიკულად განხორციელება ცოტა „შრომატევადია".

საგამოძიებო კომისია ერთ-ერთი საკითხია, რაზეც 5 დეპუტატი ერთმანეთს დაუმეგობრდა. კარგა ხანია, რაც ჯონდი ბაღათურია ახალი ფრაქციის შექმნას ცდილობს, თუმცა, ამას ამ დრომდე ვერ აღწევს.

პარლამეტში ახალი ფრაქციის შექმნისთვის 6 დეპუტატია საჭირო. ბაღათურიას ერთი დეპუტატი აკლია და ახალ ფრაქციას შექმნის. ეს ერთი დეპუტატი თითქოს მოძებნილი ჰყავდა, თუმცა, როგორც ამბობენ, ბაღათურიას ფრაქციის შექმნის მცდელობა ჯერჯერობით უშედეგოდ დაუმთავრდა.

ამჯერად, კომისიის შექმნის მოთხოვნას ხელი 6-მა დეპუტატმა მოაწერა: ჯონდი ბაღათურიამ, პეტრე მამრაძემ, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, თამაზ დიასამიძემ, კარლო კოპალიანმა და გიორგი ცაგარეიშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ ცაგარეიშვილმა კომისიის შექმნის საკითხს ხელი მოაწერა, ის ახალ ფრაქციაში შესვლას არ აპირებს. ცაგარეიშვილი კატეგორიულად გამორიცხავს ახალ ფრაქციაში შესვლას.

რაც შეეხება დანარჩენ დეპუტატებს, ისინი არ მალავენ, რომ ფრაქციის შექმნის თეორიული შანსი არსებობს. კითხვაზე შეიქმნება თუ არა პარლამენტში ახალი ფრაქცია, პეტრე მამრაძემ ასე უპასუხა, თუ ფრაქციის შექმნის იდეა გაჩნდება, მისი მხრიდან პრობლემა არ იქნება. მეტიც, პეტრე მამრაძეს ფრაქციაში არც თანამდებობები აინტერესებს და არც მისი თავმჯდომარის თუ ვიცესპიკერის ვინაობა. — თუ იქნება 5 კაცი, მე-6 მე აუცილებლად ვიქნები, — უთხრა მამრაძემ ჟურნალისტებს.

ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე კი აცხადებს, რომ ახალი ფარქციის შექმნის თეორიული შანსი ნამდვილად არსებობს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე რაიმე გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურიას კი „ვირტუალურ და თეორიულ შესაძლებლობებზე ლაპარაკი" ახლა არ სურს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე ახლა ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" წევრია. თუ ის ამ ფრაქციას დატოვებს, ამ შემთხვევაშიც კი გია თორთლაძის ფრაქცია არ დაიშლება, რადგან თორთლაძის ფრაქციაში 7 დეპუტატია და ერთი დეპუტატის წასვლა ფრაქციის დაშლას არ გამოიწვევს.

მოძებნის თუ არა ბაღათურია ერთ დეპუტატს ახალი ფრაქციის შესაქმნელად? დაამთავრებს თუ არა მეშვიდე მოწვევის პარლამენტი თავის საქმიანობას ახალი ფრაქციით? ამის თქმა რეალურად ძნელია, თუმცა, ამ ეტაპზე, ფრაქციის შექმნის თეორიული შანსი მაინც არსებობს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# რაზე ისაუბრეს პრეზიდენტმა და უმრავლესობამ

ნანა მიშელაშვილი



გუშინ საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტთან შეიკრიბა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრაზე ერთ-ერთი საკითხი საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული შეთანხმება გახდა. ამ შეთანხმებას ნაციონალური მოძრაობის გარდა ხელი მოაწერეს: ახალმა მემარჯვენეებმა, ქრისტიან-დემოკრატებმა, ედპ-მ, გია თორთლაძის დემოკრატიულმა პარტიამ და „ჩვენ თვითონ“.

კულუარული ინფორმაციით, პრეზიდენტთან შეხვედრისას დეპუტატთა რაოდენობის გაზრდაზეც იყო საუბარი. დეპუტატთა რაოდენობა ახალ პარლამენტში 190-მდე გაიზრდება. 83 დეპუტატი მაჟორიტარული წესით აირჩევა, ხოლო 107 კი პარტიული წესით.

უმრავლესობის წევრები ახლა იმ საკითხის გადაწყვეტით არიან დაკავებული, როგორ გაზარდონ დეპუტატთა რაოდენობა. თავის დროზე, პარლამენტის წევრთა შემცირება რეფერენდუმის გზით მოხდა. ახლა კი დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გარდა რეფერენდუმის შესახებ კანონში ახალი ჩანაწერის გაკეთებაც სჭირდება.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, უმრავლესობის წევრებმა ზოგადი კომენტარები გააკეთეს. მათი განმარტებით, შეხვედრაზე განიხილეს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები, ასევე ის კანონპროექტები, რომლებზეც პარლამენტში მიმდინარეობს მსჯელობა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილის განცხადებით, შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო ოპოზიციის ნაწილისა და ხელისუფლების შეთანხმებას საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით.

— პრეზიდენტის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხერხდა შეთანხმება ოპოზიციის ერთ ნაწილთან და ის, რომ ჩვენი მიზანია სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რათა პირველ რიგში ჩვენს მოქალაქეებს და საერთაშორისო საზოგადოებას ჰქონდეს სრული ნდობა საქართველოში საარჩევნო პროცესის მიმართ, — აღნიშნა გოკა გაბაშვილმა.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ასევე განმარტა, რომ პრეზიდენტთან შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს და იმ პროექტებს, რომელიც საქართველოში ხორციელდება.

— საუბარი იყო ტურიზმზე, ბათუმისა და ანაკლიის პროექტზე, ასევე სხვადასხვა მიმართულებებზე, რომელმაც უნდა გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდა და დასაქმება საქართველოში, — განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

კიდევ რაზე ისაუბრეს მმართველი გუნდის წევრებმა პრეზიდენტთან? იყო თუ არა საუბარი ამ შეხვედრაზე საკადრო საკითხებზე? ამაზე უმრავლესობის წევრები არაფერს ამბობენ.

## „ქართული პარტია“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნას შეუერთდა



„ქართული პარტია“ უერთდება ლეიბორიტული პარტიის მოწოდებას, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, ეროვნულ-პოლიტიკური იმპიჩმენტის თაობაზე.

აღნიშნულ დოკუმენტს „ქართული პარტიის“ თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა ხელი გუშინ მოაწერა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ მოწოდებას ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ შეუერთდა.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებას ოქრუაშვილის დაჭერა არ უნდა

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, პროკურატურამ კვლავ განაახლა ირაკლი ოქრუაშვილზე სისხლის სამართლებრივი დევნა. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე, ახალი მტრის ხატის შექმნას ცდილობს ამით ხელისუფლება?***

— უბრალოდ ხელისუფლებამ მას შემდეგ, რაც ეს კადრები გაავრცელა და ფაქტობრივად სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის სურათი შექმნა, ცხადია, ჯოხი ყოველთვის ვერ გადატყდება გაურკვეველ ადამიანებზე. ამიტომ ხელისუფლებას სჭირდებოდა, ასე ვთქვათ, ლიდერების დასჯა, მათ შორის საზოგადოების თვალში, იმიტომ, რომ როდესაც ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ მთელი შავი პიარკამპანია აგორდა და ხან რომელი არხი ამბობდა, რომ რუსეთის აგენტი იყო და ხან რომელი არხი გვიცხადებდა, რომ ბურჯანაძე აპირებდა, ასე ვთქვათ, დროშის ტარებით რევოლუციის მოწყობას, ბურჯანაძეს ხელს არ ახლებენ და ჩვენ ამას კარგად ვხედავთ. ამ შემთხვევაში ბადრი ბიწაძე ამოირჩიეს სამიზნედ. ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევაში, ოქრუაშვილი რომ თბილისში იყოს, შესაძლოა მის წინააღმდეგ არც აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე, იმიტომ, რომ მაინც პოლიტიკური ლიდერია, მაინც გარკვეული პოლიტიკური წონა აქვს, როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო საზოგადოების თვალში, მაგრამ იმ კუთხით, რომ ის იმყოფება საზღვარგარეთ და ეს პროცესი ლოგიკურია, სწორედ ამიტომ ძალიან მარტივად აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისად განაჩენსაც გამოუტანენ და ეს იქნება მისი მორიგი დევნის საფუძველი.

***— რამდენად რეალურად გეჩვენებათ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კომპრომატები?***

— რეალურად გვქონდა თუ არა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან საქმე, ეს ჩემი მხრიდან ძალიან ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ არც დეტალები ვიცი და არც კონკრეტული მტკიცებულებების გაცნობის საშუალება მაქვს. მე შემიძლია გითხრათ, რომ ის, რა კადრებიც გვანახა ხელისუფლებამ, არადამაჯერებელია მარტივად რომ ვთქვათ, იმიტომ, რომ გეგმა, რომელიც ოქრუაშვილს ჰქონდა, როგორც ხელისუფლება აცხადებს, მხოლოდ სულელი თუ შეიმუშავებს ასეთ გეგმას. მე არ მგონია, რომ 200 კაცით ვინმე სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდეს და ბლოკპუნქტების დაკავებას, მაშინ, როდესაც არსებობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები და ზუსტად 15 წუთში ამ ორასივეს გაანადგურებ. მით უმეტეს, რუსები თავის 200 სპეცრაზმელს არ გაგანადგურებინებენ, რომ მერე სააკაშვილმა თქვას — აი, ჩვენ მტერი დავამარცხეთო. ამას უბრალოდ რუსები არ იზამენ. ასევე ცოტა არ იყოს კომიკურ სიტუაციას ვილებთ, არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, თავი გაწირონ სამშობლოსთვის, იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება შეცვალონ. თავი გაწირონ პირდაპირი მნიშვნელობით, იმიტომ, რომ მათ კარგად იციან, რომ თუ ასეთ საქმეს მოკიდებენ ხელს, ცხადია, ისინი მიდიან სამუდამო პატიმრობის მუხლით. ასეთ ადამიანებს იჭერენ და იმ დღესვე, რაც კი შეიძლება, რომ აღიარებითი



ჩვენება მისცეს ადამიანმა, ყველა ყველაფერს ლაპარაკობს, თითქოს საზეპირო გაკვეთილი იყოს, რომ ხუთიანზე ჩააბარო გამოძიებას. დედამიწის ზურგზე არ ხდება ის, რომ ადამიანები ჩადიან რაღაც უმძიმეს დანაშაულებს და მერე მიდიან და ყვებიან ყველაფერი ასე და ასე გავაკეთეო. მსგავსი პრეცედენტ არსად არ მინახავს. თუ ადამიანმა რაღაც დანაშაული ჩაიდინა, თავისთავად ის ეცდება, რომ საკუთარი თავი დაიცვას.

***— სცენარი ყოველთვის ერთი და იგივე აქვს ხელისუფლებას და საზოგადოებას ნაკლებად სჯერა ამ ყველაფრის...***

— ჩვენი დაჯერება არ დაჯერების საკითხი სიმართლე რომ გითხრათ, ნაკლებად ადარდებს ხელისუფლებას. ხელისუფლებას აქვს თავისი ამოცანა, რომ არჩევნებამდე უნდა მივიდეს რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რისკებით. რაც უფრო მეტს დაიჭერს, რაც უფრო მეტი გაატარებს თუნდაც ორთვიან პატიმრობას ციხეში, მით უფრო უშიშრად და წყნარად ჩაატარებს ხელისუფლება არჩევნებს. შეიძლება არც ისე ძვირი დაუჯდეს, როგორც წინა შემთხვევებში, იმიტომ, რომ რაც უფრო დაბალი იქნება პოლიტიკური ტემპერატურა, მით უფრო იაფი დაუჯდება ხელისუფლებას მომავალი არჩევნები. აი, ამასთან გვაქვს საქმე. დანარჩენი, სიმართლე რომ გითხრათ, ხელისუფლებას, ნაკლებად ადარდებს ოქრუაშვილის უკან პუტინი დგას თუ ობამა. ნაკლებად ადარდებს, იმიტომ, რომ თავად ეს ხელისუფლება უკვე მიუღებელია დასავლეთისთვის. მე ვფიქრობ, რომ რუსეთისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე დასავლეთისთვის. იმიტომ, რომ ის პროცესები რაც დღეს საქართველოში მიდის, მხოლოდ რუსეთის ინტერესშია, როგორც ეკონომიკური კუთხით, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. სწორედ არადემოკრატიული ხელისუფლების პირობებში, პერსპექტივა იმისა, რომ კონფლიქტები მოგვარდეს და დეოკუპაცია განხორციელდეს, ფაქტობრივად წარმოუდგენელია.

***— ბატონო ირაკლი, თქვენ საუბრისას არჩევნები ახსენეთ და აქვე მინდა, რომ რვიანის შესახებაც გკითხოთ. რას ფიქრობთ იმის შესახებ, რაც რვიანში მოხდა? ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ამ ორ პარტიაზე ზეწოლას თუ მათი მოსყიდვა მოხდა?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს სცენარი წინასწარ იყო დაწერილი ხელისუფლების მიერ, უბრალოდ, ხელისუფლებას უნდოდა, რომ მეტი პარტია დათანხმებულიყო მათ მიერ გადმოგდებულს. მე ქრისტიან-დემოკრატებს არ ვამტყუნებ, მათ ასეთი სტილის პოლიტიკური კურსი აქვთ აღებული — ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, სახელისუფლებო მედიაში ადგილის დამკვიდრება, კონსტრუქციული, გაწონასწორებული, ანუ ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე პოლიტიკის გატარება და ამით ნელ-ნელა ეტაპობრივად გარკვეული პოლიტიკური სკამების დაკავება. თუ წინა არჩევნებზე 7% აიღეს, ამ არჩევნებზე ალბათ ცოტა მეტს აიღებენ. ასე რომ, ქრისტიან-დემოკრატების მიმართ პრეტენზია არა მაქვს იმ კუთხით, რომ რაც არიან, ეს არიან. მემარჯვენეებისგან, სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი, იმიტომ, რომ ყოველთვის პრინციპულები იყვნენ, ყოველთვის იდგნენ სიმართლის დაცვის მხარეს და მათგან რატომღაც არ მოველოდი, მაგრამ ალბათ ისინიც, როგორც იტყვიან ხოლმე, პოლიტიკურად გატყდნენ და იფიქრეს, რომ სულ არაფერს ეს სჯობია, რაღაცა მაინც მივიღოთ ხელისუფლებისგანო, ანუ დავემსგავსოთ ქრისტიან-დემოკრატებსო. თუმცა, მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ისინი გარკვეულ კრიტიკულ მომენტში თავის სიტყვას მაინც იტყვიან. რაც შეეხება დანარჩენ ორ პარტიას — ედპ და მე თვითონო, თუ ჩვენ თვითონო, არ ვიცი, რა გითხრათ, მათ თუ სტატუსი აქვთ პოლიტიკური პარტიის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი პოლიტიკური პარტიები არიან. შეგიძლიათ უმეტეს შემთხვევაში არ მოიხსენიოთ ჩემი მხრიდან, როგორც პოლიტიკური პარტიები.

***— რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ, ხელისუფლება დაამტკიცებს მის მიერ წარმოდგენილ პაკეტს ამ სახით?***

— იცით რა, ჭრიან და კერავენ, აქამდე არ გაუტანიათ თუ რა? თუმცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების პოზიციას. ის, რომ პარლამენტის რიცხოვნობასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა ქვეყანაში და თუ ამ რეფერენდუმის გვერდის ავლით შეიტანს ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებას, რა თქმა უნდა, ეს იქნება მორიგი დიქტატორული ქმედება ჩვენს ქვეყანაში, ეს არც არავის არ გაუკვირდება, მაგრამ მაინც... ყველაფერი დამოკიდებულია დარჩენილი ექვსიანის ერთობაზე, ამ ერთობის ხარისხზე და იმ პოლიტიკურ ვაჟკაცობაზე, რაც მათ მოეთხოვებათ. თუნდაც ერთი ფართომასშტაბიანი დემონსტრაციის ჩატარება, რათა მინიმუმ დასავლეთმა მაინც დაინახოს, რომ თუ მხარი არ დაეჭირება რეალურ ცვლილებებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის, 2012 წელს ჩვენ გვექნება სერიოზული პოლიტიკური კრიზისი. უფრო მეტი ძალადობა, ვიდრე ეს იყო 7 ნოემბერს, უფრო მეტი, ვიდრე ეს იყო 26 მაისს.

***— დარჩენილი ექვსიანი აცხადებს, რომ ისინი გააქტიურდებიან სამოქალაქო კუთხით და აქციების ჩატარებასაც გეგმავენ, თუმცა, რამდენად შედეგიანი იქნება, ეს მეორე საკითხია...***

— იცით რა, ამდენ დაპირებას და მუქარას სჯობია, რომ პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ. დღეს ყველაფერი მაინც საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

# ბადრი ბიწაძემ შესაძლოა პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს



ბადრი ბიწაძის ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლევან სამუშიამ განაცხადა, სასამართლოსა და გამოძიების მხრიდან ბიწაძის მიმართ ადგილი აქვს მისი უფლებების დარღვევას და არაობიექტურ გამოძიებას, რაც შეიძლება გახდეს საფუძველი, რომ ბადრი ბიწაძემ პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს.

ლევან სამუშიას თქმით, ირღვევა ბრალდებულის უფლებები, როდესაც მის ადვოკატს ეზღუდება სისხლის სამართლის საქმის მასალების მოპოვება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან. ლევან სამუშია აღნიშნავს, რომ მას არ აძლევენ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ფარულ ვიდეო და აუდიო მასალებს, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საშუალებით 27 მაისს უტიაშვილის პრესკონფერენციის შემდეგ გავრცელდა და რომელთან დაკავშირებითაც ითქვა, რომ ბადრი ბიწაძე ამ მტკიცებულებების საფუძველზე კონსტიტუციური რეჟიმის შეცვლას აპირებდა.

სამუშიას განცხადებით, ეს მასალები გამოძიებამ საქმეში, როგორც მტკიცებულებები არ ჩადო. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მან ოფიციალურად მიმართა, რომ აღნიშნული მასალები გადაეცათ, ვინაიდან აპირებენ ჩაატარონ კვლევა, არის თუ არა ეს მასალები ავთენტური, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს მასალები მას არ გადასცა, რის შემდეგაც ადვოკატმა სასამართლოს მიმართა.

ადვოკატი აღნიშნავს, რომ მოსამართლის თანაშემწისგან უარი მიიღო. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილებაც უკანონოა. მოსამართლის თანაშემწე ტექნიკური წარმომადგენელია და მას არ უნდა გაეცა პასუხი ადვოკატის მოთხოვნისთვის. სამუშიას თქმით, მოსამართლის თანაშემწის პასუხს ვერც გაასაჩივრებს. ადვოკატი აპირებს, რომ კანონით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს მიმართოს და ვიდეომასალა გამოითხოვოს.

**ინტერპრესნიუსი**

# თინათინ ხიდაშელი საერთაშორისო კონფერენციაზე მიიწვიეს



თინათინ ხიდაშელი ვილნიუსში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს მაღალი დონის ფორუმში „ახალგაზრდა ლიდერები დემოკრატიის სადარაჯოზე: გამოწვევები და შესაძლებლობები“.

30 ივნისს თინათინ ხიდაშელი კონფერენციაზე სიტყვით გამოვა. აღნიშნული კონფერენცია ყოველწლიურად იმართება და დემოკრატიული მსოფლიოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა.

მას წელს ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო მასპინძლობს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვლენ: ამერიკის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი, ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ბარონესა კატრინ ეშტონი, გაეროს ცივილიზაციათა ალიანსის უმაღლესი წარმომადგენელი ჟორჟ სამპაიო, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადისლავ სიკორსკი, უნგრეთის, მოლდოვას, ტუნისის, ბენინის საგარეო საქმეთა მინისტრები.

კონფერენცია სამ დღეს გასტანს და მსოფლიოში დემოკრატიის მხარდასაჭერად ვილნიუსის დეკლარაციის მიღებით დასრულდება.

**მედიანიუსი**

# გუგავამ უზნეო განცხადება გააკეთა

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ხალხის პარტიის ლიდერ კობა დავითაშვილთან

***— ბატონო კობა, დიდი მცდელობის მიუხედავად, რვიანი მაინც დაიშალა, თქვენმა პარტიამ მსხვერპლიც კი გაიღო რვიანის ფორმატის შესანარჩუნებლად, ალეკო შალამბერიძის გასვლა მაქვს მხედველობაში... როგორია თქვენი შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა?***

— ფაქტობრივად ხელისუფლებამ გამოაცხადა საჯარო ტენდერი, ასე ვთქვათ იმ ოპოზიციურ პარტიაზე, ვინც დაშლიდა რვიანს. ამ ტენდერში ორმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა. ახალი მემარჯვენეების როლი იყო ნემსკავზე ჩამოგებული ჭიაყელისა, რომელიც ხელისუფლებამ გადაუგდო, რათა დაეჭირათ თევზი ქრისტიან-დემოკრატების სახით. პრაქტიკულად ხელისუფლებამ თავის მიზანს მიაღწია, მაგრამ ბოლომდე ვერ მიაღწია მიზანს, რადგან ხელისუფლების მიზანი იყო რვიანის დაშლა ანუ ამოცანა იყო, რომ დანარჩენ პარტიებსაც უნდა განეცადათ დემორალიზაცია, ამ უპრეცედენტო ფაქტის გამო და ამის შედეგად უნდა მომხდარიყო საერთოდ დაშლა; ანუ წინააღმდეგობის შეწყვეტა ყველა მონაწილის მხრიდან, რაც არ მოხდა. ჩვენ ერთად ვართ და ვაგრძელებთ ბრძოლას, ბუნებრივია, უფრო რთულ პირობებში, ვიდრე აქამდე ვაწარმოებდით, მაგრამ ბრძოლა გრძელდება. დანაკლისი მნიშვნელოვანია, ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ მეორე მხრივ, არის დადებითი მომენტებიც.

***— დადებითში რას გულისხმობთ?***

— საქმე ისაა, რომ ეს ტენდერი, როგორც ჩანს, კარგა ხანია გამოცხადებულია, უბრალოდ, საჯაროდ გამოცხადდა ცოტა ხნის წინ და ეს ორი პარტია საბაბს ეძებდა რვიანის დასაშლელად.

***— მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ ეს ყველაფერი წინასწარ დაწერილი სცენარით მიმდინარეობდა...***

— ვეთანხმები ამ შეფასებებს იმიტომ, რომ საბაბის ძებნა მიდიოდა უკვე კარგა ხანია და ჩვენ, დანარჩენი პარტიები, ვისაც გვესმოდა რვიანის მნიშვნელობა, საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც რვიანს გააჩნდა, არ გვინდოდა რა რვიანის დაშლა, ფაქტობრივად ვცდილობდით, რომ არ მიგვეცა საბაბი რვიანის დაშლის მოსურნეთათვის. მე მინდა შეგახსენოთ ეტაპები, როგორ ხდებოდა ეს: ჯერ კიდევ მარტის თვეში, გახსოვთ, რვიანმა გააკეთა ერთობლივი განცხადება, რომ ჩვენ არ ვწყვეტთ მოლაპარაკებებს, მაგრამ განვაახლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება რაიმე რეალურს შემოგვთავაზებს. მაშინ უფრო რადიკალური პოზიცია ეკავათ ახალ მემარჯვენეებს, დავით გამყრელიძე გვარწმუნებდა, რომ საერთოდ შეგვეწყვიტა მოლაპარაკებები. მე მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ეს იქნებოდა ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა იმიტომ, რომ ხელისუფლებას სჭირდებოდა დასავლეთის თვალში, რომ რვიანმა და ოპოზიციამ ჩაშალა მოლაპარაკებები და არა ხელისუფლებამ. მაშინ პირველად, მემარჯვენეებისგან წამოვიდა საკითხის კატეგორიული დასმა, რომ თუ თქვენ არ მიიღებთ ამ გადაწყვეტილებას, რომ შევწყვიტოთ მოლაპარაკებები, მაშინ ჩვენ ცალკე მივიღებთ ამ გადაწყვეტილებას და შევწყვეტთ მოლაპარაკებას. ანუ რვიანის დაშლის მუქარა მემარჯვენეებიდან იყო ჯერ კიდევ მარტში. ჩვენ მოვძებნეთ კომპრომისული ფორმულირება, რომელიც არ გამოიწვევდა ჩვენი გზის მარცხს და იმავდროულად შევინარჩუნებდით რვიანს. ეს იყო ის, რომ ჩვენ არ შევწყვიტეთ, მაგრამ შევაჩერეთ მოლაპარაკებები და გამოვთქვით მზადყოფნა, როდესაც ისინი მზად იქნებოდნენ რეალური მოლაპარაკებებისთვის, კვლავ დავბრუნებოდით მოლაპარაკების მაგიდას. ტენდერის განცდა იცით რატომ მიჩნდება?

***— რატომ?***

— როგორც კი ეს მოხდა, გამოვიდა ლევან ვეფხვაძე და განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება გვქონდა, რომ არავინ არ უნდა წასულიყო იმ მოლაპარაკებაზე, რადგან ასე შევთანხმდით, ლევან ვეფხვაძე მივიდა იქ და განაცხადა, რომ მე ვიქნები შუამავალი რვიანსა და ხელისუფლებას შორისო. შუამავალი ვერ იქნება ერთ-ერთი მხარის ნაწილი, არსებობენ მხარეები და არის შუამავალი. შუამავალი არ არის მხარე. ეს ნიშნავდა ფაქტიურად, რომ ქრისტიან-დემოკრატებმა, ასე ვთქვათ, განაცხადი გააკეთეს, რომ ჩვენ ვიქნებით შუამავლები, ანუ არ ვიქნებით რვიანში. დაიწყეს ტენდერში მონაწილეობა მემარჯვენეებმა და იქვე ამ ტენდერში ჩაერთვნენ ქრისტიან-დემოკრატები. ჩვენ მაშინ ეს გავატარეთ, მივხვდით რაშიც იყო საქმე, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო ოპოზიციის უმეტესობა ყოფილიყო ერთად და არ მოეწერა ხელი და ჩვენ ასევე არ გვინდოდა საბაბის მიცემა. ჩვენ არ ვეძებდით საბაბს რვიანის დასაშლელად, საბაბს ეძებდნენ მემარჯვენეები და ქრისტიან-დემოკრატები. დაიწყო ძალიან რთული მუშაობა, სადაც თან საზოგადოების მხარდაჭერა უნდა მოგვეპოვებინა, თან საერთაშორისო მხარდაჭერა და თანაც არ დაგვეშალა რვიანი, იმიტომ, რომ ყველგან საერთაშორისო მხარდაჭერის წინაპირობა ყოველთვის იყო, რომ — არ დაიშალოთ. ყველა აქ ჩამოსული იქნებოდა აპატურაი, ქეიდენაუ, იქ ჰილარი კლინტონის ცნობილი განცხადება, თუ სხვა საუბრები, ყველაფერი შეიცავდა ელემენტს, რომ ოპოზიცია უნდა იყოს ერთიანი. შემდეგი ეტაპი იყო უკვე სამოქალაქო მოძრაობის ეტაპზე გადასვლა, 26 მაისის მერე, როდესაც გააქტიურება იყო აუცილებელი ელემენტი, მაშინ წინააღმდეგობა ამ მოძრაობის შექმნას გაუწიეს ახლებმა. კვლავ ახლებმა დაიწყეს და თქვეს, რომ ჩვენთვის ეს მიუღებელია, ჩვენ ამას მხარს არ დავუჭერთ. როდესაც ახლები ასეთ პოზიციაზე დადგნენ, ქრისტიან-დემოკრატები იყვნენ ჩუმად, თუმცა მოგვიანებით ისინიც ჩაერთვნენ ამ ტენდერში.



**ხელისუფლებამ რვიანის დასაშლელად ტენდერი გამოაცხადა — გაიმარჯვეს ახლებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა**

***— შემდეგ რა ხდება?***

— შემდეგი იყო აქციების თემა. 7 ივნისია, ვიკრიბებით და ვაცხადებთ, რომ ჩვენთვის არც ერთი ბრძოლის მეთოდი არ არის გამორიცხული და დიდი მადლობა ირაკლი ალასანიას, რომელმაც იმიტომ გააკეთა ეს განცხადება, რომ მანამდე მას ჰქონდა გაცხადებული, რომ ის არანაირ აქციებში მონაწილეობას არ მიიღებდა. თუმცა მან გადმოდგა ჩვენსკენ ნაბიჯი, ჩვენში ვგულისხმობ ხალხის პარტიას, კონსერვატორებს, ეროვნულ ფორუმს, რომლებიც მუდმივად ამის მომხრენი იყვნენ. ჩვენსკენ გადმოდგა ნაბიჯი და თქვა, რომ მე მზად ვარ საპროტესტო აქციებისთვის, სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით, რაც იყო მხოლოდ მისასალმებელი. ამ დროს კვლავ თამაშში ერთვებიან ახალი მემარჯვენეები, ტენდერის მესამე ეტაპზე უკვე და აცხადებენ, რომ ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია აქციები. ჩვენთვის კი პირიქით, შეურაცხმყოფელია მამუკა კაციტაძის განცხადება, როდესაც ამბობს, რომ უპასუხისმგებლო ავანტიურიზმია აქციების მოწყობა. ამას აცხადებს ის პარტია, რომელიც ორი წლის წინ რკინიგზასაც კეტავდა, აქციებსაც აწყობდა და ყოველ შემთხვევაში, ბრძოლის ეს მეთოდი მისთვის მიუღებელი არ იყო. მათი ეს განცხადება ჩვენთვის იყო სრულიად მოულოდნელი. ტენდერის მესამე ფაზაზე ქრისტიან-დემოკრატები არ მონაწილეობენ და არ აცხადებენ, რომ ჩვენთვისაც მიუღებელია აქციები და ამბობენ, რომ პრინციპში ბრძოლის ამ ფორმის გამორიცხვა არ შეიძლება. ჩვენც მაინც წავედით იმაზე, რომ მასობრივი აქტიურობისაგან თავი შევიკავოთ, რათა ერთობა არ დაიშალოს და განვაცხადეთ, რომ მზად ვართ ამისგან თავი შევიკავოთ. ანუ მათ აზრს და მათ ულტიმატუმს ვითვალისწინებთ. შემდეგ იწყება მეოთხე ეტაპი, როდესაც აი ის ცნობილი ალექსანდრე შალამბერიძის ინტერვიუა, სადაც მან სერიოზული შეცდომა დაუშვა, იმ თვალსაზრისით, რომ შიდა თათბირის საიდუმლოება გამოიტანა გარეთ. შიდა თათბირის საიდუმლოების გარეთ გამოტანა არ შეიძლება, სანამ ეს ერთობა არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთ ნდობის საფუძველი აღარ იქნება. ეს გამოტანა ავტომატურად დაშლას ნიშნავს. ამიტომ ეს იყო შეცდომა და ალეკომ ეს გაიგო და თვითონვე აიღო პასუხისმგებლობა ამაზე და უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა. თუმცა საკმარისი საფუძველი ეს მაინც არ არის რვიანის დაშლის. ლევან ვეფხვაძე კვლავ აკეთებს განცხადებას, რომ ეს ნიშნავს, ფაქტობრივად ჩვენ გადავხედავთ რვიანის ყოფნის საკითხს. მერე ალეკო იღებს ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და აძლევს საბაბს ქრისტიან-დემოკრატებს დატოვონ რვიანი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტენდერის მეოთხე ეტაპში ქრისტიან-დემოკრატები ჩაერთვნენ და გაუსწრეს ახლებს და განაცხადეს რვიანის დატოვების თაობაზე. ამიტომ ახლები აქტიურდებიან, ბატონი კაციტაძე ითხოვს მანდატს, რომ ჩაატაროს კონსულტაციები პალიკო კუბლაშვილთან და წინადადებები მოიტანოს რვიანში, ოღონდ საუბარიც არ არის იმაზე, რომ მემარჯვენეები ცალკე რამეზე შეუთანხმდნენ ხელისუფლებას, ლაპარაკია რვიანის ფორმატში წინადადებების მოტანაზე. ოღონდ გარეთ გამოსვლისას ბატონი კაციტაძე ხმარობს ტერმინს, რომელიც ჩვენთან ნამდვილად არ არის შეთანხმებული, ეს არის — ინდივიდუალური მოლაპარაკებები, რაც ხელისუფლების ტერმინია. აქ თითქოს გამზადებულია და ამას ელოდებოდაო, კვლავ გამოდის არენაზე ლევან ვეფხვაძე, რომელსაც უკვე შალამბერიძის საბაბი აღარა აქვს, მაგრამ ახალი საბაბი მისცა მისსავე ტენდერში მონაწილემ და აცხადებს, რომ ინდივიდუალური მოლაპარაკებები ეს არის რვიანის დაშლა, ეს არის სხვა ფორმატი მოლაპარაკებების და იქვე აცხადებს, რომ ეს ცუდი არ არისო. კი არ გმობს, არამედ უწონებს მემარჯვენეებს ამ პოზიციას, რომ რვიანს შლიან. ამ ყველაფრის მიუხედავად ჩვენ ვაცხადებთ, რომ არა, ეს არის ერთიანი ფორმატი, მოდით ერთად მივიღოთ გადაწყვეტილება, როცა მოიტანენ ისინი წინადადებებს და მერე მოდიან უკვე ახლები და აცხადებენ, რომ აგერაა წინადადებები, მაგრამ თუ ამ წინადადებებს თქვენ არ დათანხმდებით, ჩვენ ცალკე წავალთ და მოვაწერთ ხელს. ანუ მათ საბაბი რომ ვერ მოძებნეს, ბოლოს უსაბაბოდ გააკეთეს ეს. ჩვენ საბაბი არ მივეცით, არც მემარჯვენეებს არც ქრისტიან-დემოკრატებს, თუმცა, როგორც კი ახლებმა ეს განაცხადეს, იქვე ქრისტიან-დემოკრატებმაც დარეკეს და განაცხადეს, რომ ჩვენც მზად ვართ ხელი მოვუწეროთ, ყველაფერზე ხელისმომწერები ვართ ხელისუფლებასთანო. აი ასე იყო ეს ამბავი.

***— ქრისტიან-დემოკრატები თავიდანვე მოიაზრებოდნენ როგორც ხელისუფლების სატელიტი ოპოზიციური პარტია, საზოგადოებას უფრო ახალი მემარჯვენეებისგან გაუკვირდა ეს ნაბიჯი. თუმცა, როგორც შიდა კულუარებიდან ხდება ცნობილი, ისინი დიდი ხანია ემზადებოდნენ ამისთვის...***

— მარტიდან. ძალიან ხშირად გვეკითხებიან — რა, არ იცოდით? ეჭვები და ცოდვა შეიძლება გქონდეს, მაგრამ პოლიტიკოსის პროფესია მდგომარეობს იმაში, რომ მტერი აქციო მოყვარედ. ყოველ შემთხვევაში, ისე შეუბორკო ხელფეხი, რომ მისი გადასვლა მოწინააღმდეგის მხარეზე ყველასთვის თვალნათელი იყოს. ქრისტიან-დემოკრატების გადასვლა ხელისუფლების მხარეზე მთელი საზოგადოებისთვის თვალნათელი არ იყო ადრე. კი, რადიკალური საზოგადოება ამას ხედავდა, მაგრამ უამრავი ზომიერად განწყობილი და ამავდროულად ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება ამას ვერ ამჩნევდა, იმიტომ, რომ ქრისტიან-დემოკრატებს აქამდე არანაირი პირობა არ გაუტეხიათ. მათ არ ჰქონდათ ვალდებულება, არ შესულიყვნენ პარლამენტში, მათ ასეთი პირობა არც თავის ამომრჩეველთან და არც დანარჩენ ოპოზიციასთან არ დაუდიათ, არანაირ ბლოკში არ ყოფილან. მათ არანაირი სიტყვა არ გაუტეხავთ არავის წინაშე და დღეს მოუწიათ საკუთარი სიტყვის გატეხვა, საკუთარი საჯარო პოზიციის გადახაზვა და საკუთარი თავის მხილება, ესეც შედეგია.

***— რა იქნება ამის შემდეგ, დარჩა ექვსი პარტია, არის იმის საშიშროება, რომ ამათგან რომელიმემ კიდევ დატოვოს ექვსიანი?***

— მე ამ საფრთხეს ვერ ვხედავ იმიტომ, რომ ის, ვინც დარჩა, გაუძლო ზეწოლასაც და ცდუნებასაც და ბრძოლაში გამოცდილი კოლეგა, ბევრად ფასეულია, ვიდრე ის, ვინც ამ ბრძოლას ვერ გაუძლო. ამ პოლიტიკურმა ძალებმა აჩვენეს თავის სიმტკიცე, თავის სიმყარე და ეს მნიშვნელოვანია. მაპატიეთ, მაგრამ ბატონი გუგავა რომ გამობრძანდა და ერთ ქვაბში რომ მოხარშა ორი გასული პარტია და 6 დანარჩენი, ეს უზნეობაა ბატონი გიორგი გუგავას მხრიდან. უზნეობაა იმიტომ, რომ ის პარტიები, რომლებიც ასევე იდგნენ ცდუნების და ზეწოლის ქვეშ და გაუძლეს ამას, მადლობას იმსახურებენ კოლეგებისგან და არა იმის ლაპარაკს, რომ ისინიც ვაჭრები არიან თურმე. ვაჭრები რომ ყოფილიყვნენ, ივაჭრებდნენ და ტენდერში ჩაერთვებოდნენ. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ორი პარტია.

***— ვაჭრობის საგანი რა არის, მილიონი ლარი?***

— არა! ეს შეცდომაა, საზოგადოება ჩაეჭიდა მხოლოდ ამას. ხელისუფლების მხრიდან მილიონის ასე საჯაროდ შემოთავაზება ამ მიზანს ისახავდა. ხელისუფლების ამოცანა იყო, სხვათა შორის, არა მხოლოდ მომხრობა, არამედ მათი კიდევ უფრო გაბითურება და გაბითურებაც შედის ამოცანაში. იმიტომ, რომ ქრისტიან-დემოკრატმა, რომელმაც გაბედა, რომ ათი თვის განმავლობაში დამოუკიდებელი თამაში ეთამაშა, ამით ხელისუფლების გულისწყრომა დაიმსახურა, მათ თქვეს, რომ გაგვეპარა ეს ქრისტიან-დემოკრატი, სათანადო დისკრედიტაცია არ მოხდა მისი თავის დროზე და ამიტომ თავს უფლება მისცა, გონებაში გაევლო — იქნებ მართლა რეალური ოპოზიცია გავხდეო. ამიტომ მათ სწორედ დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ წინადადებაზე მოაწერინეს ხელი, რომ სწორედ საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, აი, ხომ გითხარით, კიკუ გაიხდისო... სინამდვილეში იმდენად მილიონზე კი არ არის ლაპარაკი, ეს მილიონი „პოსლეზეა“ და „პოსლეზე“ არავინ არაფერს არ აკეთებს. აქ ლაპარაკია იმ პაკეტზე, რომელიც აქამდე ჰქონდათ ქრისტიან-დემოკრატებს და ახლა ექნებათ ახლებსაც. ეს პაკეტია: სახელისუფლო ტელევიზიებში მუდმივი გამოჩენა ხალხზე მზრუნველის როლში. ეს პაკეტია, ნაყალბებ რეიტინგებში, ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ რეიტინგებში, რომელიც საერთაშორისო პატრონაჟით იმართება ხოლმე, მაგრამ ხელისუფლების ციფრები წერია. უცებ არ გაგიკვირდეთ, რომ უახლოეს გამოკვლევებში უეცრად გაიზარდოს მემარჯვენეების რეიტინგი, მათი სწორი მოქალაქეობრივი პოზიციის გამო. ასევე დაფინანსება ბიზნესსტრუქტურებიდან. ეს მარტო სახელმწიფო დაფინანსება ხომ არ არის? უამრავი სერიოზული ფირმა აფინანსებს ქრისტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობას და მათ ამისთვის არა თუ არ დევნიან, განსხვავებით ყველა სხვა პარტიასთან მიმართებაში, არამედ მადლობას ეუბნება ხელისუფლება, რომ აფინანსებს ასეთ სახელოვან პარტიას. ასეთივე პირობები შეექმნებათ ახლებს. ანუ აქ ერთ მილიონზე არ არის ლაპარაკი, ბევრ მილიონზეა და თანაც წინასწარ და არა „პოსლეზე“.

***— რაც შეეხება ადგილებს პარლამენტში? ხომ არ გადააგდებს მათ საკაშვილი?***

— ადგილების ნაწილიც შედის ამ პაკეტში, მაგრამ იმდენად მძაფრი იქნება ბრძოლა და ჩვენ ისეთ ბრძოლას გავმართავთ, რომ გადაგდება მოუწევთ. საკუთარი ადგილების დათვლა მოუწევთ და გადათვლა.

***— დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ ის არ აპირებს ექვსიანთან თანამშრომლობას...***

— აღდგომა და ხვალეო, მაგასაც ვნახავთ. თუ იქნება საერთაშორისო მხარდაჭერა შენარჩუნებული და გაზრდილი ხალხის მხარდაჭერა და, სხვათა შორის, შემობრუნდა ექვსიანისკენ ხალხი, ბევრმა დაინახა, რომ არ იყიდება ეს ხალხი და ნდობა გაიზარდა, ეს ფაქტია. ეს ყველგან ჩანს.

***— თქვენდა სასიკეთოდ იმოქმედა მათმა წასვლამ...***

— რა თქმა უნდა. ხალხს როდესაც ეჭვი ჰქონდა მთლიანად რვიანზე, გაირკვა, რომ ეჭვის საფუძველი არსებობდა მხოლოდ ორზე და დანარჩენებზე არა. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ხალხის ნდობა გაზარდა ამან და ჩვენ ამ ნდობას აუცილებლად გავამყარებთ და აუცილებლად ამ ხალხს აქციებზეც გამოვიყვანთ. მშვიდობიან მანიფესტაციებზე ერთადერთი მოთხოვნით — მოვითხოვთ სამართლიან არჩევნებს. საერთაშორისო მხარდაჭერის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად აუცილებელია ხალხის მხარდაჭერის დემონსტრირება, აი ამ სამოქალაქო მოძრაობის მიმართ. გეტყვით ერთსაც, რომ მარტო საარჩევნო გარემო არ არის შესაცვლელი, შესაცვლელია პოლიცია, შესაცვლელია მასმედიის მდგომარეობა, შესაცვლელია სოციალური მდგომარეობა და ბევრი რამ. ასე რომ, სამოქალაქო აქტიურობა გაცილებით დიდ მიზნებს და გეგმებს ისახავს იმ ბორკილების გარეშე, რომელიც გვედო ქრისტიან-დემოკრატების და ახალი მემარჯვენეების სახით. ხვალ უკვე გვაქვს სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრა და ერთად დავგეგმავთ ამ ყველაფერს.

### გლდანის №8 საპყრობილედან არასწორი მკურნალობის გამო უამრავი პატიმრის ცხედარი გამოაქვთ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილის მტკიცებით, გლდანის №8 საპყრობილედან არასწორი მკურნალობის გამო უამრავი პატიმრის ცხედარი გამოაქვთ. ამის შესახებ ხატიაშვილმა დღეს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— ყველამ ვიცით, რომ გლდანის №8 საპატიმრო დაწესებულებიდან უამრავი პატიმრის ცხედარი გამოაქვთ. ამ ადამიანების დაღუპვის ძირითადი მიზეზი არასწორი მკურნალობაა. ამის შემდეგ კი დაღუპული პატიმრების ოჯახის წევრებს აშანტაჟებენ და აშინებენ, იმისათვის, რომ მათ ამ ფაქტების გახმაურებისაგან თავი შეიკავონ, — განაცხადა ხატიაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებას დათმობას მხოლოდ ხალხი აიძულებს

**უკვე ყოფილ რვიანში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა ნინო ბურჯანაძე.
დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი რვიანში შემავალი ექვსი პარტიის მიერ ხელისუფლების შეთავაზებაზე უარის თქმას პოზიტიურად აფასებს.
ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლებამ რვიანისთვის შეთავაზებებით თავისი რეალური სახე კიდევ ერთხელ გამოავლინა.**

ნათია ხურცილავა



დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის განცხადებით, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვა და დიალოგი შეუძლებელია.

აღნიშნულ განცხადებას ბურჯანაძე ხელისუფლების იმ შემოთავაზებებზე აკეთებს, რომელიც გასული კვირის ბოლოს ხელისუფლებამ ახალი მემარჯვენეების შუამავლობით დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს შესთავაზა.

ხელისუფლების 9 პუნქტიანი შეთავაზება ოპოზიციურმა რვიანმა არ მიიღო, სწორედ ეს გახდა რვიანის დაშლის მიზეზი.

ახალმა მემარჯვენეებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა ხელისუფლების შეთავაზებაზე თანხმობა განაცხადეს და მათ რვიანის რიგები დატოვეს.

ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლებისთვის მხოლოდ გარიგებაა მისაღები და სხვა არაფერი.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი პარტიებისთვის ერთმილიონიანი დაფინანსების შეთავაზებას გარიგებად მიიჩნევს.

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ოპოზიციური ექვსი პარტიის მიერ ხელისუფლებასთან გარიგებაზე არ წასვლა და უარის თქმა დადებითი ფაქტია, მაგრამ იქვე დასძენს, რომ დანარჩენმა ორმა პარტიამ ხელისუფლებასთან პარლამენტში მოხვედრის მიზნით გარიგება აწარმოა.

ბურჯანაძე აცხადებს, რომ მთელი ეს პროცესი ხელისუფლებას დროის გაყვანისთვის სჭირდება.

მისივე განცხადებით, მოლაპარაკებების პროცესით ხელისუფლება დასავლეთის თვალში იმიჯის შექმნას ცდილობს.

— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რვიანში შემავალ პარტიებთან მოლაპარაკებები ხელისუფლებას მხოლოდ დროის გაყვანისთვის და დასავლეთის თვალში იმიჯისთვის სჭირდება. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიღწევა ქვეყანაში მედიის, სასამართლოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამოუკიდებელი მუშაობით შეიძლება, — აცხადებს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი.

ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დათმობს თუ მასზე იქნება ზეწოლა, რასაც სახალხო კრება ახორციელებს.

— ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ხელისუფლებისაგან რაიმე დათმობის მიღწევა მხოლოდ ხალხის ზეწოლის შედეგად შეიძლება, რასაც სახალხო კრება ახორციელებს, — ამბობს ბურჯანაძე.

## რუსეთის შს მინისტრმა პოლიციის რეფორმირებისას სააკაშვილის მეთოდი გადაიღო

რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაშიდ ნურგალიევმა თანამშრომლები გააფრთხილა, რომ „ღიპიანები“ სამსახურში ვეღარ დარჩებიან და მათ შეამცირებენ. ასეთი ზომები მიხეილ სააკაშვილმა პოლიციის რეფორმირებისას საქართველოში გამოიყენა. ამის შესახებ „გაზეტა.რუ“ წერს.

— მინისტრმა დღევანდელ სელექტორულ თათბირზე განაცხადა: მსუქანი და ღიპიანი პოლიციელები ატესტაციას ვერ გაივლიან, — ამის შესახებ „ინტერფაქსს“ რუსეთის დუმის უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ვასილიევმა განუცხადა, რომელიც აღნიშნულ თათბირში მონაწილეობდა.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ მინისტრმა თანამშრომლებს შეახსენა, რომ სპორტით არის დაკავებული.

**ინტერპრესნიუსი**

# რატომ ჩამოვიდა საქართველოში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

ნათია ხურცილავა

**საქართველოში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ ნალბანდიანი იმყოფებოდა.**

**ნალბანდიანმა მაღალი დონის შეხვედრები გამართა. ის ასევე შეხვდა საქართველოში მცხოვრებ სომხური დიასპორის წარმომადგენლებს.**

**სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის ქართველ კოლეგას გრიგოლ ვაშაძეს შეხვდა. დახურულ შეხვედრაზე ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ქვეყნებს შორის ურთიერთობები განიხილეს.**



ცნობილია საქართველო-სომხეთის ერთგვარი სამუშაო შეთანხმება. შეთანხმების საფუძველზე სომხეთის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს წელიწადში არა ერთხელ, არამედ ოთხჯერ უნდა შეხვდნენ.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, სწორედ ასეთი მორიგი შეხვედრა იყო გუშინდელი შეხვედრა. თუმცა, მინისტრებს ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთების დროს არ დაუკონკრეტებიათ, რა საკითხებზე გამართეს მათ შეხვედრა.

— ჩვენ მოლაპარაკება გვაქვს, რომ შევხვდეთ არა წელიწადში ერთხელ, არამედ გაცილებით უფრო ხშირად. წელიწადში სამ-ოთხჯერ. ჩვენ ამ შეთანხმებას პირნათლად ვასრულებთ. ხანდახან ისმის შეკითხვები, იმდენად პრობლემატური საკითხები გაქვთ, რომ ასე ხშირად გიწევთ შეხვედრა? სწორედ იმისთვის, რომ საქართველო-სომხეთის ურთიერთობებში არ იყოს არავითარი პრობლემატური საკითხები, ამიტომ ვხვდებით მე და ჩემი მეგობარი და კოლეგა ერთმანეთს, — განაცხადა ვაშაძემ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განხილულ საკითხებზე არ ისაუბრა. თუმცა, ფაქტია, რომ შეხვედრაზე მინისტრებმა აქტუალური საკითხები განიხილეს.

არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი განსახილველი საკითხი სწორედ სომხეთის პატრიარქის გარეგინ მეორის და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შეთანხმება ყოფილიყო.

გარეგინ მეორის საქართველოში ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ შეიქმნება კომისია, რომელიც დაადგენს საქართველოში სომხური წარმოშობის ძეგლებსა და სომხეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების სტატუსს.

გარეგინ მეორემ საქართველოს პატრიარქთან ვიზიტისას, შეიძლება ითქვას, რომ მწვავედ დააყენა საქართველოში სომხური ეპარქიის სტატუსის გარკვევისა და ასევე სადავო ეკლესიების გადაცემის საკითხები, რაზეც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უპასუხა, ზუსტად იგივე სტატუსი ექნება სომხურ ეპარქიას საქართველოში, რა სტატუსაც მიანიჭებს ქართულ ძეგლებს სომხეთის ტერიტორიაზეო.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ორ სახელმწიფოს შორის არასდროს არ ყოფილა ასეთი ურთიერთობები, როგორი დღეს გვაქვს სომხეთის რესპუბლიკასთან. თუმცა, იქვე განმარტა, რომ ცუდი ურთიერთობები მეზობელ სომხეთთან არასდროს არ გვქონია.

საქართველოს პირველმა დიპლომატმა ორ სახელმწიფოს შორის კარგი ურთიერთობების არსებობა საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების დამსახურებად მიიჩნია.

— დეტალებში რომ არ შევიდე, ვისაუბრეთ ორმხრივი ურთიერთობების ყველა აქტუალურ საკითხზე. იმ თანამშრომლობაზე, რომელიც დღეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის არის. მინდა ვთქვა, რომ ორ სახელმწიფოს შორის არასდროს არ ყოფილა ასეთი ურთიერთობები. თუმცა, ჩვენ ცუდი ურთიერთობები არასდროს არ გვქონია. ამაში უზარმაზარი წვლილი აქვთ შეტანილი ორივე ქვეყნის პრეზიდენტებს, — აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

გრიგოლ ვაშაძემ ჟურნალისტებთან კომენტარისას უმაღლესი დონის ვიზიტზე გააკეთა განცხადება. თუმცა, არ დაუკონკრეტებია, იგულისხმება თუ არა აღნიშნულ განცხადებაში პრეზიდენტის ვიზიტი.

— კონკრეტულად ვისაუბრეთ უმაღლესი დონის ვიზიტებზე. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობაზე, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი თანამშრომლობა ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ეკონომიკის სხვა სფეროებში. ჰუმანტარულ ასპექტებზეც იყო საუბარი, მათ შორის საქართველოსა და სომხეთის კულტურის კვირეულების ჩატარებაზე, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არ არსებობს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის საკითხი, რომელიც მოლაპარაკებების გზით არ გადაწყდება.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები საქართველოში. როგორც აღინიშნა, ეს უკვე ტრადიციაა ჩემს კოლეგასთან და მეგობარ გრიგოლ ვაშაძესთან ხშირი შეხვედრები. ჩვენ დღეს განვიხილეთ ფართო სპექტრის საკითხები. განვიხილეთ რეგიონალური და საერთაშორისო პრობლემები. არ არსებობს საკითხები, რომლებიც მეზობელი სახელმწიფოების წინაშე არის განსახილველი და გადასაწყვეტი, რომ ვერ გადავწყვიტოთ მოლაპარაკებების გზით. არ არსებობს საკითხი, რაზეც საქართველო და სომხეთი ვერ შეთანხმდებიან, — განაცხადა ედუარდ ნალბანდიანმა.

# ლუდის წარმოებას შესაძლოა ისეთივე ძველი ფესვები ჰქონდეს, როგორც საკვების ცეცხლზე მომზადებას

„ცივილიზაცია, რომელმაც შექმნა ყველასათვის საყვარელი სასმელი, საკმაოდ ძველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვიცით, პირველად ვინ მოხარშა ის“, – აღნიშნა ქრისტინ ჰასტორფმა ნიუ იორკის უნივერსიტეტში ლუდის არქეოლოგიის შესახებ ერთ-ერთი ლექციის წაკითხვისას.

ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგმა ჰასტორფმა კი დაადასტურა, რომ ლუდის მომზადების დოკუმენტური მტკიცებულება რამდენიმე ათასწლეულს ითვლის, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ მის უკან რეალურად ვერ ვხედავთ სიღრმისეულ ისტორიას. ჰასტორფის აზრით, ადრეული დასახლებების დათვალიერების ფონზე, შეუძლებელია ითქვას მისდევდა თუ არა ამ დასახლებების მოსახლეობა ლუდის ხარშვას.

ერთ-ერთი ადგილი, სადაც დანამდვილებით მზადდებოდა ლუდი, მესოპოტამიაა, სადაც თიხის ტაბულებზე გაკეთებული ლურსმული ჩანაწერები ჩვ.წ.აღ–მდე დაახლოებით 4000 წლით თარიღდება. 2003 წელს იან ს. ჰორნსეის მიერ გამოცემული „ლუდი და ლუდის ხარშვის ისტორიის“ თანახმად, შუმერები ისე იყვნენ გატაცებული ლუდით, რომ დაახლოებით 1800 წელს ჩვ.წ.აღ-მდე უცნობმა პოეტმა ოდა მიუძღვნა ნინკასის – ლუდის ქალღმერთს. ამ ტაბულამ ჩვენამდე მოაღწია. ნინკასისადმი მიძღვნილი ჰიმნი ლექსად გადმოსცემს შემდეგს: „ნინკასი შენ ხარ ის, ვინც ღვრის გაფილტრულ ლუდს შემგროვებელი ავზიდან, რომელიც ტიგროსის და ევფრატის შენაკადის მსგავსია“.

„როგორ შეიძლება ლუდის ქალღმერთი ჰყავდეს მას, ვისაც ლუდი არ აღელვებს“, – კითხულობს რიტორიკულად ჰასტორფი. „მე ვფიქრობ სამართლიანია აღინიშნოს, რომ ლუდი მნიშვნელოვანი იყო მესოპოტამიის ცხოვრებაში. რადგან ნინკასი ქალი ღვთაება იყო, შესაძლოა, შუმერების ლუდის ხარშვის პროცესი ქალების მოღვაწეობის სფეროს წარმოადგენდა“.

უძველეს ეგვიპტეში ლუდის წარმოების შესახებაც არსებობს მონაცემები, რომლებიც ათასწლეულებით თარიღდება, მათ შორისაა საკმარისი ინფორმაცია ინგრედიენტების და პროცესების შესახებ, რომლებმაც შთააგონა ნიუკასტლის და კირინის ლუდსახარშები, მიეგნოთ საკუთარი ხელწერისთვის.

## ვინ მოხარშა და ისიამოვნა პირველი ლუდით?



საკმაოდ ფართომასშტაბიანი ლუდის წარმოება არსებობდა ეგვიპტეში. ჰასტორფის თანახმად, ის არ მოიცავდა მხოლოდ ტავერნებს, მიკროლუდსხარშებს და ქალების მიერ ოჯახში დამზადებულ ლუდს.

მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის მიერ 2004 წელს მომზადებული კვლევა ფერმენტირებული სასმელების ისტორიას კიდევ უფრო უღრმავდება. ამ კვლევაში პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიის და ანთროპოლოგიის მუზეუმის წარმომადგენელი პატრიკ მაკგოვერნი და მისი კოლეგები წარადგენენ მტკიცებულებას, რომ დაახლოებით 9000 წლის წინ ნეოლითის პერიოდის ჩინეთის სოფლების მაცხოვრებლები ამზადებდნენ ბრინჯის, თაფლის და ხილის (კუნელის ნაყოფი, ყურძენი) შერეულ ფერმენტირებულ სასმელს. **Dogfish Head** ლუდსახარშმა ამ სასმელის რეპროდუქცია მოახდინა, რაშიც მიიღო ჯილდო და ძლიერი სასმელი **Chateau Jiahu**. ალკოჰოლის შემცველობის თვალსაზრისით ეს სასმელი უფრო ახლოს დგას ღვინოსთან, ვიდრე ლუდთან, მაგრამ მისი ინგრედიენტები ქმნიან ერთგვარ ჰიბრიდს.

ჰასტორფი ფართო პოპულარობას ლუდის ადრეულ ფორმებს მიაწერს – „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ტერიტორიებიდან აზიამდე და სამხრეთ ამერიკამდე, სადაც ლუდს მთელი რიგი ფაქტორების გამო საკუთარი ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ჭეშმარიტად სოციალური სასმელია, რომელიც დღემდე ხელს უწყობს მის პოპულარობას. მაგრამ შესაძლოა თანაბარი მნიშვნელობის გამო ათასეულლობით წლის წინ ლუდის სარგებელი ჯანმრთელობისთვის (მისი კვებითი ღირებულება და მისი მნიშვნელობა როგორც გამწმენდი სასმელისა) იმგვარ ტერიტორიებზე იყო აღიარებული, სადაც სასმელი წყალი არ იყო უსაფრთხო.

ამასთან ერთად, ლუდი შედარებით ადვილი მოსახარშია და შეიძლება დამზადდეს ნებისმიერი ნედლეულისგან. ყველაფერი, რაც თქვენ გჭირდებათ, ეს არის: წყალი, საკვების მოსამზადებლად საჭირო სითბო და ნახშირწყლის გარკვეული ფორმა, ფერმენტებთან და საფუართან ერთად, რომლებიც ბუნებაში მრავლად მოიპოვება (საფუარი შეიძლება მიღებულ იქნეს ხილისგან; ფერმენტები – ნერწყვიდან). ჰასტორფის თანახმად, ლუდის დამზადება მეტად ადვილია. მას მოჰყავს კოლეგების ციტატები, რომელთაც შემუშავებული აქვთ მოწინავე თეორიები იმის შესახებ, რომ ადამიანები პირველად მარცვლეულ კულტურებს გაუშინაურდნენ ლუდის და არა მხოლოდ პურის დასამზადებლად. შემდეგ ის გაჯერების საშუალებით ეთანოლთან (რომელიც მწიფე ხილში შედის) კავშირით განავითარეს. სხვადასხვა სახის მტკიცებულება მიუთითებს, რომ ლუდს შესაძლოა ისეთივე ძველი ფესვები ჰქონდეს, როგორც საკვების ცეცხლზე მომზადებას, რაც სათავეს 250,000 წლის წინ იღებს. „როდესაც ადამიანებმა ხელი მიჰყვეს ცეცხლის გამოყენებას და საკვების თერმულ დამუშავებას, ალბათ ლუდის დამზადებაც მაშინვე დაიწყეს“, – აღნიშნავს ჰასტორფი.

# ქრისტიან-დემოკრატები და მემარჯვენეები მთელი ოპოზიცია არ არის

## სააკაშვილი ალყაში უნდა მოვაქციოთ!

თეა მარხვაი ე



ამ კვირაში ერმა ოპოზიციური რვიანის გამო დაიხოკა ლოყები. ამ კვირაში მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა ამბავი რვიანის დაშლისა. არადა, ეს რვიანები ცოტა ხნის წინ რვიანის გადარჩენას გვილოცავდნენ. განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც რვიანიდან მოქუსლეს.

აწ უკვე გარდაცვლილი რვიანი კი კინაღამ ალეკო შალამბერიძემ შეიწირა, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ხალხის პარტიაში იყო. მან „ახალი ვერსიისთვის" მიცემულ ინტერვიუში განცხადება გააკეთა, სადაც ქრისტიან-დემოკრატები გია უჩავას შეადარა. უჩავა, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, სახალხო კრებაში ხელისუფლების მიერ იყო შეგზავნილი. ამ განცხადებას წიოკი მოჰყვა. ეს გასაკვირი არ არის. გასაკვირი ისაა, გვიან რომ გაინერვიულა ქდმ-მ თავი.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, შალამბერიძემ რვიანისათვის მსხვერპლი გაიღო და ხალხის პარტია დატოვა. რვიანი გადარჩა. ეს ამბავი მემარჯვენე მამუკა კაციტაძემ გვამცნო. იმ კაციტაძემ, რომელმაც ამ დღეებში რვიანის დაშლის სადღეგრძელო დაგვალევინა.

რვიანის დაშლა-დაუშლელობაზე რვიანს შეწირული ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

— რვიანში იმაზე რთულად იყო საქმე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. მოვლენების განვითარება „ვერსიაში" გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუს დაემთხვა. სწორედ იმ პერიოდში დაიწყეს მემარჯვენეებმა თავისი პოზიციის გამყარება. საუბარი მაქვს კაპიტულანტურ პოზიციაზე. მემარჯვენეები ბოლო მომენტში მიზანმიმართულად წავიდნენ კაპიტულაციაზე. მათი პოზიცია ჩემთვის მიუღებელი იყო.

***— რა პოზიცია ჰქონდათ ამისთანა?***

— ისინი ამბობდნენ, სულ არაფერს სჯობია რაღაცა მაინც მივიღოთ ხელისუფლებისგან. რამე ავიღოთ ვიდრე არ დაგველაპარაკონ. ამით მათ ბრძოლაზე უარი თქვეს. ეს არის დიდი მარცხი.

***— ვისი მარცხია, რვიანის თუ მემარჯვენეების?***

— მთლიანად ამ პროცესის მარცხია. საუბარი მაქვს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის დაწყებულ პროცესზე. ეს რვიანი სწორედ ამისთვის შეიქმნა. რვიანი არსებობა სააკაშვილის თავზე იყო დამოკლეს მახვილი.

***— არაფერს აკეთებდით და როგორ იყო დამოკლეს მახვილი?***

— ვერ დაგეთანხმებით, რომ არაფერს ვაკეთებდით. სულ რომ არაფერი გაგვეკეთებინა, თავად რვიანის არსებობა იყო დამოკლეს მახვილი სააკაშვილისთვის. მას ამის ძალიან ეშინოდა. თავისი გადაწყვეტილებით მემარჯვენეებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა ხელისუფლებას საშუალება მისცეს, გამომძვრალიყო.

***— ეს იმას ნიშნავს, რომ რვიანი ჩაფლავდა?***

— ეს არ არის ჩაფლავება.

***— აბა, რა არის? თავად თქვით, რომ მემარჯვენეებმა და ქდმ-მ ხელისუფლებას საშუალება მისცეს, გამომძვრალიყოო.***

— სააკაშვილი ამ პროცესიდან დროებით გამოძვრა.

***— დარწმუნებული ხართ, რომ მხოლოდ დროებით გამოძვრა?***

— გარწმუნებთ, რომ ეს მხოლოდ დროებითია. პროცესი ისევ გრძელდება. ბრძოლა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის არ დასრულებულა.

***— სამაგიეროდ დასრულდა რვიანი.***

— მერე რა. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლა რვიანის საკუთრება კი არ ყოფილა. ორნი წავიდნენ, მაგრამ ექვსი პარტია ისევ რჩება მყარად თავის პოზიციაზე. ეს არის დიდი ძალა. ეს არის ძალა, რომელიც ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს. მე მჯერა, რომ ამის შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი უფრო აქტიურად ჩაერთვება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

***— დარწმუნებული ხართ, რომ საზოგადოება აქტიურად ჩაერთვება?***

— აბსოლუტურად. მემარჯვენეების და ქდმ-ს წასვლის შემდეგ საზოგადოებამ უფრო დადებითად შეხედა ამ პროცესს. ბრძოლა არ დამთავრებულა. ის დამთავრდება მაშინ, როცა ჩვენ გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოს მივიღებთ.

***— ამბობთ, ჩვენო, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხალხის პარტიაში ბრუნდებით?***

— მე არსად არ ვბრუნდები. როცა ვამბობ „ჩვენ", ვგულისხმობ იმ ხალხს, რომლებიც ამ იდეას ატარებენ. აქ მარტო ექვსიანზე არ არის საუბარი. ასეთი ხალხი ექვსიანს გარეთაც ბლომად არის. მე ვლაპარაკობ ყველაზე, ვისაც ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატია უნდა. დემოკრატია კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს. ჩვენს ქვეყანაში ამ იდეას ბევრი მხარდამჭერები ჰყავს.

***— ვითომ?***

— დამიჯერეთ, საქართველოში ბევრი უჭერს მხარს დემოკრატიას და შესაბამისად არჩევნებით ხელისუფლების შეცვლას.

***— ისევ ხალხის პარტიაში თქვენს შესაძლო დაბრუნებას დავუბრუნდეთ. რვიანის დაშლის შემდეგ თუ გქონდათ შეხვედრა კობა დავითაშვილთან.***

— როგორ არა, შევხვდი კობას. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს.

***— პარტიაში დაბრუნება ხომ არ შემოუთავაზებია კობას თქვენთვის?***

— ეს თემა არ გაგვიხილია. არ არის ეგეთი მარტივი, წამოხვიდე და მერე ისევ დაბრუნდე.

***— შეიძლება მარტივი არ არის. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რისი გულისთვის დატოვეთ პარტია, შეგიძლიათ უკან დაბრუნება.***

— ამ ეტაპზე არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. მე აღარ ვარ ხალხის პარტიაში. თუმცა იგივე აზრზე ვრჩები. მივიჩნევ, რომ საქართველოში საარჩევნო გარემო უნდა გაუმჯობესდეს. ასევე უნდა გაგრძელდეს ბრძოლა იმ უკანონობის წინააღმდეგ, რომელსაც დღეს საქართველოში აქვს ადგილი. აქ ხელისუფლება ადამიანების უფლებებს ყოველწუთას არღვევს. აღშფოთოებას იწვევს ხელისუფლების ბოლო გადაწყვეტილება.

***— ბევრი რამე გადაწყვიტა ხელისუფლებამ ბოლო დროს. თქვენ რომელი გაქვთ მხედველობაში?***

— დენის გაძვირებამ ყველაფერს გადააჭარბა,

***— დენი როდის გააძვირეს?***

— პირდაპირ არ გაუძვირებიათ. ნაგავის ხარჯზე მოხდა დენის გაძვირება. ის ახალი ტარიფი, ნაგავთან კი არა, დენთან არის კავშირში. დენი ამ მეთოდით გააძვირეს.

***— სხვა რამე არ შეიძლებოდა მოეფიქრებინათ?***

— შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ეს მეთოდი მოიფიქრეს. სხვას სხვა დროს გამოიყენებენ. ესენი კიდევ ბევრჯერ და კიდევ ბევრ რამეს გააძვირებენ. საქართველოში ბევრი უკანონობაა და მის წინააღმდეგ არის ბრძოლა საჭირო. ჩვენ უსამართლობის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ. ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის. ეს გზა არის სწორი. ეს ბრძოლა დღესვე უნდა დავიწყოთ, რათა შემდეგ არჩევნებს პირდაღებულები არ შევხვდეთ.

***— არის ამის შანსი?***

— არის და თანაც როგორი. ხელისუფლებას ჩვენი პირდაღებულობა არ უნდა გამოვაყენებინოთ.

***— ხელმწიფის ნავში მჯდომებად მოიაზრებოდნენ ქდმ და ალასანია. მაგრამ ახლა იქ რატომღაც მემარჯვენეები აღმოჩნდნენ. ასე რატომ მოხდა?***

— ეს მენავეებს უნდა ჰკითხოთ. ეს მე არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს ის, რაც მოხდა რვიანში. იქ ბრძოლა მიდიოდა ორ საკითხზე. ერთ-ერთ მათგანზე პირდაპირ თავს იკლავდნენ მემარჯვენეები.

***— რაზე იკლავდნენ?***

— ეს იყო ამომრჩეველთა სიის დადგენა, რათა ერთ ადამიანს ჰქონოდა ერთი ხმა. მეორე იყო დღეს არსებელი სისტემა, რომელიც არის უსამართლო. რადგანაც ეს ხელისუფლებას აძლევს საშუალებას მაჟორიტარულს პლუს პროპორციული სისტემით 25-30 პროცენტამდე ხმები ყოველგვარი გაყალბების გარეშე აიღოს. ამიტომ იყო მთავარი სისტემის შეცვლა. რამდენ ხმასაც მიიღებს პოლიტიკური პარტია, იმდენი ადგილი მიიღოს პარლამენტში. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები. აი, ამის ღალატი მოხდა. ჩვენ წესიერი არჩევნებისთვის ვიბრძოდით. არ გვინდოდა, მათ რაიმე მანიპულირების საშუალება ჰქონოდათ. საქართველოში ბევრჯერ ჩატარდა არჩევნები. სადაც ხან ერთი პარტია ღებულობს ხმათა 80 პროცენტს, ხან მეორე და ხან მესამე. ამას ყველა პოლიტიკოსი აბრალებს მოსახლეობას. რაც არასწორია.

***— არასწორი რატომ არის, რა მოსახლეობამ არ აირჩია თავის დროზე დიდი აღფრთოვანებით ნაციონალები?***

— არაა ეს მოსახლეობის ბრალი. აქ არც პოლიტიკური უმწიფრობაა შუაში.

***— აბა, რა არის შუაშია?***

— მოსახლეობა ნამდვილად არაფერ შუაში არ არის. აქ საქმე არის კანონში. რომელიც საშუალებას აძლევს გამარჯვებულს პირდაპირ 25-30 პროცენტი აიღოსყოველგვარი გაყალბების გარეშე. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ ამის შეცვლა გვინდოდა.

***— გინდოდათ, მაგრამ ვერ შეცვალეთ.***

— სამწუხაროდ, აქ ჩვენი ვერ გავიტანეთ.

***— და ალბათ ვერც გაიტანთ.***

— რატომ ვერ გავიტანთ, გავიტანთ!

***— ეს ორი პარტია რომ წაგივიდათ, როგორღა გადაწყვეტთ?***

— მერე რა. წავიდა 2, დარჩა 6, ანუ უმრავლესობა.

***— ხელისუფლებისთვის ის ორიც საკმარისია.***

— არ არის საკმარისი. რადგანაც ორის მათ მხარეზე გადასვლა არ არის ის, რასაც უცხოელები ეუბნებოდნენ სააკაშვილს.

***— რას ეუბნებოდნენ?***

— ოპოზიციასთან შეთანხმების გარეშე ჩატარებული არჩევნები დემოკრატიულად არ ჩაითვლებაო.

***— შეთანხმება უკვე გაფორმდა ოპოზიციასთან.***

— რა შეთანხმება? რვიანის პასუხი არის უარყოფითი. ორი სუბიექტი, რომელმაც ხელი მოუწერა ხელისუფლებას, რვიანად ვერ ჩაითვლება. ხელისუფლებასთან ორი პარტია გადავიდა. ოპოზიციის უმრავლესობა კი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ისევ იბრძვის. თუ ხელისუფლებას უნდა არჩევნების ლეგიტიმურობაზე ჰქონდეს პრეტენზია, მას მაინც მოუწევს ოპოზიციასთან დალაპარაკება.

***— ისინი ამბობენ, რომ არანაირ მოლაპარაკებას აღარ აპირებენ.***

— მოუწევთ დალაპარაკება. ჩვენ ყველას გავაგებინებთ, რომ სააკაშვილი არის თაღლითი.

***— იყოს თაღლითი, თავისი კი გააქვს.***

— ვერ ვიტყვი, რომ გაიტანა. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ დაეშალა რვიანი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დიდი დარტყმები მიდიოდა რვიანზე.

***— ხელისუფლების მხრიდან? ისინი რვიანს თითქმის არ აკრიტიკებდნენ.***

— თავად არა. ყველაფერი გააკეთეს, იმისათვის, რომ ოპოზიციას დაერტყა ჩვენთვის. ეს გააკეთა. ბოლოს მოახერხა ისიც, რომ რვიანიდან გაიყვანა ორი სუბიექტი. მაგრამ ვერ მოახერხა მთავარი.

***— მთავარი რა იყო?***

— უმრავლესობა ვერ წაიყვანა თავის მხარეზე. ასეთი ორზე მეტი ვერ იპოვა ჩვენს რიგებში. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ჩაფლავდა.

***— რვიანი უფრო ჩაფლავებულად გამოიყურება ამ სიტუაციაში.***

— რვიანი არ ჩაფლავებულა. და მე უკვე აგიხსენით, რატომაც. ექვსი პოლიტიკური პარტია აგრძელდებს ბრძოლას. მათ მეც ვუჭერ მხარს.

***— როგორ უნდა გააგრძელოს ბრძოლა აწი უკვე ექვსიანმა?***

— ბრძოლის უამრავი ხერხი არსებობს. მათ შორის საპროტესტო აქციები. ეს ბრძოლა გაგრძელდება. ოღონდ ფეხის დადების და თაღლითების გარეშე.

***— დარწმუნებული ხართ, რომ ის ექვსიანიც არ დაიშლება?***

— დარწმუნებული ვარ.

***— მახსოვს, რვიანის დაუშლელობაშიც ასეთი დარწმუნებული იყავით.***

— როგორც ჩანს, ეს აღმოჩნდა ჩემი კეთილი სურვილი.

***— იქნებ ახლაც ასეა.***

— ახლა სხვანაირად არის. წამსვლელები წავიდნენ უკვე. ეს ბევრს არაფერს არ ცვლის. კარგი იქნებოდა, რომ დარჩენილიყვნენ. თუმცა, მათ თავიანთი გზა ნახეს და რა ვქნა. ეს ექვსი პარტიაც საკმარისია წარმატებისთვის. ხელისუფლებამ ამაყად განაცხადა, მოლაპარაკებები დაიხურაო. მაგრამ გარწმუნებთ, აქტიურობის წყალობით გაიხსნება.

***— ამის გჯერათ?***

— მჯერა. პროცესი ისევ განახლდება და თანაც როგორ. საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება.

***— ზემოთ საერთაშორისო თანამეგობრობა ახსენეთ. თუ ვიცით მათი პოზიცია ამ პროცესთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ორი სუბიექტი წავიდა?***

— ისინი ექვსიანს უჭერენ მხარს. უცხოელებთან შეხვედრები გრძელდება. მათ სრულად ესმით, რაც მოხდა. ამერიკელ კონგრესმენებთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა. მათ გაიგეს ყველაფერი. მათი მხარდაჭერა აშკარაა. ეს ერთი ნაწილია, ეს პროცესი გაგრძელდება. მიმაჩნია, რომ მათ კარგად ესმით, რას ნიშნავს დემოკრატია. ეს არის გზა, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სააკაშვაილი ამთავრებს თავის საპრეზიდენტო ვადას. ყველა უყურებს საქართველოს. მათ უნდათ, რომ ამ ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს. ამიტომ ამ პროცესს დასავლეთი მხარს დაუჭერს. ახლა საჭიროა ჩვენი აქტიურობა. საჭიროა მოსახლეობის გვერდში დგომა. თუ ხალხი ამაში აქტიურად ჩაერთვება, დარწმუნებული იყავით, რომ სააკაშვილის ამბავი არის დამთავრებული.

***— ცოტა ხნის წინ მიდიოდა საუბარი რვიანის გაფართოებაზე. გაფართოებას ქდმ და მემარჯვენეები ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი წავიდნენ. გაფართოებაზე აღარ არის საუბარი.***

— ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი პარტია იყოს ამ პროცესში ჩართული. მათ შორის რადიკალურად განწყობილი პარტიებიც. მათთან სათანამშრომლოდ ყველა მზად არის. მთავარია ისინი გონს მოეგონ.

***— გონს მოგებაში რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ მათ უარი თქვან რევოლუციებზე და რადიკალიზმზე. ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი ოპოზიციური პარტია უნდა ჩაერთოს. მაშინ კი ნამდვილად მოვაქცევთ სააკაშვილს ალყაში. ის იძულებული გახდება შეცვალოს გარემო. გარემოს გაუმჯობესების შემთხვევაში ჩვენ საპარლამენტო არჩევნებში დავამარცხებთ სააკაშვილის რეჟიმს.

## ერთიან ეროვნულ გამოცდებში წელს პირველად ტესტირება აფხაზურ ენაზეც ჩატარდება

2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში პირველად ტესტები აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში მომზადდა.

როგორც 2011 ერთიანი ეროვნული გამოცდების მედიაცენტრის გახსნისას გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, აფხაზი აბიტურიენტებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის ნაცვლად აფხაზური ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება წელს პირველად გახდება შესაძლებელი.

მისი განმარტებით, აფხაზური ენა საქართველოში მეორე სახელმწიფო ენაა და ამ საგანში გამოცდა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ალტერნატივა იქნება.

— აქამდე აფხაზი აბიტურიენტებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა ბარიერი იყო. ამიტომ ისინი სათანადო შეთავაზებას რუსეთისაგან იღებდნენ, რომლის უმაღლეს სასწავლებლებშიც მათთვის კვოტები გამოიყოფოდა. წელს კი აფხაზ აბიტურიენტებს გამოცდის ჩაბარება თავიანთ მშობლიურ ენაში შეეძლებათ, რის შემდეგაც ისინი უკვე საერთო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, — აღნიშნა მაია მიმინოშვილმა.

როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელმა კახა ჯამბურიამ განმარტა, აფხაზური ენისა და ლიტერატურის ტესტი მცირე საინფორმაციო და მხატვრული ტექსტებისაგან შედგება, რომელსაც სათანადო კითხვები მოსდევს. ტესტი ასევე შეიცავს ენობრივ დავალებებს, რომლითაც აფხაზური ენის ცოდნა მოწმდება. მასში გამოყენებულია აფხაზური ანდაზები და აფორიზმები. სათანადო დავალებებით მოწმდება, თუ რამდენად იგებს მათ აბიტურიენტი. 2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ორი აფხაზი აბიტურიენტი მიიღებს მონაწილეობას.

მაია მიმინოშვილი იმედოვნებს, რომ აფხაზური ენისა და ლიტერატურის ტესტი კიდევ უფრო დაიხვეწება და სამომავლოდ აფხაზი აბიტურიენტების რაოდენობა გაიზრდება.

მედიანიუსი

# რისთვის მიიღო გენერლობა გივი ლომინაძემ?

## საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას დახუთული ოთახივით განიავება სჭირდება

გულიკო ბალავაძე



უპარტიოთა მოძრაობის ლიდერი მამუკა გვაძაბია ბოლო დროს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, ე.წ. თავისუფლების ქარტიას განიხილავს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისაკენ წინგადადგმულ ნაბიჯს.

— ამ კანონს და ყოფილი სპეცსამსახურების თანამშრომლების ლუსტრაციას ყოველთვის ქვეყნის უსაფრთხოების კონტექსტში განვიხილავდი. თუმცა, ვფიქრობ, ამ კანონის მიღება დაგვიანებულია, — აცხადებს მამუკა გვაძაბია.

მამუკა გვაძაბიას თქმით, ეს კანონი მოიცავს არა მარტო ყოფილი სპეცსამსახურების თანამშრომლების ლუსტრაციას.

მამუკა გვაძაბიას განცხადებით, „თავისუფლების ქარტიის“ მიღება მოხდა დასავლეთის მოთხოვნით. „დასავლეთის კატეგორიული მოთხოვნა იყო, ამ კანონის იმ ფორმით მიღება. რომელიც საშუალებას მისცემდა ხელისუფლებას თუ თვითლუსტრაცია იქნებოდა საჭირო, მოეხდინა თვითლუსტრაცია, თუ სხვისი ლუსტრაცია იქნებოდა საჭირო, სხვისი ლუსტრაცია მოეხდინა. როგორც ვიცი, სიტყვა „ლუსტრაცია“ განბანვას ნიშნავს. ვნახოთ, რამდენად განბანს ეს კანონი პოლიტიკურ სპექტრს, — ამბობს იგი.

***— ბატონო მამუკა, ახლა ლუსტრაცია უცხო ქვეყნის აგენტების გამოვლენას, გამოაშკარავებას ნიშნავს.***

— გასაგებია. მე ცოტა ირონიით ვამბობ, რამდენად განბანს ეს კანონი „ცოდვილებს“, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი კანონის მიღება საჭირო იყო და ეს ნაბიჯი გადაიდგა. ამ კანონს არ განვიხილავ რევანშისტული შურისმაძიებლური განწყობილებების დასათესად საზოგადოებაში.

***— დარწმუნებული ხართ, ხელისუფლება მისი ოპონენტების წინააღმდეგ სწორედ რომ რევანშისტული მიზნებისთვის არ გამოიყენებს?***

— არც ხელისუფლებაში და არც სხვაში დარწმუნებული არ ვარ. დარწმუნებული ჩემ თავში ვარ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს არ უნდა იყოს რევანშისტული მომენტებისთვის გამოყენებული. თუმცა, ის ადამიანები, რომლებიც იმპერიის ყველაზე რეაქციულ სტრუქტურებში, სპეცსამსახურებში იყვნენ თავის დროზე დასაქმებულები, პოლიტიკურ თანამდებობებზე არ უნდა მუშაობდნენ. ადრეც ვთქვი, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას განიავება სჭირდება დახუთული ოთახივით. თუ ეს კანონი ბოლომდე იქნება ამოქმედებული, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას მართლაც გაანიავებს. პოლიტიკურ ცხოვრებას უცხო ქვეყნის, მით უმეტეს, მტრულად განწყობილი სახელმწიფოს სპეცსამსახურის თანამშრომლები საქართველოს ლოგიკურ განვითარებას ხელს უშლიან.

***— როგორც ვიცი, ყოფილ სიციალისტურ ქვეყნებში ეს 20 წლის წინ გააკეთეს და ასეთ პიროვნებებს, ანუ ყოფილ ფუნქციონერებს და სპეცსამსახურის თანამშრობლებს აუკრძალეს 10-15-20 წლით პოლიტიკური მოღვაწეობა, სახელმწიფო სამსახურში ყოფნა. არსებულმა ხელისუფლებამ ეს 20 წლის შემდეგ გააკეთა. ზოგიერთი პირი 20 წელი პოლიტიკურ არენაზე იყო, ახლა კი პოლიტიკური არენიდან წავიდა. შეიძლება ზოგი ახლა სპეციალურ სამსახურებთან აღარც თანამშრომლობს. ახლა შეზღუდვების დაწესება რა შედეგს მოიტანს?***

— 20 წლის წინ ეს ხელისუფლება ასეთ კანონს ვერ მიიღებდა. 20 წლის წინ ვინც იყო, დაინტერესებული გახლდათ, რომ ეს კანონი არ მიღებულიყო.

***— 20 წლის წინ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იყო.***

— ამ შემთხვევაში მის შემდეგ პერიოდზე ვსაუბრობ, მაგრამ ზვიად გამსახურდიას დროსაც მისი გარემოცვის ძალიან დიდი ნაწილი დაინტერესებული იყო, ასეთი კანონი არ მიღებულიყო. ასეთი სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, ის ხელისუფლება არ დაემხობოდა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს ზუსტად სპეცსამსახურების თანამშრომლებმა და სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე ელემენტებმა, რომლებიც იყვნენ როგორც მთავრობაში, ასევე საკანონმდებლო ორგანოში ზვიად გამსახურდიას ირგვლივ. ეს ზვიადმაც იცოდა და ჩვენც ვიცით. ეს ხელისუფლება თითქმის 8 წელია ხელისუფლებაშია.

***— სააკაშვილი და მისი ჯგუფი (1995 წლიდან) 16 წელია ხელისუფლებაში არიან.***

— მე ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდზე ვსაუბრობ. ეს კანონი ადრე რომ მიეღოთ, ეს ქვეყნის უსაფრთხოებას წაადგებოდა, მაგრამ მიიღეს დღეს. თუ ვინმემ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა შეწყვიტა, მშვიდობის გზა ჰქონია, ოღონდ ქვეყნის უსაფრთხოებას ხელი არ შეუშალოს, თუ ის ადამიანები, რომლებიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ და დღეს აღარ თანამშრომლობენ, თანაც ქვეყნის წინაშე დანაშაული არ მიუძღვით. მე არ ვარ მათზე გამოკიდებისა და რევანშისტული განწყობილებების მომხრე.

***— თქვენ არ ხართ, მაგრამ ხელისუფლება იქნება რევანშისტული დამოკიდებულების მომხრე, რადგან ეს მას დასჭირდება.***

— არავითარ შემთხვევაში, ქვეყანაში კანონის მიღების შემდეგ, ეს კანონი შერჩევითი გამოვლენისთვის არ უნდა გამოიყენოს. ხელისუფლებაში, არასამთავრობო სექტორში თუ ოპოზიციაში კანონი ყველას თანაბარზომიერად უნდა მიესადაგოს. ეს არის ელემენტარული სამართლებრივი კულტურის საკითხი.

***— რა უშლიდა ხელს 1995 წლის ხელისუფლებაში მოსულ სააკაშვილსა და მის ჯგუფს, რომლებსაც უმაღლესი თანამდებობები ეჭირათ, ლუსტრაციის კანონი მიეღოთ? სააკაშვილი იყო უმრავლესობის ლიდერი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, ანუ ისეთი თანამდებობები ეჭირა, რომ მის მიერ დაყენებული საკითხი უსათუოდ გავიდოდა.***

— არ ვიცი, ამდენი ინფორმაცია არ გამაჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული კანონი ახლა მიიღეს. თქვენ მიერ მითითებულ დროში ის ელემენტები სჭარბობდნენ ხელისუფლებაში, რომლებიც ასეთ კანონს არ მიიღებდნენ. როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაში მხარს არ დაუჭერდნენ, არც ამ კანონის ინიცირება მოხდებოდა. ამაში დარწმუნებული ვარ.

***— თუ ამას დავიჯერებთ, სააკაშვილი 2003 წელს მოვიდა ხელისუფლებაში, დღეს კი 2011 წელია, მას მეორე ვადით პრეზიდენტობის ვადა გასდის. მისი ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო მომენტში ამ საკითხის გააქტიურება რას უნდა ნიშნავდეს? სააკაშვილი თავისი ოპონენტების მიმართ დაუნდობელია და „თავისუფლების ქარტია“ მათ წინააღმდეგ სამოქმედოდ ხომ არ სჭირდება?***

— თუ ეს კანონი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, პოლიტიკური ოპონენტების გასანეიტრალებლად თუ ვიღაცას ვიღაცის წინააღმდეგ სჭირდება, მე ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ კანონის ფარგებს არ უნდა გასცდეს.

***— მე სწორედაც რომ იმაზე ვსაუბრობ, შეიძლება პირი არ იყოს სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე, მაგრამ საქმე შეითხზას. სააკაშილისა და მისი რეჟიმისთვის მსგავსი რამ უცხოა თუ რა?***

— ნებისმიერი არასამართლებრივი ქმედება, ნებისმიერი არაკანონიერი გადადგმული ნაბიჯი, მათ შორის ხელისუფლებისა, არის დასაგმობი. თუ არამართლზომიერად, არასამართლებრივად, პოლიტიკური მოწინააღმდეგის გასანეიტრალებლად იყენებ სახელმწიფო წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებულ კანონს, რა თქმა უნდა. ცუდია, მაგრამ ახლა ამის ფაქტები არ მაქვს. თუკი მსგავსი რამ მოხდება, როცა ამისთანა ქმედების მსხვერპლი იქნება, მე ვიქნები პირველი და თუ შემეძლება, ვიტყვი.

***— სხვათა შორის, არსებობს ძალიან მყარი აზრი იმის თაობაზე, რომ დღეს ხელისუფლებაში არის კგბ-ს ბოლო თაობა. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე (ყოფილმა თუ ახლანდელმა) ერთმა ნაწილმა მეორე ნაწილი ჩაძიროს? თუ ჩავუღრმავდებით, ჩაძირავს ის, ვინც არის ხელისუფლებაში, ანუ ვისაც მეტი ბერკეტი აქვს, ვინც ძლიერია და ამ კანონს გამოიყენებს შემდეგ ხელისუფლებაში დასარჩენად ან მოსასვლელად.***

— რაც შეეხება აზრს, რომ ხელისუფლებაში კგბ-ს ბოლო თაობაა, ეს მე ასე არ მიმაჩნია იმიტომ, რომ ამის ფაქტები არ გამაჩნია. აქტები რომ მქონდეს, რა თქმა უნდა, ვიტყვი. აღნიშნული კანონის ამ კუთხით განხილვა ჩემი მხრიდან აბსოლუტურად არასწორი იქნებოდა. თუ ვინმე ამ კანონის პოლიტიკური მოწინააღმდეგეა არასამართლებრივი გზებით ჩამოსაცილებლად, დასაგმობია. თუ ასეთი რამ იქნება, აუცილებლად ვიტყვი.

***— ისე, რაც ამ ხელისუფლებამ გააკეთა, მეტი ლუსტრაცია რაღა გინდა?***

— რას გულისხმობთ?

***— საუბარია მათ მოქმედებაზე. მათი ბიოგრაფიიდან ჩანს, ვინ არიან, სად უსწავლიათ, კავშირები ვისთან ჰქონდათ და რა გააკეთეს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. სააკაშვილმა რაც გააკეთა ხელისფლებაში მოსვლის შემდეგ, მეტი სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა წარმოგიდგენიათ? მთელი ეკონომიკური ბერკეტები, სტრატეგიული ობიექტები მტრულ ქვეყანას ჩააბარა.***

— დღეს ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივ საკითხებზე. ამიტომ უფლებას ვიტოვებ, სამართლებრივ ჩარჩოებს არ გავცდე. მე ბრალმდებელი არ ვარ და ვერც ვიქნები.

***— ბრალს არც მე ვდებ ვინმეს. უბრალოდ, ვსაუბრობ იმ რეალობაზე, რაც არის. მეორე მხრივ, რა უშლიდა ხელს სააკაშვილს, თუნდაც ამ კანონის გარეშე ჩამოეცილებინა ხელისუფლებიდან ის პირები, ვინც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ?***

— სააკაშვილმა უცხო ქვეუნის სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე პირები ნელ-ნელა ჩამოიშორა, თორემ ხელისუფლება თავზე დაემხობოდა.

***— სახელმწიფო ჩამოეშალა და ამ ხელისუფლების ყოფნას რა აზრი აქვს? ქვეყანა არის დაქცეული, ტერიტორიები დაკარგული და ხელისუფლებაში სააკაშვილის ყოფნას რა აზრი აქვს?***

— მე მინდა ლოგიკური და მიუკერძოებელი ვიყო.

***— კი ბატონო, ტერიტორიები დაკარგული არ არის?***

— არის, მაგრამ თქვენ არ გინდათ ვისაუბროთ იმაზე, რომ, სამწუხაროდ, ქვეყანაში არის ისეთი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც „თავისუფლების ქარტია“ პირდაპირ შეეხება?

***— რომელ სახელმწიფო ორგანოს გულისხმობთ?***

— ეს სახელმწიფო ორგანო არის. ე.წ. უმაღლეს საბჭოში არიან ყოფილი საბჭოთა ფუნქციონერები, რომლებიც ამ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, იმ თანამდებობებზე უკვე აღარ უნდა იყვნენ. საქართველოს სირცხვილად მიმაჩნია, რომ ქვეყანა ღებულობდეს „თავისუფლების ქარტიას“, რომელიც ლუსტრაციის ელემენტებსაც მოიცავს, ეს ორგანო კი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ფუნქციონირებდეს.

***— თქვენი აზრით, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ყოფილ საბჭოთა ფუნქციონერებს რეალურად აეკრძალებათ სახელმწიფო სამსახურში ყოფნა?***

— შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს ორგანო კანონის მიღებამდე იყო არჩეული, მაგრამ კანონში პირდაპირ ავალდებულებს, რომ გარკვეული კატეგორიის ფუნქციონერები სახელმწიფო სტრუქტურებში აღარ უნდა იყვნენ. იმის დასტურად, რომ ე.წ. ლეგიტიმურ უმაღლეს საბჭოში არიან ისეთები, ვისაც ეს კანონი ეხება, მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო, ამ ორგანოს წევრი არის დღესაც აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განყოფილების გამგე და უცხოეთის ქვეყნებთან ერთობლივი ეკონომიკური მუშაობის ეკონომიკური კონსულტანტი.

***— რომელ წლებში იყო?***

— ეს იყო საბჭოთა პერიოდში.

***— „კონსულტანტი“ ფორმალური თანამდებობა ხომ არ იყო?***

— არა, ფორმალური თანამდებობა არ არის. მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეს იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საშტატო ერთეული. ამ თანამდებობდაზე მომუშავე პიროვნება დღესაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრია. ეს მინდა სათანადო ორგანოების გასაგონად ვთქვა.

***— მოგეხსენებათ, სუკს თანამშრომელთა დიდი ბაზა ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, კგბ-სთან კავშირები არ გაწყდა?***

— ზოგიერთმა ადამიანმა თავისი პიროვნული მრწამსიდან და სინდისიდან გამომდინარე, შეიძლება იმპერიულ სტრუქტურებთან საქმიანობა შეწყვიტა, მაგრამ, როგორც გადმოცემით ვიცი, ეს სტრუქტურა ისეთნაირად იყო ორგანიზებული, როგორც შტატიანი, ასევე უშტატო თანამშრომლების მიმართ ისეთ გავლენას ინარჩუნებდა და იმდენი კომპრომატები ჰქონდა შეგროვებული, რომ დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურ უმრავლესობაზე გავლენას ინარჩუნებდა. მაგალითად, გივი ლომინაძე, რომელიც ფაქტობრივად სუკის მაღალჩინოსანი იყო, რომელმაც ძალიან სერიოზული გავლენა მოახდინა აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ეს არის პიროვნება, რომელიც ქართველების განიარაღებას ხელმძღვანელობდა აფხაზეთში, თუ მოსახლეობის დემილიტარიზაცია მოხდებოდა, ეს მარტო ქართველების ხარჯზე არ უნდა მომხდარიყო. ამ პიროვნებამ ქართველების აბსოლუტური განიარაღება მოახდინა, შემდეგ ამოღებული იარაღი სოხუმის მექანიკურ ქარხანაში მიიტანა, სინამდვილეში იარაღი ქარხანაში კი არ მიიტანა, ქარხნის ხელმძღვანელობას უშუალოდ ზეწოლის ქვეშ ცნობა გამოართვა, რომ ქართველებისაგან ამოღებული იარაღი სოხუმის მექანიკურ ქარხანაში განადგურდა. სინამდვილეში ის იარაღი არ განადგურებულა.

***— ასე დაწვრილებით საიდან იცით?***

— ვიცი. პიროვნებამ, რომელმაც ამ ოპერაციას უხელმძღვანელა, ამისთვის მიიღო შს სამინისტროს გენერლის წოდება, ეს იყო გივი ლომინაძე. პირველი, ვინც მას გენერლობა მიულოცა, ვლადისლავ არძინბა იყო. პიროვნება, რომელმაც არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთიდან მოსახლეობა არ გამოდევნილიყო, ბედის ირონიაა, რომ ის დღეს იმ საკანონმდებლო ორგანოს წევრად ითვლება, რომელიც დევნილთა ინტერესებს უნდა გამოხატავდეს. რისთვის მიიღო გენერლობა გივი ლომინაძემ? ფაქტობრივად, ქართველთა განიარაღებისთვის. ფაქტობრივად, ის იარაღი, რომელიც უნდა განადგურებულიყო, ქარხნის დირექტორზე ზეწოლის შედეგად გაკეთდა ცნობა, თითქოს განადგურდა. მეტი სალუსტრაციო მიზეზი რა გინდა. ასეთ ადამიანებზე ამ კანონის მისადაგება ძალიან მარტივია.

***— თქვენ მოითხოვთ, რომ ეს კანონი ამოქმედდეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიმართ?***

— მოვითხოვ, ეს კანონი ამოქმედდეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატების მიმართ, რომლებიც თავის დროზე სუკის საშტატო განაკვეთით მუშაობდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში, გამოვლენილ იქნან და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდნენ.

***— ვინ არის, გვარი დაასახელეთ.***

— გვარს არ დავასახელებ.

***— ვთქვათ, სუკის შტატით მინისტრთა საბჭოში მუშაობდა, დანაშაული რა არის?***

— ეს ადამიანი ახლა მიღებული კანონის გავლენის სფეროში ხვდება.

## გერმანიას შეუძლია რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენას ხელი შეუწყოს

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას განცხადებით, მან იცის, როგორ უნდა მოაგვაროს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები. ამის შესახებ ალასანიამ რუსულ გამოცემა „მოსკოვსკიე ნოვოსტისთან“ ინტერვიუში განაცხადა.

— მე პირადად ვიცნობდი და ვაფასებდი ბალაფშს. მომავალში მას შეეძლო მნიშვნელოვანი როლის შესრულება ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების აღდგენაში. ახლა ვინც არ უნდა აირჩიოს აფხაზმა საზოგადოებამ თავის ხელმძღვანელად, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მასთან მოლაპარაკებები, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს არ იქნება ლეგიტიმური არჩევნები. ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები და გავითვალისწინოთ რუსეთის ფაქტორი.

ქართულ-აფხაზური დიალოგის დაწყების პარალელურად, ჩვენ უნდა ვიფიქროთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზეც. ეს კი დღევანდელი ანტაგონიზმის შენარჩუნების შემთხვევაში შეუძლებელია. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა ჩვენ გვაშორებს აფხაზებს და ოსებს, რაც ხელს უშლის კონფლიქტის მოგვარებას. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს რესურსი აფხაზებისა და ოსების ნდობის მოპოვებისთვის. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს, რათა ადგილობრივმა საზოგადოებამ დაივიწყოს აღნიშნული პრობლემები, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

ალასანია თქმით, 2008 წლის ომის შემდეგ, ყველამ დაინახა რას წარმოადგენს რეალურად მიხეილ სააკაშვილი. მანამდე სააკაშვილმა შეძლო საერთაშორისო პარტნიორების შეცდომაში შეყვანა, პიარისა თუ პირადი კონტაქტების მეშვეობით, ახლა კი ყველაფერი შეიცვალა.

— ჯოზეფ ბაიდენი და ყველა ამერიკელი პოლიტიკოსი ეუბნება მას, რომ მან უნდა ჩაატაროს სამართლიანი არჩევნები და წავიდეს. ეს ხაზი შეუცვლელია. ანტაგონისტური ურთიერთობები რუსეთთან, საქართველოს ხელს უშლის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციაში. ევროპას, კონკრეტულად კი გერმანიას აქვს ძალიან დიდი პოტენციალი აღადგინოს მოსკოვსა და თბილისს შორის პოლიტიკური ურთიერთობები. ამ სამკუთხედმა, რუსეთი-გერმანია-საქართველო, სააკაშვილის შემდგომ პერიოდში, შესაძლოა, წარმატებულად იმუშაოს. მე აღნიშნული საკითხი უკვე განვიხილე ანგელა მერკელის ადმინისტრაციაში, კანცლერის მრჩეველთან კრისტოფერ ჰოისგენთან საუბარში, — აღნიშნა ალასანიამ.

მედიანიუსი

# „ახლებმა“ პოლიტიკა ბიზნესად აქციეს

## საზოგადოებაში 39 ვერცხლის თემა ყოველთვის აქტუალურია

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მოძრაობის წევრ მამუკა გიორგაძეს ღიმილს ჰგვრის ოქრუაშვილის მხრიდან კამაზით და ჟანგიანი თოფებით ხელისუფლების დამხობაზე საუბარი. მისი თქმით, ოქრუაშვილი სააკაშვილს სჭირდება მტრის ხატის შექმნისთვის, რადგანაც იგორ გიორგაძემ და ებრალიძემ არ გაამართლეს. სახალხო პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ რვიანის წევრები ხელისუფლებას გაურიგდნენ და რომ ხელისუფლება ყველა მათგანთან ცალ-ცალკე აწარმოებდა მოლაპარაკებას.**

— პოლიტიკური ექვსეული რასაც აქამდე აკეთებდა, იმას გააგრძელებს. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრდა, რომ სხვისი უვარგისობის გამო, ვიღაცის რეიტინგი მატულობს. მაგრამ ეს არის დროებითი მოვლენა. ეს დასრულდება ექვსეულის პირველივე ქმედებების დაწყებამდე. დღეს შეიძლება ექვსეულს გაუკეთდა რეაბილიტაცია, ისინი უფრო პრინციპულები აღმოჩდნენ, მაგრამ რვიანში რომ იყვნენ, იმ ექვსეულმა რა გააკეთა? კარგით, ახლები და ქრისტიან-დემოკრატები გაიყიდნენ, მაგრამ დანარჩენი ექვსეული რას გვთავაზობს? თუ მათ რეალურად ჰქონდათ ბრძოლის სურვილი, ამაზე კარგ მომენტს ვერ იპოვიან, იმიტომ, რომ 26 მაისის შემდგომ მათი მდგომარეობაც ძალიან სუსტი იყო. დღეს ახლებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა ცოტათი შეუმსუბუქეს. აიღონ ინციატივა ხელში და წერტილი დაუსვან უნიათო საუბრებს, — აცხადებს მამუკა გიორგაძე.

გთავაზობთ ინტერვიუს **მამუკა გიორგაძესთან:**

***— ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით, ოპოზიციური რვიანის მიერ ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით წარმოებული მოლაპარაკებების შედეგს? რა იყო რეალურად ეს პროცესი და ორი სუბიექტის ხელმოწერამ ხელისუფლების დოკუმენტზე, რა გამოკვეთა?***

— პრაქტიკულად აჩვენა, რომ კაციობრიობაში 30 ვერცხლის თემა მუდმივად აქტუალურია, უბრალოდ, გასარკვევია კურსი. სხვა მხრივ ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა. რვიანი — ეს იყო პროცესი ხელისუფლებასთან ვაჭრობის. ეს პრაქტიკულად ზედმეტად არც არავის დაუმალავს. რა უნდა ეროვნული ან საკაცობრიო მიზნებით საკუთარი ბიზნეს-გარიოგებების შეფუთვას. ამას არაფერი არ სჭირდება. პრაქტიკულად მიდმინარეობდა მოლაპარაკება ქართველი ხალხის ზურგს უკან გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. მოლაპარაკების ძირითადი თემა იყო, როგორ გავაბითუროთ ქართველი ხალხი. ამ პროცესი ზოგი პარტია წინ წავიდა, ზოგისთვის კურსი დაბალი იყო. ზოგმა უფრო მეტი მოითხოვა და ა. შ. ეს უკვე ტექნიკური დეტალებია. პროცესი ისე ვითარდება, როგორც უნდა განვითარებულიყო. შესაბამისად ვიკამათოთ ამა თუ იმ პარტიის დამოკიდებულების ხარისხზე, ვიკამათოთ მათი სიმსუნაგის ხარისხზე. ასე დეტალებში ჩაღრმავება აზრს კარგავს. მთავარია, რომ ეს იყო პროცესი გარიგებებისა და პროცესი იმისა, რომ ქართული პოლიტიკა წარმოდგეს როგორც ბიზნესი, წარმატებით მიმდინარეობს.

***— თქვენი აზრით, რვიანის მხრიდან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით ხელისუფლებასთან საუბარიც არ ყოფილა?***

— ნამდვილად არ იყო საუბარი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე. რას ნიშნავს ტირანულ სახელმწიფოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება? ამ შეკითხვას პრაქტიკულად პასუხი ვერ გასცა ვერც ერთმა მონაწილე სუბიექტმა. თუ ტირანიად არ აფასებ ამ ხელისუფლებას, ეს სხვა საკითხია. თუ არადა, ტირანიასთან ასეთი მეთოდებით ბრძოლას აზრი არა აქვს. მეორეც, ხელისუფლებას რომ ელაპარაკები, მთლიანად ოპოზიციურ სპექტრში და ქართველ საზოგადოებასთან გაარკვიე ურთიერთობა? ერთხელ მაინც იკითხეს რჩევა იმ პარტიებისაგან, რომლებიც ხელისუფლებასთან



არასოდეს გარიგებულან, თუ რომელი პუნქტები უნდა დადგეს მოლაპარაკების პროცესში, ერთხელ მაინც გამოაქვეყნე სად გადის შენი დათმობების ქვედა ზღვარი? ან ახლა მაინც ვინ დარჩა იმ რვიანიდან, მათ უთხრეს ქართველ საზოგადოებას, თუ სად არის ის ქვედა ზღვარი, რომელიც იქითაც არც ერთ შემთხვევაში არ დათმობენ არც ერთ პუნქტს? მსგავსი რამ არ მომხდარა. სამწუხაროდ, ეს იყო ძალიან დახურული და გაუმჭვირვალე პროცესია. ასეთი გარიგება ხელისუფლებასთან ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარ არა გაქვს პრინციპები ჩამოყალიბებული და არ იცი, როდის, რა ეტაპზე გაურიგდები ხელისუფლებას. ვიღაცამ იმსუნაგა და ცოტა ადრე გაურიგდა. ვიღაცა მოგვიანებით გაურიგდება, ვიღაც გადაგდებული იქნება. მსგავსი პროცესი მრავალი იქნება. თუნდაც ედპ და ლეიბორისტები 7%-იან ბარიერთან დაკავშირებით. თავიდან თავს იკლავდნენ, საბოლოოდ კი გადაგდებულები აღმოჩნდნენ. გვახსოვს, ამ რვიანის წევრებიდან გარკვეული პარტიები როგორ ჩაერთნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რომელთა ნაწილი კვლავ გაურიგდა ხელისუფლებას, ნაწილი გადაგდებული აღმოჩნდა, ნაწილი კი მცირედით დააკმაყოფილეს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ბევრი რამ გვინახავს. ამიტომ არ გვიკვირს ამ პარტიების მოქმედებები. პირველად არ ყოფილან ისინი ამ მდგომარეობაში.

***— რვიანის წევრები ამტკიცებდნენ, რომ უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდათ და ამ მხარდაჭერით აიძულებდნენ სააკაშვილს უკან დაეხია.***

— ერთადერთი, რასაც სიმართლეს ამბობდნენ, სწორედ დღეს ქართულ ოპოზიციას უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს. ეს ნამდვილად სიმართლეა. სიმართლეა, რომ უკვე ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში დიპლომატიური და პოლიტიკური ეტიკეტის დარღვევითაც ხდება საქართველოს ხელისუფლების შეფასებები. ამის მიუხედავად, რას ვიზამთ, სიმსუნაგე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ჩემი აზრით, ამ საერთაშორისო მხარდაჭერის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია. რვიანი სათანადოდ რომ დამდგარიყო და საერთაშორისო მხარდაჭერა გამოეყენებინა, უკეთესი შედეგი იქნებოდა. საერთაშორისო ორგანიზაციებს ნამდვილად არ ეგონათ, რომ რვიანის წევრები ასე დაბალ ფასში გაიყიდებოდნენ.

***— თქვენი აზრით, „ახლები“ და ქრისტიან-დემოკრატები მართლაც გაიყიდნენ და ხელისუფლებას ფინანსების გამო გაურიგდნენ?***

— სიმართლე რომ გითხრათ, ეს თავადაც არ დაუმალავთ. იმიტომ, რომ მთავარი არგუმენტი რაც თქვეს, ის არის, რომ პარტიისთვის მილიონი ლარი ძალიან სერიოზული თანხაა. პრაქტიკულად სხვა არგუმენტი არც უთქვით. მათ თქვეს, რომ ხელისუფლების შემოთავაზებები წინანდელს სჯობია და მეორე, პარტიას სჭირდება ფული. თუ ასე არ არის, რაიმე არგუმენტი ხომ უნდა გვითხრან, რით გაუმჯობესდა წინასაარჩევნო კანონი. გამოიკვეთა, რომ ეს ადამიანები პრაქტიკულად ყოველთვის მზად არიან მიიღონ ის გადაწყვეტილებები, რომელიც ხელისუფლებას სჭირდება. ეს, რა თქმა უნდა, მათი უფლებაა, მაგრამ საკუთარი და ქვეყნის კეთილდღეობა ერთმანეთში რომ არ უნდა გააიგივონ, ეს უნდა იცოდნენ, რომ ეს დანაშაულია. სჯობია პირდაპირ თქვენ, რომ პოლიტიკა ჩვენთვის ბიზნესია. სჯობია თავად დააკონკრეტონ, რომ ამ ბიზნესში არიან ჩართული და ამით ფულს აკეთებენ. ვფიქრობ, ქართველმა საზოგადოებამ მათ უფლება უნდა ჩამოართვას შემდეგი სიტყვები გამოიყენონ: ეროვნული ინტერესების, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ა. შ.

***— კაციტაძის თქმით, რვიანმა ფუნქცია ამოწურა და ხელისუფლებამ იმ წინადადებების ნაწილი დააკმაყოფილა, რომელსაც რვიანი მას უყენებდა.***

— ამაში მე მამუკა კაციტაძეს ვეთანხმები. ის ამაში გულწრფელია და სწორს ამბობს. რადგან რვიანი არ შექმნილა იმისათვის, რომ საქართველოში საარჩევნო გარემო და პოლიტიკური პროცესი გაჯასანღებულიყო. რვიანი სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ ის მოაზრებული ყოფილიყო გარკვეულ პერიოდამდე. როდესდაც გარკვეული რადიკალური მუხტი არსებობდა ქართველ საზოგადოებაში, რომ ვითომ ეს რვიანი ალტერნატივად წარმოჩენილიყო და საარჩევნო გარემოზე გვესაუბრა. ერთის მხრივ, ბურჯანაძემ თავისი არასწორი ქმედებებით ამ პროცესს ყელი გამოღადრა და მეორეს მხრივ, როგორც კი ეს ყელი გამოღადრული იყო და ხელისუფლებას აღარ დასჭირდა ამ პროცესის ალტერნატიულ პროცესზე საუბარი, რვიანმაც ამოწურა თავისი თავი. ამაში კაციტაძე გულწრფელია და სიმართლეს ამბობს. როგორც კი დამთავრდა ის პროცესი, რომელიც ხელისუფლებსითვის ყველაზე მეტად არის საშიში და დღესაც არის საშიში — ქუჩის აქციები, ოღონდ სწორი მიმართულებით წარმართული და არა ისე, როგორც ქართული პარტია და სხვები მიდიოდნენ, რადიკალური განცხადებებით და უნიათო ქმედებებით, ხომ შეიძლება ის სუბიექტი გამოჩენილიყო პოლიტიკურ მოედანზე, რომელიც სწორედ წაიყვანდა მოსახლეობის საპროტესტო მუხტს. სწორედ ამისთვის დამცავ მექანიზმად, ე.წ. პამპერსად, იყო გამოყენებული რვიანი ხელისუფლებისთვის. როგორც კი საშიშროება დამთავრდა ამ ყოველივესი, რვიანმაც თავისი თავი ამოწურა. ბოლო მომენტში გარკვეულმა ჯგუფებმა იფიქრეს, საერთოდ გადაგდებული რომ არ აღმოვჩნდეთ, იმას დავთანხმდეთ, რასაც გვაძლევენო. თუმცა მათ ნამდვილად უნდა იცოდნენ, რომ გადაგდებამდე ერთი ნაბიჯია და როგორც არაერთხელ გადაუგდიათ, ამ მდგომარეობაში შეიძლება კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ.

***— გადაგდებაში იმას გულისხმობთ, რომ ახლებმა შეიძლება 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახონ საპარლამენტო არჩევნებში?***

— რა თქმა უნდა. მსგავსი პრეცედენტი მრავალი ყოფილა საქართველოში. ნაცმოძრაობა არ არის ის ორგანიზაცია, რომლის სიტყვასაც ადამიანი, ან პოლიტიკური ძალა ენდოს. სამწუხაროდ, მსუნაგობა ხშირად პოლიტიკურ ინტერესებს სჯობნის. ამიტომ ძალიან ბევრი პიროვნება და ჯგუფი აღმოჩენილა გადაგდებული, ან სასაცილო მდგომარეობაში.

***— რადგან პროცესი გარიგებით დასრულდა, ფიქრობთ, რომ სწორედ ამის გამო იყვნენ რვიანის წევრები, მათ შორის „ახლები“ რვიანის გაფართოების?***

— რა თქმა უნდა. ფიქრობდნენ, რომ ტორტის ნაჭერი სხვა პოლიტიკურ ძალასაც არ დაეთრია. აკეთებდნენ, რომ მოლაპარაკების პროცესში სხვა არავინ უნდა ყოფილყო ჩართული რვიანის წევრების გარდა.

***— ბოლო დღეებმა გამოკვეთა, რომ ახლებმა სააკაშვილს ძალაუფლება გაუმყარეს?***

— ყველა ის ადამიანი, რომელიც ქვეყნის ხარჯზე საკუთარი პირადი კეთილდღეობის მიზნით სააკაშვილთან შედის ასეთ უპრინციპო გარიგებაში, ყველა დამნაშავეა ყველა იმ ქმედებაში, რასაც ხელისუფლება ჩაიდენს. ნუ გვავიწყდება, რომ ახლები იყვნენ ის პოლიტიკური ძალა, რომლებმაც 2004 წელს დაუშვეს პრეცედენტი და ხელისუფლებას უფლებები გაუზარდეს. მხედველობაში მაქვს 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ ოპოზიცია ზრუნავდეს ხელისუფლების უფლებების გაზრდაზე. ყველამ კარგად იცის, რომ ამ მხრივ გარკვეული ფინანსური ინტერესიც იყო.

---

## სასამართლოს შესაძლოა, მამობის დადგენაზე უარის თქმის უფლება მიეცეს

სასამართლოს შესაძლოა, მამობის დადგენაზე უარის თქმის უფლება მიეცეს, თუ ეს ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება,. მამობის „მეორე“ პრეტენდენტს კი დავის შესაძლებლობა ექნება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სამოქალაქო კოდექსში“ შედის.

ამავე კანონპროექტით, მამობაში დარწმუნებულ მშობელს, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც ექნება.

კერძოდ, როდესაც სასამართლო ბავშვის მამობას დაადგენს, მის გადაწყვეტილებას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამის ორგანოს გადაუგზავნის, რათა საჭირო ჩანაწერებში სპეციალური მითითებები გაკეთდეს.

ამის შემდეგ კი პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის თაობაზე შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო და?ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის შესახებ.

კანონპროექტის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელია“, ინიციატორი კი დეპუტატი რუსუდან კერვალიშვილი.

კანონპროექტი პარლამენტში უკვე შევიდა.

**ინტერპრესნიუსი**

---

# დეპუტატების რაოდენობა პარლამენტმა უნდა განსაზღვროს

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი გია ნოდია მიიჩნევს, რომ დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა-შემცირების საკითხი პარლამენტის გადასაწყვეტია.

— დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა-შემცირების საკითხი წმინდა იურიდიული თვალსაზრისით პარლამენტის გადასაწყვეტია, — ამბობს ნოდია.

საქართველოში 2003 წელს რეფერენდუმის შედეგად საქართველოს მოსახლეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დეპუტატთა რაოდენობა 150-მდე შემცირებულიყო.

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, 2003 წელს რეფერენდუმი არ ჩატარებულა, რადგან რეფერენდუმი კონსტიტუციის გათვალისწინებით ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ტარდება. რადგან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ ჩატარდა, აქედან გამომდინარე, ეს იყო პლებისციტი.

გია ნოდიას თქმით, თავის დროზე ამ რეფერენდუმის კანონიერება ეჭვქვეშ იდგა და დეპუტატთა რიცხვის შემცირებისას, რეფერენდუმის შედეგები პარლამენტმა უბრალოდ მოიშველია.

— კონსტიტუციით პარლამენტს ამის გაკეთება რეფერენდუმის გარეშეც შეეძლო. რადგან რეფერენდუმი ჩატარდა, ეს გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემას იწვევს, მაგრამ წმინდა იურიდიული თვალსაზრისით დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა-შემცირება პარლამენტის გადასაწყვეტია. — განაცხადა გია ნოდიამ.

ნაციონალურ მოძრაობასა და რამდენიმე პარტიას შორის გაფორმებული საარჩევნო შეთანხმების თანახმად, პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-იდან 190-მდე უნდა გაიზარდოს.

პარლამენტართა რაოდენობა 235-დან 150-მდე 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად შემცირდა.

რეფერენდუმის შესახებ კანონის თანახმად, რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით. რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

როგორია პარლამენტართა პოზიცია ამ საკითხზე, ამ კითხვაზე პასუხი, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ცნობილია.

თავის დროზე მიღებული გადაწყვეტილება დეპუტატთა რაოდენობის შემცირებისა სხვადასხვა არგუმენტებით იყო გამყარებული. მაშინ ერთ-ერთ არგუმენტად დასახელებული იყო დეპუტატთა ხარჯები და მათი შენახვა, რომელიც ბიუჯეტს ძვირი უჯდებოდა.

ქუთაისში ახლად აშენებულ პარლამენტში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შეიძლება არა 150 დეპუტატი გვყავდეს, არამედ 190 დეპუტატი.

როგორ განვითარდება მოვლენები, ამას დრო გვიჩვენებს.

ოპოზიციური ექვსიანი დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის საკითხს ისევე არ ეთანხმება, როგორც დანარჩენ საკითხებს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ეს საკითხი შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს მათთვის.

---

## 11 წლის მოზარდის გარდაცვალების მიზეზი უახლოეს დღეებში დასახელდება

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი 11 წლის დავით კოკაიას დაღუპვის ზუსტი მიზეზის შესახებ ინფორმაციას რამდენიმე დღეში გაარვცელებენ. როგორც აღნიშნულ ცენტში აცხადებენ, მოზარდის გარდაცვალების მიზეზებს ექიმები ამ დრომდე ადგენენ და გამოკვლელევბი ტარდება. გამოსაკვლევი მასალა დაავადებათა კონტროლის ცენტრში დღესვე გადაიგზავნება. გამოკვლევების დასრულებისთანავე სრულ ინფორმაციას გაავრცელებენ. ცენტრი საბოლოო დასკვნას 3-4 დღეში გამოაქვეყნებს. შეგახსენებთ, რომ წუხელ იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი მოზარდის დაღუპვის მიზეზად ერთ-ერთი ვერსიით, ევროპაში გაარცელებული ნაწლავური ინფექცია „იკოლი“ სახელდება.

**მედიანიუსი**

## განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული, წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 34 წლის თემურ საინიშვილი.

2011 წლის 21 თებერვალს, საინიშვილმა ქ. ქობულეთში, საკუთარ ბინაში, კაშნით დაახრჩო მეზობელი, 1935 წ.დ. ლიდია გრიგოროვა. შემდეგ, ბრალდებულმა გვამს მარცხენა ხელის თითი, რომელზეც საქორწინო ბეჭედი ეკეთა, მოაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ექსპერტ-კრიმინალისტებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს თითის ანაბეჭდები, რის საფუძველზეც მოხდა აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე პირის ვინაობის დადგენა.

მკვლელობისთვის ბრალდებულ თემურ საინიშვილს დანაშაულის ჩადენისას თან ახლდა გოჩა გოლომანიძე, რომელიც ასევე დაკავებულ იქნა აჭარის პოლიციის თანამშრომლების მიერ.

1985 წ.დ. გოჩა გოლომანიძეს ბრალად ედება დანაშაულის დაფარვა და შეუტყობინებლობა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 109-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით

მედიანიუსი

## რუსთავის იუსტიციის სახლს ყაზახეთის დელეგაცია ესტუმრა

გუშინ რუსთავის იუსტიციის სახლს ყაზახეთის სამთავრობო დელეგაცია ეწვია. მის შემადგენლობაში იყვნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ყაზახეთის შინაგან საქმეთა, აგრეთვე - კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სამინისტროების ხელმძღვანელი პირები.

ყაზახი სტუმრები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალი ბრენდის - იუსტიციის სახლის კონცეფციასა და სახელმწიფო მომსახურების სფეროში ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგებს გაეცნენ.

იუსტიციის სახლი - იუსტიციის სამინისტროს სერვისების სრულიად ახალი კონცეფციის მქონე საჯარო დაწესებულებაა, სადაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნოტარიუსთა პალატის სერვისები იდეურად და სისტემურად არის გაერთიანებული, რაც მომხმარებელთა სწრაფ და კვალიფიციურ მომსახურებას უზრუნველყოფს - მოქალაქე ყველა სერვისს ერთ სივრცეში იღებს.

ყაზახეთის დელეგაციის ვიზიტის მიზანი საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების გაცნობაა. სამთავრობო დელეგაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოებს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსაც ესტუმრა, სადაც დეტალურად გაეცნო ქართულ გამოცდილებას.

მედიანიუსი

## სოფლის გამგებელი ქრთამზე დააკავეს

ქრთამის აღების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ხვიჩა ცარიელაშვილი და ამავე სოფლის მცხოვრები ნუგზარ ხარხელი.

გამოძიებით დადგინდა, რომ ხვიჩა ცარიელაშვილმა ნუგზარ ხარხელის შეამდგომლობით ერთ ერთ მოქალაქეს დაუმზადა და გადასცა მეორადი სამშენებლო მასალის შესყიდვის ყალბი აქტი, რის სანაცვლოდაც მისგან ქრთამის სახით 1 400 ლარი აიღო.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338 ე მუხლით, რაც ითვალსიწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.

მედიანიუსი

## დევნილებისთვის ბერბუკში სამკერვალო გაიხსნა

დევნილი მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად შიდა ქართლში, სოფელ ბერბუკში სამკერვალო ქარხანა გაიხსნა. პროექტის „ახალი სამუშაო ადგილები შიდა ქართლის დევნილთათვის" ფარგლებში ღონისძიებას მინისტრი კობა სუბელიანი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი სიმონე ვოლკენი და შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი დაესწრნენ.

სამკერვალოში 500 ერთეული სასკოლო ფორმა შეიკერება, რომელსაც გორის ყოფილი ბუფერული ზონის სოფლების 3 საჯარო სკოლა უფასოდ მიიღებს. სამკერვალოში დასაქმებულები არიან დევნილები და ადგილობრივები.

როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა, კობა სუბელიანმა აღნიშნა: დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა საკმარისი არ არის. ჩვენი ერთ ერთი პრიორიტეტია მათი დასაქმებაც. დონორების დახმარებით სამუშაო ადგილების შექმნის მსგავს მეთოდებს მივმართავთ. გარდა ამისა, დევნილ მოსახლეობას ასევე ვაძლევთ მიწებს, ვურიგებთ შინაურ ფრინველებსა და ცხოველებს. ვისაც შრომა შეუძლია და სურვილი აქვს სოფლის მეურნეობით დაკავდეს, ჩვენი მხრიდან ხელშეყწობა ყოველთვის იქნება. საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის გარდა, ჩვენი მთავარი პრიოპრიტეტია დევნილ მოსახლეობას გავუჩინოთ შემოსავლის წყარო და სხვის დახმარებაზე აღარ იყვნენ დამოკიდებული.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა სათემო ორგანიზაცია „სამკერვალო სახლი-ბერბუკი",რომელიც 18 დევნილს აერთიანებს. სათემო ორგანიზაციის წევრებს ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის ტრენინგები, რომლებიც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქციის შეკერვასა და პროდუქციის რეალიზაციას.

სასკოლო ფორმების გარდა, სამკერვალო ფაბრიკაში დაგეგმილია სპორტული სამოსის, საძინებელის და სხვა სახის ტრიკოტაჟის დამზადება. მომავალში იგეგმება მაისურების, ბანერებისა და სხვა სახის თვალსაჩინოებების დამზადება.

სამკერვალო ფაბრიკა აშენდა და კეთილმოეწყო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროექტით, რომელიც განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციის „რეგიონალური განვითარების ინსტიტუტი-შიდა ქართლი" მეშვეობით. პროექტი დაფინანსებულია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლის სიმონე ვოლკენის თქმით:

სახელმწიფომ ბევრი რამ გააკეთა დევნილთა სახცოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, ასევე მნიშვნელოვანია მათი შემოსავლის წყაროს გაუმჯობესება. სამუშაო ადგილი ადამიანს აძლევს იმედს. დარწმუნებული ვარ, ეს სამკერვალო სახლი მისცემს იმედს აქ დასაქმებულ ადამიანებს.„

მედიანიუსი

## სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონი გაიმართა

საქართველოს ეროვნული ბანკის 182-დღიან ₾26, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე 25 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ფასიანი ქაღალდები შეიძინა ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 8.64%-ით, მაქსიმალური 8.82%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი 8.75% ით განისაზღვრა

მედიანიუსი

# დემურ გიორხელიძე: „ექვსიანს" აქვს უნიკალური შანსი, პოლიტიკურ ავანგარდად იქცეს



საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ოპოზიციის ერთ ნაწილსა და ხელისუფლებას შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე, ასევე იმაზე, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ექვსიანის„ ბრძოლას საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად, „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს **დემურ გიორხელიძეს** ესაუბრა.

— ***ბატონო დემურ, მემარჯვენეებისა„ და ქდმ-ს მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებათან დაკავშირებით ხელისუფლების წინადადებების მიღებამ რვიანის„ დაშლის გარდა, საზოგადოებაშიც საკმაოდ დიდი მითმა-მითქმა გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს?***

— „რვიანი" საკმაოდ ამორფული წარმონაქმნი იყო. იმ პოზიციიდან გამომდინარე, რომელიც ქდმ-ს ჰქონდა, მას შეეძლო თავისი ხაზი ბოლომდე დამოუკიდებლად გაეტარებინა და არ ყოფილიყო „რვიანის" მონაწილე, რომელშიც, მისი შეხედულებებიდან გამომდინარე, ბოლომდე დარჩენის პერსპექტივა მომგებიანი არ იყო. იგივე შეიძლება ითქვას სხვაზეც. ვერ ვხედავ ტრაგედიას იმაში, რაც მოხდა. პრინციპში პოლიტიკური ძალები იმ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომელსაც იღებენ, აგრეთვე, იმ რისკებს, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს თან სდევს.

როგორც ვნახეთ, საზოგადოებაში მომხდართან დაკავშირებით საკმაოდ ნეგატიური განწყობები გაჩნდა. თუმცა, ქარული საზოგადოების პოლიტიკური მეხსიერება გრძელვადიანი არ არის და, პრაქტიკულად, უახლოესი წარსულის მოვლენებსაც კი ივიწყებს. ასე რომ, არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა და როგორი განწყობით მივა მომავალ არჩევნემაბდე საზოგადოება, ძნელი სათქმელია. თუმცა, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, მომავალ არჩევნებზე ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი არ ემუქრება და ყოველი მიზეზის გარეშე დომინირებული პოლიტიკური ძალა დარჩება. თუ, რა თქმა უნდა შექმნილი სიტუაციით არ ისარგებლებს ის პოლიტიკური ძალა და ჯგუფი, რომელიც უკვე ექვსი პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება.

— ***ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ხელისუფლებასთან „მემარჯვენეების", ქდმ-ს, ედპ-სა და სხვათა მიერ ხელმოწერილ შეთანხმება პრაქტიკულად უმწვავესად გააკრიტიკეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა კი განაცხადა „სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ, რომ ის საკითხები, რაც მმართველმა გუნდმა ოპოზიციურ პარტიებს შესთავაზა, უკანონო და დისკრიმინაციულია„. ხელისუფლებამ, პრეზიდენტის ჩათვლით, მომხდარი სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს. თქვენი აზრით, რატომ აქვთ მომხდართან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავებული პოზიციები ხელისუფლებას და ამჯერად სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილ ოპოზიციურ ჯგუფებს?***

— შემიძლია, პირდაპირ ვთქვა, ხელისუფლების მიერ ოპოზიციისთვის შეთავაზებული წინადადებები კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამ წინადადებებს რეალური ლეგიტიმაცია არ გააჩნია და გამოდის, რომ ხელისუფლება კონიუქტიურული მოსაზრებების გამო ხელისუფლება მზად არის, კვლავ შეცვალოს კონსტიტუცია და ეს გააკეთოს არა სახელმწიფოს მშენებლობის გრძელვადიანი პერსპექტივის საჭიროებიდან გამომდინარე, არამედ წმინდა კონიუქტურული თვალსაზრისით. ასეთივე კონიუქტურული იყო ყველა ის ცვლილება, რომელიც გატარდა 2003 წლის შემდეგ. მაშინ კონიუქტურამ თავისი გაიტანა და დღეს იგი ხელისუფლებისათვის არაფერს წარმოადგენს. აშკარაა, რომ ხელისუფლება კონსტიტუციას პატივს არ სცემს და დღესვე თანახმაა, იმის მიხედვით შეცვალოს, რაც სულ ცოტა ხნის წინ მიიღო. ამიტომ, ყველა კრიტიკა, რომელიც ხელისუფლების წინადადებებთან არის დაკავშირებული, გაუმრთლებულია და სალი თვალსაზრისითაც ძალიან არასასურველია. ხელისუფლებამ ოპოზიციას იმდაგვარი რამ შესთავაზა, რასაც მოქმედი კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა. გასაგებია, რომ ხელისუფლებას პარლამენტში ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა, მაგრამ უმრავლესობა არ არის ის ინსტრუმენტი, რომელიც სიმართლის აშკარა მაჩვენებელი იყოს. არც ერთ ქვეყანაში ასეთი საკითხები არც უმრავლესობით და არც საკონსტიტუციო უმრავლესობით არ წყდება. ხელისუფლება ამით თავს არ იწუხებს და მზადაა გააკეთოს ის, რასაც საჭიროდ ჩათვლის.

— ***„რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილის შეფასებით, ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების პირობები მიიღეს, პრაქტიკულად დათანხმდნენ, რომ მომავალ პარლამენტში ნაცმოძრაობას„ კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება. რამდენად საფუძვლიანია დავით ბერძენიშვილის პროგნოზი?***

— ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ხელისუფლებას მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება, მას პოლიტიკის და პოლიტიკაში არსებული დღევანდელი სიტუაციის არც არაფერი გაეგება და რეალობის აღქმა არ გააჩნია. ნაცმოძრაობა„ საკონსტიტუციო უმრავლესობას პირადად აიღებს, თუ სატელიტ პარტიებთან ერთად, რომლებიც არანაირ პარტიებს არ წარმოადგენენ, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ხელისუფლებას 2012 წლის არჩევნებში აუცილებლად ეყოლება საკონსტიტუციო უმრავლესობა, თუ ქვეყანაში სხვა მოვლენები არ განვითარდა.

— ***„ექსვსიანმა" უკვე განაცხადა, რომ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ბრძოლას ფართომასშტაბიანი მოძრაობის გაშლით გააგრძელებს. რამდენად სავარაუდოა, რომ „ექვსიანი" შეძლებს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად სერიოზული შედეგის მიღწევას?***

— თუ ვითარებას წმინდა პოლიტიკური თვასაზრისით შევაფასებთ, ახლა „ექვსიანს" აქვს უნიკალური შანსი, პოლიტიკურ ავანგარდად იქცეს. თუ პროცესები ამ მიმართულებით განვითარდა, „ექვსიანს" არჩევნებზე სერიოზული შედეგის მიღწევა შეუძლია. რამდენად შეძლებენ „ექვსიანში" გაერთიანებული პოლიტიკური სუბიექტი აბსოლუტურად კონსტიტუციურად და კანონიერად ერთად დგომას, მიზანმიმართულად პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას, ეს მათზეა დამოკიდებული. ვიმეორებ, „ექვსიანს" აქვს უნიკალური შანსი, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდად იქცეს, მაგრამ არ ვიცი, შეძლებს თუ არა ამ შანსის გამოყენებას. რა თქმა უნდა, მას ამისათვის დასჭირდება კოორდინაცია სხვა ძალებთან, როგორ გააკეთებს ამას, ტექნიკის გარდა, შორსმჭვრეტელობისა და გამჭრიახობის საქმეა. პოლიტიკური ძალა, რომელიც არსებულ პოლიტიკურ ფონზე შეიძლება გამოჩნდეს და ამ მოძრაობის მიღმა დარჩება, შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდეს.

— ***თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ ვინც ხელისუფლების პირობებს არ მიიღებს, ყველა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება?***

— ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ამას ეცდება; თუკი ხელისუფლებისადმი პოლიტიკური წინააღმდეგობა აბსოლუტურად კანონირების ფარგლებში არ იქნა, ხელისუფლება ამას გააკეთებს და ორი აზრი არ არსებობს, რომ ყველას თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებს. მეორე მხრივ, გაუგებარია, რატომ უნდა დაგითმოს ხელისუფლებამ, თუ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენ. ხელისუფლება თავის ჩანაფიქრის განხორციელებას მხოლოდ მაშინ ვერ შეძლებს, თუ მისი საპირწონო პოლიტიკური ძალა ქვეყანაში რეალურად იარსებებს.

ინტერპრესნიუსი

## რუსეთის ხელისუფლება სოფელ აიბგაში არსებული სიტუაციით დაინტერესდა

რუსეთის ხელისუფლება ფხაზეთსა და რუსეთს შორის სადავო ტერიტორიაზე მდებარე, აფხაზეთის სოფელ აიბგაში არსებული სიტუაციით დაინტერესდა. აღნიშნულ ინფორმაციას „ნეზავისიმაია გაზეტა" ავრცელებს.

რუსი სამართალდამცავები სამუშაო ვიზიტით სოფელ აიბგაში იმყოფებოდნენ და მოსახლეობას დახმარებას შეპირდნენ. კერძოდ, სოფლის მოსახლეობას ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის პირობა მისცეს, რომელიც სოფელს 20 წელია არ მიეწოდება. რუსი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სოფლის იმ ნაწილში იმყოფებოდნენ, რომლის მაცხოვრებლებიც მათი ტერიტორიის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას ითხოვენ.

რუსული მხარის განცხადებით, სოფელი აიბგა საბჭოთა პერიოდში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საზღვარზე მდებარეობდა და ის ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი საქართველოს ეკუთვნოდა, მეორე კი რუსეთს.

1992 წელს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, რუსეთის ჯარებმა დატოვეს რუსეთის კუთვნილი აიბგას ნაწილი, რითიც აღნიშნული ნაწილი აფხაზეთს დაუთმეს. დღეს კი სოფელი, აფხაზეთსა და რუსეთს შორის სადავო ტერიტორიაა.

რუსული გამოცემა წერს, რომ ბოლო დრომდე რუსული მხარე ცდილობდა არ გაეღიზიანებინა აფხაზი პარტნიორები, თავისი პრეტენზიებით აიბგაზე. ტერიტორიული დავა მას შემდეგ დაიწყო, რაც გასული წლის ბოლოს რუსეთმა აფხაზეთს 160 კვადრტული კილომეტრის ტერიტორიის დათმობა მოსთხოვა, რის გამოც შეიქმნა სამთავრობოთაშორისო კომისია, რომელიც „სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია- დელიმიტაციის" საკითხებზე მუშაობს.

აიბგას ადგილობრივი მაცხოვრებლების განცხადებით, აღნიშნული ტერიტორია რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის და აფხაზი სამართალდამცავი ორგანოიების იქ ყოფნა არაკანონიერია.

მედიანიუსი

# ქვეყანაში, სადაც შსს აკონტროლებს სკოლებს, საარჩევნო კოდექსი გვიშველის?

ქეთი ხომერიკი

**ბავშვობაში 5-იანს რომ მივიღებდი, შოკოლადს მაჩუქებდნენ ხოლმე, შემდეგ წამოვიზარდე და 5-ის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამიჩნდა. კარგად ვიცოდი, რა იდგა ამ ე.წ. ხუთოსნობის უკან... მაშინ ჯერ კიდევ ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, როცა თითქმის ყველა დროის საარჩევნო სიის მეხუთე ნომერი მეტი აღმოჩნდებოდა, ვიდრე ე.წ. ოპოზიციური რვიანი და ამ რვიანის, ასე ვთქვათ, დაკრძალვასაც კი მოვესწრებოდი...**



ყველას კარგად ახსოვს 2007 წლის დაძაბულობა, გამოსვლები, 7 ნოემბერი, პრეზიდენტის ე.წ. გადადგომა, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც არჩევნებს მოჰყვა, ოპოზიციის მოთხოვნა მეორე ტურზე და აშშ მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ყველასთვის მოულოდნელი გამოსვლა — ბუშმა თავის ფავორიტს არჩევნებში გამარჯვება გაღმიდან მიულოცა, მაშინ, როდესაც თავად სააკაშვილიც კი არ იყო დარწმუნებული, რომ გაიმარჯვა...

2007 წლის ბოლოს საზოგადოებაში ერთმანეთთან აბსოლუტურად დაუკავშირებელი მოსაზრებები ჩამოყალიბდა. კითხვა ცხადია, გაცვეთილია, რა გვეშველებას ვგულისხმობ, სამაგიეროდ პასუხებია მრავალმხრივი და სერიოზული.

პასუხი პირველი — არაფერი უნდა გავაკეთოთ, არავითარი პოლიტიკური აქტივობა, მით უმეტეს, არავითარი გამოსვლები, მმართველ გუნდს მაინც ვერ მოვერევით და თუ ოპოზიცია არ ეყოლება, გაიხრწნება და დალპება შიგნიდან, ერთ მშვენიერ დღეს დაიძინებს და ველარ გაიღვიძებს, ანუ საქართველო მაინც გადარჩება.

პასუხი მეორე — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეგუება იმ რეჟიმთან, რომელიც ახლა მართავს ქვეყანას, ერთიანად გაძარცვეს და გააჩანაგეს ბიზნესმენი, მოხუცი, მასწავლებელი, პატიმარი, და ა.შ. და ამის შემდეგ რამდენად მორალური იქნება ამ ხალხთან შეგუება, რა თქმა უნდა, არა. ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ერთხელ ბრძოლა, რადგან ამათი მმართველობის ყოველი დღე ქვეყანას ახალ უბედურებას უქადის.

პასუხი მესამე — აუცილებელია ერთგვარი კომპრომისი, აუცილებელია ისეთი თემის მოძებნა, რომელიც ასე თუ ისე გააერთიანებს, ან შუალედური, ან მესამე გზის ფუნქციას შეასრულებს ხელისუფლებასა და რადიკალურად განწყობილ ქუჩის აქციების მომხრე ძალებს შორის. ყველაზე უკეთესი გამოსავალი ამ სიტუაციაში საარჩევნო გარემოზე მუშაობაა, იმდენად, რამდენადაც, ბოლოს და ბოლოს, არ არსებობს სხვა გზა ხელისუფლებაში მოსასვლელად, გარდა არჩევნებისა.

რამდენად ბუნებრივი იყო ეს პროცესი, ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. ბუნებრივად პროცესის განვითარება მას შემდეგ, რაც იპოდრომზე ლამის მილიონი კაცი მივიდა პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, ლოგიკური იქნებოდა, საზოგადოებას გაეკეთებინა დასკვნა, რომ არჩევნების მოსაგებად სრულიადაც არ არის საკმარისი... არჩევნების მოგება! საჭიროა კიდევ რაღაც, ხოლო ქუჩის აქციები, ისევე როგორც არჩევნების მოგება, არ არის საკმარისი. საზოგადოების ნაწილი დაშინდა, ნაწილი დაფიქრდა, ნაწილი გაბრაზდა, ხელისუფლებამ თავისი ჩვეული ოსტატობით ამ დროს პარტიებს, რომლებსაც ტერორით, შანტაჟითა და მოტყუებით მოუსპეს ნორმალური არსებობის გაგრძელების საშუალება, სრულიად მოულოდნელად სახელმწიფომ ერთგვარი დაფინანსება დაუნიშნა. რამდენი იყო ზუსტად ეს დაფინანსება და რეალურად, უხდიდნენ თუ არა იმდენს, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბევრად მეტს უხდიდნენ, ეს ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობის საკითხია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა იყო ეს დაფინანსება და რისთვის იქნა გადახდილი ეს ფასი. შევეცადოთ შევურჩიოთ სახელი ამ დაფინანსებას და კარგი იქნება თუ მოვძებნით მიზანს. რეალური მიზანი გვაქვს მხედველობაში, თორემ ჩვენი რეჟიმისნაირი რეჟიმები როდის იყო ოპონენტებს აფინანსებდნენ... ნუთუ, საერთაშორისო ვითარება მართლა ისე იყო დაძაბული, რომ სიტუაციის შესარბილებლად სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ოპოზიციის დაფინანსება იყო ერთადერთი გამოსავალი, რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს და მეორე, პარტიაც თავის ამომრჩევლებზე იქნება დამოკიდებული, რითაც დაცულები ვიქნებით ცივილიზებული სამყაროსათვის მიუღებელი ელემენტების გამარჯვებისაგან ჯერ პარტიაში, მხოლოდ შემდეგ — არჩევნებში. აბსოლუტურად ნათელია, რომ ბიზნესმენებისათვის საქართველოში პარტიების დაფინანსების აკრძალვა და მერე ამ პარტიებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველთვიური ხელფასის, დახმარების, თუ ქრთამის დანიშვნა ნამდვილად, ვერ ჩაითვლება დემოკრატიულ ნაბიჯად. მით უმეტეს, პარტიები რატომ დათანხმდნენ ამას, გაუგებარია, ან რა პირობებით დათანხმდნენ?

რატომ იქნა შერჩეული როგორც ოპოზიციური პარტიების, ასევე ხელისუფლების მხრიდან მაინცდამაინც საარჩევნო გარემოს საკითხის წინაპლანზე წამოწევა? მეტიც, თანაკვეთისათვის ეს ერთადერთი წერტილი აღმოჩნდა. აქამდე საქართველოში არჩევნების ჩატარების საკმაოდ მარტივი სქემა იყო დამკვიდრებული, ჯერ ხდებოდა საარჩევნო კარუსელის მომზადება, ხოლო არჩევნებამდე 2-3 თვით ადრე პარლამენტი იღებდა შესწორებებს საარჩევნო კანონში, რომელიც მთლიანად იყო შესაბამისობაში მოყვანილი უკვე ხსენებულ კარუსელთან. (1990 წლის არჩევნები ცხადია, მხედველობაში არ მიიღება) ბუნებრივია, არჩევნებმდე 2-3 თვით ადრე მიღებული საარჩევნო კანონი სამანევრო დრო, ანუ იმის დრო, რომ პარტიებმა მიიზიდონ ფინანსები, მოახდინონ თავიანთი ძალების მობილიზაცია და გადაჯგუფება, ბოლოს და ბოლოს, დაგეგმონ სწორად თავიანთი წინასაარჩევნო კამპანია - ამისათვის საკმარისი 2-3 თვე ცხადია, არ არის. ახლანდელ „საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში" რა იგულისხმება? ის, რომ ახლა, არაუგვიანეს ოქტომბრისა იქნება მიღებული საარჩევნო კანონი, რომელიც სწორად გამოავლენს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას ქვეყანაში? და ეს ძალთა თანაფარდობა სწორად იქნება წარმოდგენილი პარლამენტში? ძალიან დიდ ეჭვს ბადებს ეს მოსაზრება... იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამომრჩეველზე პოლიტიკური კონტროლი და საარჩევნო პროცესი მერის არჩევნებზე აბსოლუტურად სხვა ფორმით იქნა წარმოდგენილი, ხოლო არჩევნები არ არის მარტო ამომრჩევლის მისვლა ყუთთან, ბიულეტენის ჩაგდება და არ მთავრდება არჩევნების შედეგების დათვლით. არჩევნები რთული პროცესია, სარჩევნო კამპანია უნდა იქნეს დემოკრატიულ პირობებში წაყვანილი, პოლიციის, პატიმრების პატრონების დატერორებისა და შანტაჟის გარეშე ადამიანებს უნდა მიეცეთ უფლება თავისუფლად გამოხატონ თავიანთი ნება. იმ სისტემაში, სადაც მერაბიშვილის უწყება აკონტროლებს სკოლებს და ათას სხვა რამეს, ხილულად თუ უხილავად, სადაც რამდენიმე ტელევიზია ხმაშეწყობით ამტკიცებს როგორი მაგარია მმართველი გუნდი და ყველა დანარჩენი როგორი უსუსურია, რუსეთის აგენტები, საარჩევნო კოდექსი გვიშველის? პოლიციის გავლენის განუზომელი ზრდა, თელასის მიერ წყლის და ნაგვის ფულისაც კი ერთიან გადასახადში მოქცევა ნიშნავს, თუ არა იმას, რომ საარჩევნო გარემო უბრალოდ, ბლეფია? რაც გინდათ, ჩაწერეთ კანონში, თუ პოლიციის დეპოლიტიზაცია არ მოხდა, მისი თვითნებობა არ შესუსტდა, მედია არ გახდა თავისუფალი და სხვა, ზღაპრებია იმაზე ლაპარაკი, რომ საარჩევნო გარემოს საარჩევნო საკანონმდებლო ცვლილებები უშველის. მოკლედ, მივედით კითხვამდე — რატომ ეჭირა თავი ხელისუფლებას ამ ე.წ. რვიანს მოვატყუებო და რატომ ეჭირა რვიანს თავი ისე, თითქოს ტყუვდებოდა? დროის გაყვანა-გაწელვა, ის 50 ათასი, რომელსაც „ახალი თაობის" კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ე.წ. პატარა პარტიებს უხდიდნენ თვეში, ხოლო მოზრდილებს თანხაც მოზრდილი ეძლეოდათ, ანუ პარტიები ფულს იღებდნენ სააკაშვილისთვის დემოკრატიული ფასადის შექმნაში.

(ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ჩვენი წყარო ირწმუნება) სხვათა შორის, მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობისთვის გადახდილი ფული ერთია და იმავე მოლაპარაკების შედეგებზე დათანხმებისათვის გადახდილი ფული — მეორე, გვიმტკიცებს წყარო. ჩვენი კომპეტენტური წყარო ირწმუნება, რომ ბევრად მეტს გადაუხდიან „ექვსიანს" იმისთვის, რომ დათანხმდნენ. ერთი სიტყვით, დემოკრატიული ფასადი უკვე შექმნილია, მმართველი გუნდიც და ოპოზიციაც, „რა თქმა უნდა" კონსტრუქციული ოპოზიცია, შეთანხმდა, რომ ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო საარჩევნო გარემო და ამ მიმართულებით რაღაც საერთო შედეგებამდეც არიან მისულები. მთავარი იყო მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობა და არა გამარჯვება.

არ გვინდა ისე იყოს გაგებული, თითქოს ამ რვიანს, ახლა უკვე „ექვსიანს "ერთიანსა და მონოლითურ გაერთიანებას განვიხილავთ, სადაც ყველას ერთანირი ინტერესები და მოტივაცია ამოძრავებს, ღმერთმა დაგვიფაროს, მით უფრო, რომ თავისთავად პროცესი იყო ხელოვნური და საარჩევნო გარემოზე მოლაპარაკების დაწყება თავისი არსით ნიშნავდა პარტიების ფორმირებიდან გადახვევას, ამბობს წყარო. რვიანში შემავალი პარტიის რამდენიმე ლიდერი მოტყუებით შეიყვანეს ამ პროცესში იგივე ალასანია, ზოგიც იძულებით, ზოგიც ნებით... აქვე აღნიშნავს წყარო. შესაბამისად, არაბუნებრივ პროცესს შედეგიც ვერ მოჰყვებოდა ისეთი, რომელიც სიტუაციას რეალურად შეცვლიდა. ახლა საკითხი დგას ასე, „ექვსიანი" დათანხმდება, თუ არა თავიანთი მოლაპარაკების შედეგებზე ხელისუფლებას და თუ — კი, რის ფასად. (მარტო ფულზე არ არის აქ ლაპარაკი, მთელი გარიგება გვაქვს მხედველობაში, იხილეთ, უკვე გარიგებული პარტია ახალი მემარჯვენეები. ეს თვით დავითაშვილმაც აღნიშნა...). წყარო ამ ეტაპზე ვერ გვიკონკრეტებს, რა გზას დაადგება „ექვსიანი". სამწუხაროდ, ოპტიმისტურს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ვინ იცის...

## დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება

დღეს 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, პირველი გამოცდა 30 ივნისს და 1 ივლისს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება. აბიტურიენტები 4-5 ივლისს ზოგადი უნარების გამოცდას ჩააბარებენ. 6 ივლისს ტესტირება გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებში გაიმართება. გამოსაცდელთა ნაწილი ინგლისური ენის გამოცდას 7-8 ივლისს ჩააბარებს. 11 ივლისს გამოცდა რუსულ ენაში ჩატარდება. 12 ივლისს ისტორიის, 13 ივლისს მათემატიკის, 14 ივლისს ლიტერატურის, 18 ივლისს ბიოლოგიის, 19 ივლისს გეოგრაფიის, ხოლო 20 ივლისს ქიმიის გამოცდა ჩატარდება. ერთიანი ეროვნული გამოცდები 21 ივლისს ფიზიკის გამოცდით დასრულდება.

როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ყველაზე პოიპულარული სპეციალობები წელსაც ეკონომიკა, ბიზნესი და სამართალმცოდნეობაა.

ამასთან წელს პირველად კონკურსი საბუნებისმეტყველო სპეციალობებზეც იქნება.

2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში 35 000-მდე აბიტურიენტი მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების პარალელურად, 15 ივლისს, სტუდენტთა საგრანტო კონკურსი; ხოლო 14-15 ივლისს საერთო სამაგისტრო გამოცდა გაიმართება.

მიმდინარე ზაფხულში გამოცდების ეროვნული ცენტრი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდებსაც ატარებს. ეს გამოცდები 6 ივლისს იწყება და 21 ივლისს მთავრდება.

მედიანიუსი

## აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალური დაფა სანაგვეში იპოვეს

აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალური დაფა, რომელიც თავის დროზე ჟურნალისტთა ფედერაციის შენობის კარზე იყო განთავსებული, სანაგვეში იპოვეს. ამის შესახებ "მედიანიუსს" მემორიალური დაფის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა ირმა ინაშვილმა აცნობა.

ინაშვილის განაცხადებით, მემორიალური დაფა ჟურნალისტთა ფედერაციის ძველი შენობის ერთ-ერთ კუთხეში, ნაგავში რეჟისორმა რაჟდენ კერვალიშვილმა აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ მან გადაიღო ამ ფაქტის ამსახველი ფოტოსურათებიც, რომლებიც მოგვიანებით ინაშვილს გადასცა.



— ამჟამად დაფა „ობიექტივის" ოფისშია. უახლოეს დღეებში მას რესტავრაცია ჩაუტარდება და მედიაკავშირ "ობიექტივის" ფოიეში, საპატიო ადგილზე განთავსდება დამაგრდება", - განაცხადა ინაშვილმა და დასძინა, რომ ეს ფაქტი შესაბამისი პირების მიერ იმ ადამიანებისადმი გულგრილობასა და უპატივცემულობაზე მეტყველებს, რომლებმაც სამშობლოსათვის თავი გაწირეს.

მისი თქმით, ცოტა ხნის წინ მან ზემოხსენებული ფაქტის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტთა ფედერაციის ხელმძღვანელ ჰამლეტ გეგიასაც მიაწოდა.

— ჩემი ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა ფედერაცია განცხადების გავრცელებასაც აპირებს, — აღნიშნა ინაშვილმა.

მედიანიუსი

## სამთაწყაროში მცხოვრები ჰერები ხიდის გახსნას ითხოვენ

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები ჰერები, საქართველო - აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდის გახსნის მოთხოვნით, საპროტესტო აქციების გამართვას აპირებენ, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

მდინარე ალაზანზე ხიდი, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს აკავშირებს, 2010 წლის შემოდგომაზე ჩაიკეტა. რეგიონის გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილის თქმით, ხიდი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოთხოვნით ჩაიკეტა. ამასტან, ხიდი ამორტიზებულ მდგომარეობაშია და ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს ვერ შევუქმნით„, - განაცხადა სიბაშვილმა.სამთაწყაროს მაცხოვრებლების თქმით, ხიდი მყარ მდგომარეობაშია და არანაირი ჩანგრევის საფრთხე არ ემუქრება. მათივე თქმით, ამავე მიზეზით, ხელისუფლებამ ხიდი 2005 წელსაც ჩაკეტა, თუმცა მაშინ ჰერებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და 2007 წელს ხიდის გახსნას მიაღწიეს.

— 2005 წელსაც ჩაკეტეს ხიდი. მერე სასამართლოში ვიდავეთ, რიგგარეშე არჩევნებმა მოგვისწრო და ხიდზე მოძრაობა განახლდა. სარეაბილიტაციო სამუშაოებიც ჩაუტარდა. ეხლა ისევ ჩაკეტილია და მანქანით გადასვლის უფლებას არ გვაძლევენ. იძულებულები ვართ საინგილოში ფეხით წავიდეთ ნათესავებთან ან საერთოდ გავწყვიტოთ ურთიერთობა. გვეუბნებიან, ლაგოდეხის საბაჟოს გავლით იარეთო, მაგრამ ლაგოდეხის გავლით საინგილო ძალიან შორს არის, დიდ ხარჯებს მოითხოვს და ვერ ვახერხებთ. ხიდი გაუმართავი არ არის, ისევ რაღაც მიზეზია, — აღნიშნეს სამთაწყაროს მაცხოვრებლებმა.

ხიდის გახსნას დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილიც ითხოვს. დეპუტატის თქმით, სამთაწყაროს ხიდის გახსნა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანაში მცხოვრები ჰერების ურთიერთობას.

მედიანიუსი

## 19 წლის ზაზა ბედოშვილს 16 წელი და 8 თვე პატიმრობა მიესაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ 19 წლის ზაზა ბედოშვილს ფეხმძიმე შეყვარებულის მკვლელობისთვის 16 წელი და 8 თვე პატიმრობა მიუსაჯა, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

მსჯავრდებულის ადვოკატისა ავთანდილ ზუბაშვილის თქმით, ზაზა ბედოშვილმა დანაშაული აღიარა. აღიარების მიხედვით, ბედოშვილმა შეყვარებული, რომელიც მისგან ბავშვს ელოდებოდა, მანქანაში მოახრჩო. მკვლელობა კახეთში გასულ წელს მოხდა.

მსჯავრდებულის ადვოკატს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში აქვს გასაჩივრებული. სასამართლო საქმეს ხვალ განიხილავს.

მედიანიუსი

## კახეთში 36 წლის მამაკაცი გველმა დაკბინა

ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანში 36 წლის მამაკაცი, რომელიც ნაკვეთში საქონლისთვის ბალახს აგროვებდა, გველმა დაკბინა. პაციენტი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ექიმების თქმით, მამაკაცმა არ იცის რა სახეობის გველმა დაკბინა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების თავიდან აცილების მიზნით, პაციენტს რეანომობილით თბილისში გადაიყვანენ.

**მედიანიუსი**

## პანკისში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება

დღეს პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში კულტურის ცენტრთან არსებულ სახელოვნებო სკოლაში ამ სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება, — აცნობეს „მედიანიუსს" რადიო „ჰერეთიდან".

ღონისძიება ღია ცისქვეშ გაიმართება, მას დაესწრება ადგილობრივი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

საღამოს ჩრდილების თეატრის სპექტაკლი დაასრულებს.

პანკისის ხეობაში სახელოვნებო სკოლა 2 თვის წინ გაიხსნა, მასში ამჟამად 150 ბავშვი სწავლობს.

**მედიანიუსი**

## რუსეთში „მისტრალის" მშენებლობა მიმდინარე წლის დეკემბერში დაიწყება

რუსეთის სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული გემთმშენებელი კორპორაცია" ვერტმფრენმზიდ „მისტრალის" მშენებლობას მიმდინარე წლის დეკემბრიდან დაიწყებს. „როსბალტის" ინფორმაციით, ამის შესახებ კომპანიის პრეზიდენტმა რომან ტროცენკომ განაცხადა.

გემი პეტერბურგში აშენდება. ფრანგულ მხარესთან გაფორმებული შეთანხმების შედეგად, რუსული კორპორაცია გემის 40 %-ს ააშენებს, რის შემდეგაც გემის აწყობილი ნაწილი საფრანგეთში გაიგზავნება, სადაც მშენებლობა დასრულდება.

პირველი ორი გემისთვის რუსეთმა 17 ივნისის შეთანხმების თანახმად, საფრანგეთს 1.2 მილიარდი ევრო გადაუხადა.

**მედიანიუსი**

## წარჩინებულ მოსწავლეებს ოქროს მედლები გადაეცათ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, თბილისის საჯარო სკოლების 231 წარჩინებულ კურსდამთავრებულს ოქროს მედლები გადასცა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, სასწავლო პროცესში გარდა სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებული მოსწავლეების წარმოჩენაა, რაც თავის მხრივ, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს უწყობს აკადემიური მოსწრებისადმი პატივისცემის ამაღლებას.

ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პრეზიდენტის ინიციატივით, "წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების" ქვეპროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც 2010-2011 წლისათვის 877 ოქროსა და 1122 ვერცხლის მედალი გაიცემა.

**მედიანიუსი**

## პატიმარ მალხაზ არქანიას საკითხს პარლამენტში გაიტანენ

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პატიმარ მალხაზ არქანიას საქმის შესახებ პარლამენტის ტრიბუნიდან ილაპარაკებს.

გუშინ მედიაკავშირ „ობიექტივში" გამართულ პრესკონფერენციაზე დიმიტრი ლორთქიფანიძემ უფლებადამცველებს შესთავაზა, პატიმარ მალხაზ არქანიას საქმე პარლამენტის სხდომაზე გაიტანონ.დეპუტატი "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა" და სახალხო დამცველის აპარატს მოუწოდებს, განსაზღვრონ წამების პრევენციის ჯგუფი, რომელიც გლდანის №8 საპყრობილეში მალხაზ არქანიას ჯანმრთელობის მდგომარეობას შეისწავლის.

შეგახსენებთ, რომ უფლებამდაცველები პატიმარ მალხაზ არქანიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ვერ ახერხებენ. ისინი ეჭვობენ, რომ არქანიას მისი სკანდალური, ციხის ადმინისტრაციის დანაშაულებრივი ქედებების მამხილებელი განცხადების გამო საფრთხე ემუქრება.

**მედიანიუსი**

## სამშობიარო სახლ „იმედში" რევიზია დაიწყო

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტომ სამშობიარო სახლ „იმედის" რევიზია დაიწყო.

როგორც „მედიანიუსს" სააგენტოში განუცხადეს, სპეციალისტები სამშობიარო სახლში გუშინ შევიდნენ და ამ დრომდე იქ იმყოფებიან.

შემოწმება საქალაქო სასამართლოს დადგენილების საფუძველზე ხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ სამშობიარო სახლ „იმედში" რევიზია გარდაცვლილი 39 წლის პაციენტის ოჯახის წევრთა საჩივრის საფუძველზე გადაწყდა. ნესტან შანიძის დაღუპვაში მისი ოჯახის წევრები ექიმ ზაზა მირუაშვილს ადანაშაულებენ.

შემთხვევა დაახლოებით ერთი კვირის წინ მოხდა. დაღუპულის ნათესავების მტკიცებით, შანიძეს საკეისრო კვეთა უნდა ჩატარებოდა, თუმცა ექიმმა გადაწყვეტილება თვითნებურად შეცვალა და პაციენტი ფიზიოლოგიურად ამშობიარა. პაციენტი მშობიარობისას გარდაიცვალა.

**მედიანიუსი**

## საბერძნეთის პარლამენტმა მთავრობის ეკონომიკური პროგრამა დაამტკიცა

საბერძნეთის პარლამენტმა ქვეყნის მთავრობის გეგმა დაამტკიცა, რომელიც მთავრობის ხარჯების 28 მილიარდი ევროს ოდენობით შემცირებას ითვალისწინებს. ამის შესახებ „გაზეტა.რუ" იუწყება.

ამიერიდან, საბერძნეთში გადასახადები გაიზრდება, პენსიები შემცირდება, სახელმწიფო სექტორში მომუშავეთა 150 ათასი ადამიანი შემცირდება, ტარიფები გაიზრდება, საქალაქო ტრანსპორტი გაძვირდება და მასშტაბური პრივატიზების პროცესი დაიწყება.

როგორც ცნობილია, საბერძნეთის მთავრობის ასეთი გადაწყვეტილების გარეშე ქვეყანა ევროკავშირისა და მსოფლიო სავალუტო ფონდისგან 110 მილიარდი ევროს ოდენობის კრედიტს ვერ მიიღებს, რომელმაც ქვეყანა დეფოლტისგან უნდა იხსნას.

**ინტერპრესნიუსი**

## „კაფდაღმა" კავკასიის მთების კონცერტი გამართა

შორენა გონგლა ე

**25 ივნისს ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში თურქ-ქართველთა ფოლკლორულ ანსამბლ „კაფდაღი"-„კავკასიის მთების" კონცერტი გაიმართა.**

ანსამბლს, რომელიც მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებითაა დაკომპლექტებული, აჰმედ მელაშვილის ვაჟი, იბერია მელაშვილი ხელმძღვანელობს. კონცერტი სტამბოლში მოქმედი „ქართული ხელოვნების სახლის" ინიციატივით, საქართველოს საპატრიარქოს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერითა და კომპანია „ნიკორას" ფინანსური დახმარებით გაიმართა. ანსამბლი „კაფდაღი"-„კავკასიის მთა" სტამბოლში მოქმედი ერთადერთი ჯგუფია. ჯგუფმა აქტიური მოღვაწეობა 2004 წელს დაიწყო. მის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი თურქ ქართველთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ მოღვაწეს აჰმედ მელაშვილს მიუძღვის.

ვინ იყო აჰმედ მელაშვილი?

აჰმედ მელაშვილი სოფელ ბალიქესირში 1922 წელს დაიბადა. როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, მისი წინაპრები 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ართვინის მხრიდან გადასახლებულან. აჰმედ მელაშვილმა საშუალო განათლება ბანდირმასა და ბალიქე-



სირში მიიღო. 1943 წელს იზმირის ინონუს სახელობის ლიცეუმი დაამთავრა, ხოლო 1962 წელს დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტი, 1955 წელს დაქორწინდა სოფელ ჰაირიეში მცხოვრებ იუქსელ ერგუნზე. მელაშვილმა ამ სოფელში ტურიზმის საზოგადოება დააფუძნა, 1963 წელს უხელმძღვანელა კოოპერატივის ჩამოყალიბებას. აჰმედ მელაშვილმა საქართველოში პირველად 1975 და შემდეგ 1977 წლებში მეუღლესთან ერთად იმოგზაურა.

1968 წელს დაწერა წიგნი „გურჯისტანი" (საქართველო). წიგნმა დიდი სენსაცია მოახდინა. წიგნის გამოცემისთანავე მისი გავრცელება აიკრძალა და საქმე სასამართლოს გადაეცა, თუმცა, მელაშვილი სასამართლომ გაამართლა. მელაშვილი საკუთარი ხარჯებით ბეჭდავდა ნაწარმოებების თარგმანებს, რათა თურქეთის ქართველებს უკეთ გაეცნოთ ქართული კულტურა, ისტორია და ენა. იგი სულ მალე თავისი მოღვაწეობით თურქეთის ქართველთა იმედად იქცა. თურქეთში დაბრუნების შემდეგ იგი თარგმნიდა და აქვეყნებდა ქართველი კლასიკოსი მწერლების სტატიებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. მის მიერ 1972 წელს დაარსებული ჟურნალი „ჩვენებური" დღემდე რჩება თურქეთის ქართული დიასპორის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ პერიოდულ გამოცემად. აჰმედ მელაშვილს თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც უწოდებენ. 1980 წლის 5 ივლისს ქალაქ ბურსაში ოზქანი თურქული ულტრა-ნაციონალისტური დაჯგუფების „რუხი მგლების" აქტივისტებმა მოკლეს.

## „მედიის განვითარების ფონდი" ტელეკომპანიებს საჩივრით მიმართავს

„მედიის განვითარების ფონდი" მაუწყებელთა ქცევის კოდექსის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის დარღვევის გამო ტელეკომპანია „იმედისა" და საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოებს საჩივრით მიმართავს.

ფონდს მიაჩნია, რომ 28 ივნისს მოზარდის გაუპატიურების ფაქტის გაშუქებისას ტელეკომპანია „იმედმა" და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაარღვიეს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 44 ე მუხლი და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის 41.1 მუხლი.



როგორც ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გაუპატიურების ფაქტის გაშუქებისას ორივე შემთხვევაში მოხდა დაზარალებულის იდენტიფიცირება, რასაც ფონდი დაუშვებლად მიიჩნევს.

— 28 ივნისს ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკის" 20 საათიან გამოშვებაში ტელეკომპანიამ მოახდინა სექსუალური ძალადობის მსხვერპლის, 14 წლის გოგონას პირდაპირი იდენტიფიცირება. გამოშვების წამყვანმა პირდაპირ ეთერში დაასახელა როგორც გაუპატიურების მსხვერპლის, ისე მოძალადის (რომელიც მსხვერპლის ბაბუაა) ვინაობა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი იმავე დღეს 20 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, მიუხედავად იმისა, რომ არ დაუსახელებია მსხვერპლის გვარი, მოახდინა მოძალადის იდენტიფიცირება. ასევე, მცირეწლოვანი რესპონდენტის კომენტარში იდენტიფიცირებულია მსხვერპლის სახელიც, — ნათქვამია განცხადებაში.

ფონდი მიიჩნევს, რომ მედიის მიერ მცირეწლოვანთა უფლებების და ქცევის კოდექსის დარღვევა არ უნდა დარჩეს საზოგადოების რეაგირების გარეშე, რათა მედიამ მსგავსი თემების გაშუქებისას მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს.

— იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული ტელეკომპანიების თვითრეგულირების ორგანოები დროულად და ადეკვატურად განიხილავენ აღნიშნულ საჩივარს, — აღნიშნულია განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## ნიკა გილაური მუსლიმთა შეიხსა და მუფტებს შეხვდა




საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სრულიად საქართველოს მუსლიმთა შეიხსა და მუფტებს შეხვდა. მათ ორმხრივი ურთიერთობები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. მსჯელობის ერთ-ერთი თემა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მაჰმადიანური სალოცავების აღრიცხვა და იურიდიული გაფორმება იყო.

როგორც სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხმა ვაგიფ აგპეროვმა აღნიშნა, ქვეყანაში არაერთი მუსლიმანური სალოცავი, ნაგებობა თუ მიწაა, მაგრამ ისინი იურიდიულად აღრიცხული არ არის და არც შესაბამისი დოკუმენტაცია არსებობს. ამიტომ ამ საკითხის მოგვარება მნიშვნელოვანია.

**მედიანიუსი**

## „ოსინფორმმა" საიტზე მიხეილ სააკაშვილზე გადაღებული ფილმი განათავსა

საინფორმაციო სააგენტო „ოსინფორმმა" თავის საიტზე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე გადაღებული ფილმი „მიშა" განათავსა.

როგორც სააგენტოს ინფორმაციაში არის ნათქვამი, ეს ცნობილი სცენარისტის, სერგეი გოლოვჩენკოს ფილმია, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე „ბოროტ და ტრაგიკულ პიროვნებას" შეეხება.

იგი სერგეი გოლოვჩენკომ ვალერი ოგარკოსთან ერთად გადაიღო. წყაროს ცნობით, „მიშა" მაყურებელს მიხეილ სააკაშვილის ცხოვრების უცნობ და შოკისმომგვრელ ეპიზოდებს წარმოუდგენს.

— მასზე ნაცნობები, კოლეგები და თანაკურსელები საუბრობენ და ამ მტკიცებულებებში არის კონცენტრირებული სიმართლე საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელი ხელმძღვანელის ჭეშმარიტი ბუნების შესახებ. ფილმის ნახვის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ გახდა შესაძლებელი 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის ხალხის წინააღმდეგ აგრესიის ანტიადამიანური აქტის ჩადენა, — იუწყება „ოსინფორმი".

**მედიანიუსი**

## ყაზბეგის გამზირზე მომხდარი ავტოავარიის დროს 4 ადამიანი დაშავდა

ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მომხდარი ავტოავარიის დროს 4 ადამიანი დაშავდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" 033-ის ცვლის უფროსმა ექიმმა განუცხადა, ორი დაშავებული რესპუბლიკური საავადმყოფოს „ემერჯენსის" განყოფილებაში გადაიყვანეს. დანარჩენმა ორმა მოქალაქემ მსუბუქი დაზიანებები მიიღო და სამედიცინო დახმარება ექიმებმა შემთხვევის ადგილზევე აღმოუჩინეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად სამი ადამიანი მოიწამლა

თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად, სამი ადამიანი მოიწამლა.

შალიკაშვილების ოჯახის სამივე წევრი, ბებია, პაპა და 18 წლის შვილიშვილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მძიმეა 70 წლის ქალბატონის მდგომარეობა.

დანარჩენების ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

წინასწარი ინფორმაციით, გაზმა წყლის გამაცხელებლიდან გაჟონა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის თამუნა თამხაძის განცხადებით, სამივე ადამიანი უგონო მგომარეობაში იყო. მისი თქმით, ქალბატონის მდგომარეობა მძიმეა, დანარჩენების სიცოცხლეს კი საფრთხე არ ემუქრება.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge

# თამარ გვერდწითელი ბაქოში იმღერებს

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ქართველი მომღერალი თამარ გვერდწითელი, რომელიც ამჟამად რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, 2 ივლისს მეზობელ აზერბაიჯანს ეწვევა და ბაქოში მწვანე თეატრის სცენაზე კონცერტს გამართავს.

ქართველი მომღერალი უკვე ათეული წლებია სცენაზე დგას. მისი დებიუტი სამი წლის ასაკში ინგლისურენოვან ბაღში შედგა. პირველი სიმღერა კი 12 წლისამ დაწერა, რომელიც გარდაცვლილ კლასელს მიუძღვნა. თამარ გვერდწითელის ცხოვრება მთლიანად შეცვალა ბავშვთა ანსამბლმა „მზიურმა“, რომელმაც მას არნახული პოპულარობა მოუტანა. ყველაფრის მიუხედავად, ქართველი ხელოვანი მთელ თავის წარმატებულ კარიერას საკუთარ დედას „აბრალებს“.

თამარ გვერდწითელი საქართველოსაც ხშირად სტუმრობს. იგი ანსამბლ „მზიურის“ იუბილეზე საქართველოში საგანგებოდ ჩამოვიდა და ყველა დეგეგმილი გასტროლი თუ კონცერტი გადადო. მომღერალმა ქართველი მსმენელი იმდენად გაანებივრა, რომ დიდ საკონცერტო დარბაზში სოლოკონცერტიც ჩაატარა, რომელიც საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კუთრხევით დაიგეგმა.

დღესდღეობით თამარ გვერდწითელი რამდენიმე ენაზე — ქართულ, რუსულ, უკრაინულ, ივდითზე, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და იტალიურ ენებზე მღერის.

„სცენა საზღვრებს გარეშე“ — ასე ეწოდება საკონცერტო პროგრამას, რომლითაც ქართველი მომღერალი აზერბაიჯანელი მსმენელის წინაშე წარდგება. ხელოვანი შეკრებილი საზოგადოებისთვის როგორც ცნობილ ჰიტებს, ასევე ახალ სიმღერებს შეასრულებს.

# ლალი მოროშკინას ქუთაისსა და ბათუმში ელოდებიან

ეკა ირემაშვილი

ტელეწამყვან ლალი მოროშკინას ბათუმსა და ქუთაისში ელოდებიან, რომელმაც გადაწყვიტა, საკუთარი წიგნები ამ ქალაქების მკითხველებს პირადად წარუდგინოს. ქუთაისსა და ბათუმში განლაგებულ „ბიბლუსის“



მალაზიებში შეკრებილი მკითხველისთვის ლალი მოროშკინა საუკთარი წიგნების პრეზენტაციას გამართავს.

30 ივნისს ტელეწამყვანი ქუთაისს ესტუმრება, ხოლო პირველ ივლისს — ბათუმს. ორივე ქალაქში ლალი მოროშკინას ორი წიგნის „უსექსობა პატარა ქალაქში“ და „როგორ გავთხოვდეთ, ანუ ყველა კაცი იდიოტი არ არის“ წარდგინება გაიმართება. ლალი მოროშკინას განცხადებით, წიგნების გამოცემით, იგი თავისი სათქმელის ქართულ საზოგადოებამდე მიტანას ცდილობს და არცთუ ურიგოდ — მისი სამივე წიგნი ბესტსელერად არის ქცეული.

ლალი მოროშკინამ საზოგადოებას წიგნები „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“, „უსექსობა პატარა ქალაქში“ და „როგორ გავთხოვდეთ, ანუ ყველა კაცი იდიოტი არ არის“ წარუდგინა. როგორც ტელეწამყვანი აცხადებს, ის გაჩერებას არ აპირებს და მომავალ, არანაკლებ სკანდალურ წიგნს საზოგადოებას მალე შესთავაზებს, რომელიც საქართველოს პენიტენციალურ სისტემას მიეძღვნება.

თავისი წიგნების წარდგენის გარდა, ლალი მოროშკინა ქუთაისელ და ბათუმელ წიგნის მოყვარულებსაც შეხვდება და მათთან სხვადასხვა საკითხებზე დისკუსიას გამართავს.

# მოქვის სახარების გადასარჩენად აუქციონი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

პირველ ივლისს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიას“ საკონფერენციო დარბაზში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება და საგამომცემლო სახლი „მოდი“ აწყობს საქველმოქმედო აუქციონს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების მორიგი შეხვედრა ივნისის თვის დასაწყისში გაიმართა. მეგობართა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საზოგადოების თავმჯდომარე კი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილია. შეკრებაზე გამგეობის წევრებმა სამეცნიერო დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და პროექტები განიხილეს. მიიღეს ინფორმაცია ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, მათ შორის კალიგრაფიის კონკურსისა და მოქვის სახარების საქველმოქმედო კამპანიის შესახებ. შეკრებას მეგობართა საზოგადოების გამგეობის წევრები და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოქვის სახარების გადასარჩენად გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებას დუტა სხირტლაძე და ოთარ ტატიშვილი გაუძღვებიან. აუქციონს დაესწრებიან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების წევრები, პოლიტიკოსები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ბიზნესმენები და სხვა დაინტერესებული პირები. ღონისძიება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერის — მოქვის სახარების გადასარჩენად იმართება.

მოქვის სახარება 1300 წელს აფხაზეთში, დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსის დაკვეთით გადაიწერა. ხელნაწერში ფურცლოვან ოქროზე შესრულებული 162 მინიატურა, 532 საზედაო ასო და მდიდრულად ორნამენტირებული ინიციალებია. ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სახარება მძიმე მდგომარეობაშია. მინიატურებიდან ფურცლოვანი ოქრო და საღებავები გაურკვეველი მიზეზების გამო იშლება და ცვივა. ხელნაწერს სასწრაფოდ ესაჭიროება დიაგნოსტიკა და რესტავრირება. აუქციონის ჩატარება მოქვის სახარების გადასარჩენად დაწყებული საქველმოქმედო კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა.

საქველმოქმედო აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილი ყველა ექსპონატი ხელოვანებმა და სხვა ცნობილმა პირებმა უანგაროდ გაიღეს. აუქციონიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება მოქვის სახარების რესტავრირების პროექტს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ცხრა განსხვავებული კატეგორია და 100-ზე მეტი ექსპონატი. წარმოდგენილი ექსპონატების ავტორები საქველმოქმედო ღონისძიებას თავადაც დაესწრებიან.

პირველ კატეგორიაში წარმოდგენილი იქნება მემორიალური ნივთები ნინო ანანიაშვილის, მუხრან მაჭავარიანის, მორის ფოცხიშვილის, დავით ყიფიანის პირადი კოლექციებიდან. მეორე კატეგორიაში წარმოდგენილი იქნება ხელნაწერები — ვაჟა აზარაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი, ოტია იოსელიანი, ბესიკ ხარანაული. მესამე კატეგორიაა მხატვრობა, ფერწერა, გრაფიკა, რომელშიც გაერთიანებული არიან დავით ალექსიძე, მამია ავალიანი, ირაკლი ავალიშვილი, ნიკოლოზ ავალიშვილი, ვლადიმერ ასათიანი, გიორგი აფციაური, ავთანდილ გურგენიძე, ალექსანდრე ბაგრატიონი, ალეკო ბათაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე, მაკა ბატიაშვილი, გია ბუღაძე, კახა ბახტაძე, დავით ბაძაღუა, ნინო გელაძე, ირა გველესიანი, ია გიგოშვილი, მიხეილ გოგრიჭიანი, გია გუგუშვილი, გიორგი გუგუშვილი, კობა გურული, თეიმურაზ დვალიშვილი, სანდრო ერისთავი, თამაზ ვარვარიძე, ლალი ზამბახიძე, მაკა ზედელაშვილი, ჯემალ ზენაიშვილი, რადიშ თორდია, ამირ კაკაბაძე, გოჩა კაკაბაძე, მალხაზ კუხაშვილი, გოგი ლაზარიშვილი, ანა ლაღიძე, ზაალ ლობჟანიძე, ლალი ლომთაძე, ქეთი მატაბელი, ანა ოცხელი, რუსუდან ფეტვიაშვილი, ირაკლი ფარჯიანი, მამუკა ცეცხლაძე, ვატო წერეთელი. მეოთხე კატეგორიაში წარმოდგენილია ქანდაკება — გია ჯაფარიძე, ირაკლი წულაძე, თენგიზ აბრამიშვილი, ლევან ბუჯიაშვილი. მეხუთე კატეგორიაა — კერამიკა, ხეზე კვეთა, ჭედურობა, ნაკეთობები — თამარ გრიგოლია, გოჩა კაკაბაძე, იზორია მარიკა, ლევან მარგიანი, კობა გურული. მეექვსე კატეგორიაშია თექა და ბატიკა — ია გულისაშვილი, მაია თოიძე, თეა ლომიძე, ირმა ხოფერია, ქეთევან ქავთარაძე. მეშვიდე კატეგორია მოიცავს ფოტოგრაფიას — გურამ წიბახაშვილი, ბადრი ვადაჭკორია, მირიან კილაძე, იური მეჩითოვი, ნატა სოფრომაძე. მერვე კატეგორიაშია ხატწერა — გიორგი არსენიძე გიორგი, ზვიად მაისურაძე, დავით ქავთარაძე, ქეთევან ყურაშვილი, მიქაელ ჯოლოგუა. მეცხრე კატეგორიაა მინანქარი — ხათუნა ბოჭორიშვილი, გურამ გაბაშვილი, ნინო გიორგაძე, მაია კარანაძე მაია, რევაზ ღაღაშვილი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უცხოელი სტუმრები საკმაოდ ხშირად სტუმრობენ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საგანძური ლონდონის კრისტის წიგნებისა და ხელნაწერთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარგარეტ ფორდმა და ბრიტანული ფონდის ხელმძღვანელმა ჯონ სტიუარტმა მოინახულეს. სტუმრებს მასპინძლობას უწევდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ გეგია. უცხოელებს საშუალება ჰქონდათ ქართული ხელნაწერების საცავში ეხილათ ჯრუჭის სახარება, ბექა და ბეშქენ ოპიზრების ხელით მოჭედილი წყაროსთავისა და ბერთის სახარებები, „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს უცხოენოვანი ხელნაწერები და ძველნაბეჭდი წიგნები. უცხოელმა ვიზიტორებმა თამარ გეგიასთან სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს და თანამშრომლობის გზებიც დასახეს. მათ ცენტრის ადმინისტრაციამ სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ალექსანდრიის უნივერსიტეტის პროფესორი და ალექსანდრიის ბიბლიოთეკის თანამშრომელი მაჰმუდ აშრამიც სტუმრობდა. პროფესორს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ გეგია მასპინძლობდა. მას მუდმივმოქმედი გამოფენა „ქართული ხელნაწერი“ დაათვალიერებინეს, სადაც წარმოდგენილი იყო ულამაზესი მინიატურებითა და თავსამკაულებით გაფორმებული, დახვეწილი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერები

გაგრძელება მე-15 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

❖ **სასწრაფოდ! მიწის ნაკვეთი საგურამოდან 7 კილომეტრის დაშორებით, სოფელ წინამძღვრიანთკარში. ფართი 2500 კვ.მ., 1 კვ. მეტრის ფასი 24 დოლარი. ტელ.: 593-93-67-52. თამარი.**

❖ **3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა, მთლიანი ფართით 103 კვ.მ. და მიმდებარე ოროთახიანი ბინის შესაბამისი არასაცხოვრებელი ფართი 64 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 232-60-93; 599-68-49-98.**

## განცხადებები

● იყიდება იჟი მარკის ორლულიანი 12-კალიბრიანი სანადირო თოფი და ავტომობილი ნივა კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-93-27-32.

● ინგლისურ ენას ვასწავლი ყველა ასაკის მსურველს ტრადიციული მეთოდით, ნელი ტემპით, მაღალ სამეცნიერო დონეზე, ათვისების დაბალუნარიანებსაც. ტელ: 295-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა პრესტიჟულ სახლში, მარჯანიშვილის მოედანზე, სამისდღემშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 295-32-12.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი პაციენტის შესაძლებლობის მიხედვით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 590-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# სლოვენიას ვარსკვლავების თვლა არ აქვს

სანამ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები თავის მე-18 მოთამაშეს ეძებდა და გაარკვევდა, მანამდე სლოვენიის ნაკრებმა 20-კაციანი სია ჩამოთვალა, რომელშიც ვარსკვლავებს თვლა არ აქვს.

თუმცა, მოდით, ჯერ ის ვარსკვლავები ჩამოვთვალოთ, რომლებიც სლოვენიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ბოჟიდარ მალიკოვიჩის სიაში ვერ მოხვდნენ: ბენო უდრიხი (საკრამენტო, აშშ), საშა ვუიაჩიჩი (ნიუ ჯერსი, აშშ), პრიმოჟ ბრეჟეცი (კრასნიე კრილია, რუსეთი), სანი ბეჩიროვიჩი (ტურკ ტელეკომი, თურქეთი), იაკა კლობუჩარი (პარტიზანი, სერბეთი). მართალია, ამათგან მწვრთნელს შეგნებულად არავინ დაუტოვებია და მიზეზი ზოგისთვის ტრავმაა, ზოგისთვისაც პირადი უარი ნაკრებში თამაშზე, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი შემადგენლობაა — ნებისმიერი ევროპული გუნდი რომ ინატრებდა.მეტად საეჭვოა სლოვენიის ნაკრებში: რაშო ნესტეროვიჩისა და გასპერ ვიდმარის გამოჩენა, თუმცა, ეს უკანასკნელი სიაში მაინც მოხვდა.

მწვრთნელის მიერ გამოძახებულთა 20-კაციან შემადგენლობას, რომელიც არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება, კი ასეთია:

უკანა ხაზი: იაკა ლაკოვიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), გორან დრაგიჩი (ჰიუსტონი, აშშ), ზორან დრაგიჩი (კრკა, სლოვნია), სამო უდრიხი (ოლიმპია, სლოვენია), საშა ოჟბოლტი (ოლიმპია, სლოვენია), დონალდ ბლაჟიჩი (სლოვანი, სლოვენია), ნებოისა იოსკიმოვიჩი (იგოკეს, სლოვენია), ლუკა ლაპორნიკი (ზლატოროგი, სლოვენია), კლემენ პრეპელიჩი (ჰელიოსი, სლოვენია), დანიელ ვუიაშინოვიჩი (ზლატოროგი, სლოვენია).ფორვარდები: ბოსტიან ნახბარი (ეფესი, თურქეთი), დომენ ლორბეკი (ლაგუნ არო, ესპანეთი), გორან იაგოდნიკი (ოლიმპია, სლოვენია), ედო მურიჩი (კრკა, სლოვენია).ფორვარდ-ცენტრები: მატიაშ სმოდიში (ცსკა, რუსეთი), ერაზემ ლორბეკი (ბარსელონა, ესპანეთი), მიჰა ზუპანი (პეტერბურგი, რუსეთი), გასპერ ვიდმარი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), უროშ სლოკარი (მანრესა, ესპანეთი), მირზა ბეგიჩი (რეალი, ესპანეთი).სპეციალურად მოწყობილ პრეზენტაციაზე ნაკრების თავკაცმა ბოჟიდარ მალიკოვიჩმა თქვა:

— ვფიქრობ, სლოვენიის ნაკრების ისტორიაში, ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა გვეყოლება, თუმცა, შეიძლებოდა კიდევ არაერთი ძლიერი კალათბურთელიც დაგვხმარებოდა. ჩვენი მთავარი ამოცანა ფიზიკურად კარგად მომზადება იქნება, რაგინდ ძლიერი შემადგენლობა გყავდეს, თუ ევრობასკეტს სათანადო კონდიციებში არ შეხვდები, ფინალურ სტადიამდე მისვლა გაგიჭირდება.

სლოვენიელებისთვის „ფინალური სტადია“ ოთხეულში მოხვედრასა და 2012 წლის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას გულისხმობს. შემადგენლობას თუ გადავხედავთ, საქართველოს ნაკრების მეტოქეს ამის შანსი ნამდვილად აქვს.გიორგი შერმადინისა და ვლადიმერ ბოისას თანაგუნდელმა საშა ოჟბოლტმა დასძინა:

— ნბა-ს მოთამაშეებიც დაგვეხმარებიან და ევროპის წამყვან კლუბებში მიმობნეული სლოვენიელებიც. კარგი გუნდი გვეყოლება. ვეცდებით სათანადოდ მოვემზადოთ, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ.

სლოვენიის ნაკრები 10 ივლისს შეიკრიბება და 10 საკონტროლო მატჩს ჩაატარებს: 23 ივლისს პოლონეთს უმასპინძლებს, 24-ში — მაკედონიას, ხოლო 3 და 4 აგვისტოს სწორედ იქ ითამაშებს, სადაც ევრობასკეტზე დ ჯგუფის შეხვედრები იგეგმება — კლაიპედაში ჯერ ლატვიას გაეჯიბრება, შემდეგ — ლიტვას.

მომდევნო სამ მატჩს „ოლიმპიას“ „შტოჟიცე არენა“ მიიღებს: პირველი ორი მეტოქე ცნობილია (ჩერნოგორია და ხორვატია), მესამის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. ეს მატჩები 7, 8 და 9 აგვისტოს შედგება.

ბოლოს სლოვენიის ნაკრები კუნძულ მალაგაზე ჩავა და 20 აგვისტოს ესპანეთის ნაკრებს ეთამაშება. ამ გუნდების მეორე შეხვედრა გრანადაში მომდევნო დღეს გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის წინ, სლოვენია, ისევე როგორც საქართველო, მასპინძელ ლიტვას ეთამაშება. მატჩი 24 აგვისტოსაა დაგეგმილი.

# რას მოგვიტანს მარკიზ ჰეინესი

შემონდ უილიამსი, ტაირონ ელისი, მელვინ სენდერსი, ტორინ გრინი, ქუინტონ ჰოსლი... ეს იმ კალათბურთელთა ჩამონათვალია, რომლებიც 2004 წლის შემდეგ ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის გააქართველეს. მათ გუშინ მარკიზ ჰეინესი დაემატა. მართალია ჯერ ოფიციალურად არ გაქართველებულა და არც პასპორტი აუღია, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი ამბავი რომ არის, გუშინდელ ნომერში ვწერდით. ჰეინესი ეროვნული გუნდის შეკრებაზე ტორინ გრინის გვერდით ივარჯიშებს და მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი შეკრების ბოლოს გადაწყვეტს, ევრობასკეტზე გრინი ითამაშებს, თუ ჰეინესი. თუმცა, არ არის გამორიცხული, ლიტვაში ორივე ნატურალიზებული წაიყვანოს და კონკრეტული მატჩის განაცხადში ის შეიყვანოს, ვინც დასჭირდება. არის მეორე ვარიანტიც: თუ ფიბამ ევრობასკეტზე განაცხადი შეზღუდა და 14-ის ნაცვლად 12 კალათბურთელი დაუშვა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ერთი ნატურალიზებული ამერიკელი სულაც ნაკრების გარეშე დარჩეს.



საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მარკეს ჰეინესამდე ისრაელის “მაქაბის“ ლიდერის, ჯერემი პარგოს დამატება სურდა, მაგრამ ბოლოს ამერიკელისგან უარი მიიღო. პარგო ევროპაში მოთამაშე ამერიკელთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა და საქართველოს ნაკრებში მისი ხილვა ნებისმიერ ჩვენგანს გაახარებდა, მაგრამ როგორც გვითხრეს, მან კონტრაქტი ისევ „მაქაბისთან“ გააფორმა და საქართველოს პასპორტი აღარ დასჭირდა. და საერთოდაც, კალათბურთელთა ნატურალიზება, ძირითადად ამ ფაქტის გამო ხდება. მარკეს ჰეინესსაც სჭირდებოდა ჩვენი ქვეყნის პასპორტი. ამას ესპანურ გამოცემა “ლა პროვინციაში“ გამოქვეყნებული სტატიაც მოწმობს, რომლის სათაურია: “ჰეინესი ევრობასკეტის მონაწილე ქვეყნის პასპორტს ელის“. საქმე ისაა, რომ საფრანგეთში გატარებული შედეგიანი სეზონის შემდეგ მისი გადაბირება „გრან კანარიამ“ გადაწყვიტა, მაგრამ სიტუაციას ართულებდა ესპანეთის ჩემპიონატში არსებული ლიმიტი ამერიკელებზე.

როგორც კი გაირკვა, რომ მარკეზი საქართველოს ნაკრებში ითამაშებდა, კანარელებმაც ულაპარაკოდ აიყვანეს. იგი ესპანეთის ჩემპიონატში ევროპელის სტატუსით ითამაშებს. ასე რომ, ჰეინესს გაქართველება კარიერული წინსვლისთვის სურდა. საინტერესოა, რა სარგებელს მოუტანს იგი ჩვენს ნაკრებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ნაადრევია.

მარკესის პროგრესის შემყურეთ უკვე გვაქვს იმედი, რომ ნაკრებისთვის უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე ტორინ გრინი. მით უმეტეს, რომ ტორინმა გასულ სეზონში საქართველოს ნაკრების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა. საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში აღნიშნავენ, რომ ჰეინესი გრინზე ნაკლები არ არის. მას აქვს თავისი პლუსები: თანაბრად კარგად შეუძლია როგორც მსროლელის, ასევე გამთამაშებლის პოზიციაზე თამაში. საქართველოს ნაკრების მწვრთნელს არჩევანის საშუალება ექნება: თუ დასჭირდება, ჰეინესს პირველ ნომრად ათამაშებენ, ან — მეორე ნომრის პოზიციაზე. კანარებზე ჩასულმა ჰეინესმა საკლუბო კარიერაზეც ილაპარაკა და საკუთარ პლუს-მინუსებზეც, რომელიც იმავე ჟურნალ „ლა პროვინციაში“ გამოქვეყნდა:

— მოხარული ვარ, „გრან კანარიას“ დონის გუნდში თამაშის საშუალება რომ მომეცემა. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა და ვეცდები, დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გავართვა. ჩემი სათამაშო სტილი მარტივია: შემიძლია გამთამაშებლობაცა და მსროლელობაც. ჩემთვის მნიშვნელოვანია რეალიზების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, ვიდრე ბევრი ტყორცნა. ასევე ვმუშაობ იმ კომპონენტების დახვეწაზე, რაც გუნდური თამაშისთვისაა საჭირო. მიყვარს საკუთარი ფიზიკური ძალის გამოყენება როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში.

### მარკიზ ჰეინესი

**დაიბადა:** 19 დეკემბერი, 1986

**სიმაღლე:** 190 სმ

**წონა:** 84 კგ

**პოზიცია:** გამთამაშებელი/მსროლელი

**კლუბი:** გრან კანარია (ესპანეთი)

კარიერა:

**2005-2006** ბოსტონის კოლეჯი (ნცაა) 32 თამაში: 2.5 ქულა, 1.0 პასი

**2006-2007** ბოსტონის კოლეჯი (ნცაა) 33 თამაში: 3.8 ქულა, 1,7 პასი

**2008-2009** ტეხას არლინგტონი (ნცაა, სასტარტო ხუთეული) 30 თამაში 16.5 ქულა, 5.1 მოხსნა, 3.4 პასი, 1.2 ჩაჭრა. ორქულიანების პროცენტულობა: 47.4 %, სამქულიანები: 34.6 %

**2009-2010** ტეხას არლინგტონი (ნცაა, სასტარტო ხუთეული) 30 თამაში 22.6 ქულა, 4.3 მოხსნა, 3.7 პასი, 1.5 ჩაჭრა. ორქულიანების პროცენტულობა: 48.3 %, სამქულიანები: 40.9 %

**2010-2011** შალონი (საფრანგეთი) 33 თამაში: 14.3 ქულა, 2.2 მოხსნა, 3.9 პასი, 1.5 ჩაჭრა. ორქულიანების პროცენტულობა: 50.3 %, სამქულიანები: 38.3 %

### მიღწევები:

სამხრეთ კონფერენციის (ნცაა) მეორე სიმბოლური ხუთეული 2009

სამხრეთ კონფერენციის (ნცაა) პირველი სიმბოლური ხუთეული 2010

სამხრეთ კონფერენციის (ნცაა) საუკეთესო მოთამაშე 2010

საფრანგეთის ლიგის თასის ფინალისტი 2011

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ანდრე ვილაშ-ბოაში: „მოუთმენლად ველი ახალ სეზონს“

**ლონდონის „ჩელსის“ მთავარ მწვრთნელად 33 წლის პორტუგალიელი სპეციალისტის, ანდრე ვილაშ ბოაშის დანიშვნის შემდეგ, სტემფორდ ბრიჯელთა მიმართ გულშემატკივართა დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდა. სეუ ანდრეს დამრიგებლობით „პორტუმ“ შედეგსაც მაღალს მიაღწია და მაყურებელს სოლიდურ, დაბალანსებულ თამაშს უჩვენებდა. ლონდონური კლუბის მესვეურები ვილაშ ბოაშისგან ჩემპიონთა ლიგის მოგებას ითხოვენ. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ, მოახერხებს თუ არა იგი იმის მიღწევას, რაც ჟოზე მოურინიოს, გუუს ჰიდინკს, ავრამ გრანტს და კარლო ანჩელოტის არ გამოუვიდათ.**

*— თავბრუდამხვევი სამწვრთნელო კარიერა გაქვთ. თავად თუ ელოდით, მოკლე ხანში ამგვარ წარმატებას რომ მიაღწევდით?*

— ამაზე არასდროს ვფიქრობ. ჩემთვის ფეხბურთი უმთავრესად ერთი მოქმედი პირის, მწვრთნელის სამოქმედო არეალი არაა. მაღალი კლასის ფეხბურთელების ჰარმონიული კავშირის გარეშე დამრიგებელი ვერაფერს გახდება.

*— სამწვრთნელო საქმიანობის დაწყება სერ ბობი რობსონმა გირჩიათ. როგორ გგონიათ, რა რეაქცია ექნებოდა მას, როდესაც შეიტყობდა, „ჩელსის“ მთავარ მწვრთნელად რომ დაინიშნეთ?*

— ყველამ კარგად იცის, რა როლი შეასრულა რობსონმა ჩემ მწვრთნელად ფორმირებაში. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. იგი ინგლისური ფეხბურთის ქომაგი იყო, ამიტომაც გაუხარდებოდა, მისი მოსწავლე „ჩელსის“ სამსახურში რომ ჩადგა.



*— „ჩელსი“ ისეთივე სქემით იასპარეზებს, როგორითაც „პორტუ“ თამაშობდა?*

— ამგვარი კითხვის დასმა არაკორექტულად მიმაჩნია. თავისთავად ფეხბურთის მატჩი ქაოტურად და არითმიულად მიმდინარეობს, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში, მინდორზე მოვლენები სხვაგვარად ვითარდება, ვიდრე ეს თამაშის დაწყებამდე იყო დაგეგმილი. მთავარია, მოთამაშეები ცვლილებებს მომენტალურად ულებდნენ ალღოს. ერთი ადამიანის, თუნდაც მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებები ბევრს არაფერს ნიშნავს, თუკი ფეხბურთელს მოტივაცია, ამბიცია და საკუთარი ძალისადმი რწმენა არ ექნა. სწორედ ამ თვისებების გაღვივებაა ჩემი უმთავრესი მიზანი.

*— გსურთ დაგვარწმუნოთ, რომ სამწვრთნელო ინოვაცია მეორეხარისხოვანია?*

— დამრიგებელმა ალღო უნდა აუღოს კლუბსა და გუნდში შექმნილ მდგომარეობას. რაღაც ერთი, ხისტი მეთოდი არ არსებობს. ყოველთვის ახალი მიდგომის გამოყენებაა აუცილებელი. ინგლისური პრემიერლიგის სტანდარტები განსხვავდება პორტუგალიის ჩემპიონატისგან. ნისლიან ალბიონზე უფრო მაღალი მოთხოვნებია და შევეცდები, ინგლისურ ფეხბურთს ფეხი მწყობრად ავუბა.

*— ფეხბურთელებთან ურთიერთობა თუ მოასწარით?*

— რამდენიმე მათგანს გავესაუბრე. მოხარული ვარ, ისინი გულლიად რომ დამხვდნენ და მაგრძნობინეს, ჩემი იმედი რომ აქვთ. ყველანი კარგ ხასიათზე ვართ და მოუთმენლად ველით ახალი სეზონის სტარტს. გუნდის ერთ მუშტად შეკვრას მოვახერხებთ და პირველივე მატჩებიდან მაყურებელს ჟინიან ფეხბურთს ვუჩვენებთ.

*— წინასასეზონო მზადება უკვე დაგეგმეთ?*

— ლონდონში სამწვრთნელო შტაბით ჩამოვედი, რომელსაც ახალი სეზონისთვის გუნდის მომზადების პრინციპები შემუშავებული აქვს და მის შეცვლას არ ვაპირებთ. ფეხბურთი უპირველესად თამაშია, რომელიც სპორტსმენების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ტექნიკურ მზადყოფნას მოითხოვს. საამისოდ კი მაქსიმალური დატვირთვით ვარჯიშია აუცილებელი. წინასასეზონო მზადების მიზნით აზიაში გავემგზავრებით. ეჭვიც არ მეპარება, იქ წვრთნის იდეალურთან მიახლოებული პირობები დაგვხვდება.

*— „ჩელსის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობას უკვე შეუდექით, თუმცა, ფეხბურთელები ჯერ შვებულებიდან არ დაბრუნებულან.*

— საკმარისზე მეტი საკითხია გადასაჭრელი კლუბის გავლენიან მუშაკებთან. არ მგონია, რომელიმე პრინციპულ საკითხში თანამოაზრეები არ გავხდეთ.

*— რამდენიმე პირადულ კითხვა: „ჩელსიში“ უწინდელი მუშაობისას ლონდონის ცენტრში ცხოვრობდით. ახლაც ასე იქნება?*

— დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ნებისმიერი წერტილი უმაღლეს საცხოვრებელ პირობას აკმაყოფილებს. ჩემი ოჯახის წევრები სიამოვნებით დაბრუნდებიან ლონდონში საცხოვრებლად. მათთან მოთათბირების შემდეგ გადავწყვეტთ, სად დავსახლდებით. პირადად მე, ცენტრში ცხოვრება მიყვარს. არ მგონია, ახლობლებმა წინააღმდეგობა გამიწიონ.

*— მოტოსპორტი კვლავ თქვენი გატაცებაა?*

— ფეხბურთისგან თავისუფალ დროს ყველაზე მეტ დროს მოტოციკლეტით „ჯირითს“ ვუთმობ. როგორც ფეხბურთში, ამ დროსაც ყურადღების მოდუნება ერთი წამითაც არ შეიძლება. მოტოსპორტი ჩემი ჰობია და მას არასდროს ვუღალატებ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტრე ფიორი-ვალეტა ........ 0:3
სანტა კოლომა-დუდელანჟი ........ 0:2

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

ბრეი-დანდალკი ........ 1:5

**ირლანდია. ლიგის თასი**

ლიმერიკი-მონოგანი ........ 5:0

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

ბარტოლი-ლისიცკი ........ 4:6;7:6;1:6
შარაპოვა-ციბულკოვა ........ 6:1;6:1
კვიტოვა-პირონკოვა ........ 6:3;6:7;6:2
აზარენკო-პაჩეკი ........ 6:3;6:1

სპორტი

# „დინამოს“ ესპანელთა პირველი შთაბეჭდილებები

თბილისის “დინამოში” პირველად ივარჯიშეს ესპანელმა ახალწვეულებმა — ალბერტ იაგუე ხიმენესმა და კარლეს კოტომ. მესამე ესპანელი, ყველაზე ცნობილი ხისკო თბილისში გუშინ სდილით ჩამოვიდა.

ორკარას დროს ალბერტ იაგუე ხიმენესი თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექს გარსიამ ცენტრალურ თავდამსხმელად ათამაშა, კარლეს კოტო კი, მარჯვენა ფლანგის შემტევად. კოტო ვარჯიშზე დაშავდა, თუმცა იმედოვნებს, რომ სერიოზული არაფერია. მოლდოვურ „მილსამისთან“ პირველ შეხვედრას ის მაინც ვერ ჩაატარებს. სამაგიეროდ, როგორც გვითხრეს, თავდასხმაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, თუ დამატება მოესწრო, განაცხადში ხიმენესი იქნება.

კარლეს კოტო ბოლოს თემურ ქეცბაიას ყოფილ კლუბ ფამაგუსტას „ანორთოსისში“ თამაშობდა. ცხადია, უპირველესად მისი ჩამოსვლის მოტივი გვაინტერესებდა.

— „ანორთოსისთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და ჩემი განვითარებისა და მომავლისთვის „დინამოში“ თამაში უკეთესი იქნებოდა. თანაც, მითხრეს, რომ გუნდში საინტერესო პროექტი დაიწყო და ამანაც მიმიზიდა. როდესაც კლუბი შენით ინტერესდება, ცხადია, შენც უნდა გაიგო, სად მიდიხარ. აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ ძველი და დიდი ტრადიციების კლუბში მოვდიოდი, რომელიც ადრე ევროპაში ერთერთი საუკეთესო იყო. ამან ძალიან გამახარა.

ალბერტ იაგუე ხიმენესი „ესპანიოლის“ გაზრდილია, მაგრამ თავდამსხმელი ჯერ სეგუნდა დივიზიონის კლუბებში გაანათხოვრეს, ბოლოს კი სეგუნდა ბ დივიზიონის „კულტურალ ლეონესაში“ თამაშობდა. ფეხბურთელს კარიერა 2008 წელს აერია, როდესაც ტრავმა მიიღო. ხიმენესი ამბობს, რომ ტრავმით გამოწვეული პრობლემები წარსულს ჩაბარდა და გასულ სეზონში ფორმა აღიდგინა:

— 2008 წელს მეორე დივიზიონის “ეიბარში” მიღებული ტრავმის გამო დრო გამიცდა, მაგრამ მერე ორი სეზონი „კულტურალ ლეონესაში“ ვთამაშობდი. მართალია, ბოლო სეზონი არც ისე შედეგიანი იყო ჩემთვის, ბევრი არ გამიტანია, მაგრამ მთავარია, რომ ფორმა აღვიდგინე. იმედი მაქვს, ახალ გუნდს მალე შევეჩვევი. გარემოს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, ამ კუთხით პრობლემა არ შემექმნება. ჩამოსვლამდე ინტერნეტში „დინამოს“ რამდენიმე თამაში ვნახე, ქალაქითაც დავინტერესდი და ჩემთვის მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ საინტერესო გუნდსა და ლამაზ ქალაქში მოვდიოდი. ცხადია, მარტო ინტერნეტით შთაბეჭდილებას ვერ შევიქმნი, ჯერ ბევრი არაფერი ვიცი. იმედია, დრო მექნება და თბილისს დავათვალიერებ. სხვათა შორის, მოედანიც მომეწონა და მთლიანად სტადიონიც. არ მეგონა, „დინამო“ ასეთ ლამაზ სტადიონზე თუ თამაშობდა. სამწუხარო იქნება, ტრიბუნები ბოლომდე თუ არ შეივსება.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# მთაწმინდელი ბომბორა იუბილარია

*ეკა ირემაშვილი*



30 ივნისს ყველა პატარასთვის განსაკუთრებულად საყვარელი ზღაპრის პერსონაჟი დევი ბომბორა, რომელმაც ბინა მთაწმინდის პარკში დაიდო, იუბილარია. ბომბორა და მისი მეგობრები, გმირები სხვადასხვა ზღაპრებიდან, ვარდების მოედნიდან ღია ავტობუსით დაძრებიან თბილისის ქუჩებში და სტუმრებს დაბადების დღეზე მიიწვევენ.

როგორც მთაწმინდის პარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი შორენა ცხოვრებაშვილი აცხადებს, თბილისის ქუჩების მოვლის შემდეგ, ბომბორა და მისი მეგობრები დაბრუნდებიან მთაწმინდის პარკში, სადაც ქართული ქუჩის ეზოში გაიჭრება სადღესასწაულო ტორტი, ზღაპრის გმირები ტკბილეულობით პარკის სტუმრებს გაუმასპინძლდებიან. ბომბორა თავის სტუმრებთან ერთად გადაინაცვლებს მთაწმინდის პარკის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ბავშვებს გაართობენ „მულტი-პულტის სამყაროს“ გმირები. მთაწმინდის პარკის ცენტრალურ მოედანზე ბომბორას დაბადების დღის აღსანიშნავად კონცერტს საბავშვო ანსამბლი „ბზიკების სტუდია“ გამართავს. დღესასწაულის დასასრულს კი, მთაწმინდის პარკის ცენტრალურ მოედანზე გაიმართება საბავშვო ანსამბლ „1, 2, 3“-ის კონცერტი.

— თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, მთაწმინდის პარკში იუბილარ ბომბორას მეგობრებსა და სტუმრებს კიდევ ბევრი სიურპრიზი ელოდებათ, რომელთა დასახელებისგანაც თავს შევიკავებთ. დევი ბომბორას იუბილეზე ველოდებით ყველა პატარას და ვპირდებით, რომ მათთვის ეს დღე ნამდვილად დაუვიწყარი იქნება, — განაცხადა შორენა ცხოვრებაშვილმა.

# ეროვნულმა არქივმა 1.400 ფურცელი აღადგინა

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში 2011 წლის 6 თვეში სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა — 14.232 ფურცელს, 1.841 ფოტოპოზიტივს, 91 ტექნიკურ ნახაზს. რესტავრირებულ დოკუმენტებს შორის არის ძველ საბუთთა განყოფილების 236 ფურცელი, მათ შორის, ეტრატზე შესრულებული დოკუმენტები, მეფეთა სიგელები, წყალობის წიგნები. ამავე პერიოდში რესტავრაცია ჩაუტარდა ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების საქმეების 2.282 ფურცელს და 8 აფიშას.

რესტავრატორებმა აღადგინეს ცნობილი ფოტოგრაფის ნიკოლოზ საღაძის კოლექციის ფოტოების ორი ალბომი (1841 ფოტო), სადაც წარმოდგენილია მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისში, ალექსანდრე მიხაილოვის ფოტოატელიეში გადაღებული ეთნოგრაფიული ხასიათის სურათები. 2011 წლის ბოლომდე კიდევ დაგეგმილია ორი ფოტოალბომის რესტავრაცია, რითაც საღარაძის კოლექციაზე 2010 წელს დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოები დასრულდება.

ეროვნული არქივი საერთაშორისო კონფერენციაშიც იღებს მონაწილეობას. „ევროპის საარქივო პორტალისა“ და შვედეთის ეროვნული არქივის ორგანიზებულ ღონისძიებაში „საკომუნიკაციო საარქივო მეტამონაცემები“, რომელიც სტოკჰოლმში გაიხსნა, მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების წარმომადგენელი ზვიად მელქაძე. კონფერენციაზე განხილული იქნება საარქივო დოკუმენტების ელექტრონული აღწერის ევროპული სტანდარტები, გაიმართება სამუშაო შეხვედრები სტანდარტების დანერგვის მექანიზმების შესახებ. პროექტის მიზანია, შექმნას ერთიანი ვებპორტალი, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ევროპულ ნაციონალურ არქივებში დაცული დოკუმენტების შესახებ, რაც გააიოლებს საერთაშორისო საზოგადოების ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული არქივის დოკუმენტებთან. სწორედ ზემოხსენებული აღწერების მიხედვით შეიქმნება ელექტრონული კატალოგები არქივებში დაცულ დოკუმენტებზე. დოკუმენტების აღწერის ევროპული სტანდარტების დანერგვით საქართველოს ეროვნული არქივი კიდევ უფრო დაუახლოვდება ერთიან ევროპულ საარქივო სისტემას და გაამარტივებს ევროპელი მკლევრებისათვის ეროვნულ საარქივო ფონდში დაცულ დოკუმენტებთან მუშაობას. კონფერენცია მუშაობას 30 ივნისს დაასრულებს.




## პენიტენციურ სისტემაში აფთიაქები განთავსდება

გლდანის მერვე და კიდევ სამ დაწესებულებაში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი აფთიაქი ამოქმედდა. პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით, მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს ეგრეთ წოდებული „წამლის სამარაგოების„ ნაცვლად სამოქალაქო სექტორთან გათანაბრებული ლიცენზირებული აფთიაქები იარსებებს, — აცნობეს „მედიანიუსს“ სასჯელაღსრულების სამინისტროდან. ამჟამად სისტემაში უკვე 9 ლიცენზირებული აფთიაქი ფუნქციონირებს.

*მედიანიუსი*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული პარფიუმერულ-კოსმეტიკური ფირმა; 2. სურნელოვანი ყვავილი; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. საშობაო სიმღერა; 6. არქიტექტურული ნაგებობების მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 8. პლაჟი რიო-დე-ჟანეიროში; 10. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 12. მოხსენების სტატიის მოკლე შინაარსი; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 16. მუზეუმი მადრიდში.

**თარაზულად:** 1. მდინარე პრაღაში; 4. სხვადასხვა ოპერებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტებიდან შექმნილი იტალიური კომიკური ოპერა; 7. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 9. ბოშათა წინამძღოლი; 11. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. ჰერალდიკაში, მოკლე წარწერა გერბზე; 17. მაკედონიის დედაქალაქი; 18. ემილ ზოლას რომანი; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. იტალიელი კინორეჟისორი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დოფინი; 2. ვენერა; 3. კაზმი; 5. კოლი; 6. ჩედერი; 8. იშხანი; 11. ხაბიზგინა; 13. ზარნაშო; 14. კათედრა; 15. თაიგული; 19. თული.

**თარაზულად:** 1. დუბროვნიკი; 4. ოჩოკოჩი; 7. ფრიმანი; 9. მარშალი; 10. შხარა; 12. ბიატლონი; 16. ჩიხირთმა; 17. კრუზადო; 18. ხევსურეთი; 20. ნუსხური; 21. რომა; 22. ბრიფინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იკაო; 2. ნიყვი; 3. უჯარმა; 5. ზვარე; 6. ლიმუზინი; 8. იქთიოლოგია; 10. აგრესია; 12. დელფინი; 14. სკვერი; 15. სუმიდა; 16. იჯარა.

**თარაზულად:** 1. იადონი; 4. იზაბელა; 7. ჯოყოლა; 9. მოხერი; 11. ათაბაგი; 12. დონჟუანი; 13. ქემელი; 17. კაკადუ; 18. აგრა; 19. ინანთეული; 20. კავასაკი.

# დღის კალენდარი

## 30 ივნისისთვის



წლის 171-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 194 დღე.

## საეკლესიო კალენდარი

მე-3 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ხუთშაბათი

ხსენება წმიდა მოწამეთა: მანუელ, აბელ და ისმაილისა (362); მოწამე შალვა ახალციხელისა (1227).

წმიდა მოწამე შალვა სიმამაცისა და ვაჟკაცობის გამო წმიდა მართლმორწმუნე თამარ დედოფალმა ახალციხის მმართველად დანიშნა. მისი მთავარსარდლობით ქართულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის სულთანი რუქნადინი, რამაც საქართველოს ძლიერება და მსოფლიო ავტორიტეტი შემატა.

რუსუდან დედოფლის მეფობისას საქართველოს ხორეზმშაჰი ჯალალ-ედ-დინი შემოესია. უთანასწორო ბრძოლაში თავადი შალვა ახალციხელი მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა.

ჯალალ-ედ-დინმა შალვა დიდი პატივით მიიღო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როდესაც ის გამოჯანმრთელდა, ისლამის მიღება მოსთხოვა და თანამდებობას შეჰპირდა. ქრისტეს რაინდმა დაპირებული დიდება უარყო და მას არც საშინელი ტანჯვის შეშინებია. განრისხებული შაჰის ბრძანებით იგი შეიპყრეს და სასტიკად აწამეს. წმიდა მოწამე 1227 წლის ივნისის თვეში გარდაიცვალა.ამის შემდეგ ჯალალ-ედ-დინმა კიდევ ერთხელ ილაშქრა საქართველოზე. თბილისს მოახლოებულ მტერს გმირულად დახვდა ქართული ლაშქარი, მაგრამ ქალაქელი მაჰმადიანების გამცემლობის შედეგად დამარცხდა. თბილისი მტერს ჩაუვარდა.

შაჰმა წმიდა ღვთისმშობლის სახელობის სიონის კათედრალური ტაძრის გუმბათის ჩამოღება ბრძანა, რომლის ადგილზეც თავისი კარავი დადგა, რათა აღებული ქალაქისთვის და ქრისტიანთა წამებისთვის ეყურებინა. ტყვე ქართველებს ქრისტიანობის განდგომისა და მტკვარზე გადებულ ხიდთან დალაგებული წმიდა ხატების შეურაცხყოფისათვის სიმდიდრე და თავისუფლება შესთავაზეს. მაგრამ ქრისტიანები თითო-თითოდ მიდიოდნენ წმიდა ხატებთან და თაყვანს სცემდნენ მათ. იქვე მდგარი ჯალათები მათ ხოცავდნენ. ასე ეწამა აღმსარებელი 100 000 ქართველი ქრისტეს.

ღამით ხიდის თავზე სინათლის სვეტი ჩამოეშვა და ქრისტესათვის წამებულთა ნაწილები გაანათა. ამას მოჰყვა საშინელი მიწისძვრა, რომლის დროსაც უწმინდური შაჰის კარავი სიონის ტაძრის სახურავიდან გადმოვარდა.

100 000 თბილისელი მოწამის ხსენება შალვა ახალციხელის ხსენებასთან ერთად ხდება.

### დაიბადნენ:

1685 — ჯონ გეი, ინგლისელი პოეტი და დრამატურგი. გარდაიცვალა 1732 წელს.

1812 — მირზა-ფატალი ახუნდოვი, აზერბაიჯანელი მწერალი, ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1896 წელს.

1928 — გიორგი ჩიქოვანი, ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1968 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1971 — ვლადისლავ ვოლკოვი, საბჭოთა კოსმონავტი.

1971 — ვიქტორ პაცაევი, კოსმონავტი.

### მოვლენები:

1792 წელი — პარიზში „რკინის არმიის საბრძოლო სიმღერით“ შევიდა მარსელის მოხალისეთა ბატალიონი, რის შემდეგაც სიმღერას დაერქვა „მარსელიეზა“.

1907 წელი — დაფუძნდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.

1908 წელი — ჩამოვარდა ტუნგუსის მეტეორიტი, რის შედეგადაც აღმოსავლეთ ციმბირში განადგურდა 2000 კვ. კმ ტყის ფართობი.

1910 წელი — სატელეფონო კავშირი დამყარდა ევროპასა და სამხრეთ ამერიკას შორის.

1941 წელი — საბჭოთა კავშირში შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი სტალინის ხელმძღვანელობით.

1971 წელი — დაშვების დროს მარცხი განიცადა საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა „სალიუტმა“, სადაც იმყოფებოდნენ კოსმონავტები ვოლკოვი, დობროვოლსკი და პაცაევი. სამივე კოსმონავტი დაიღუპა.

1985 წელი — იულ ბრინერმა უკანასკნელად შეასრულა თავისი როლი ბროდვეის დადგმაში „მე და მეფე“. პიესა 34 წელიწადი არ ჩამოსულა სცენიდან, ხოლო ბრინერმა 4600 ჯერ შეასრულა თავისი როლი.

### ღირსსახსოვარი დღეები:

გვატემალა „ არმიის დღე.

სუდანი — ეროვნული რევოლუციის დღე.

კონგო — დამოუკიდებლობის დღე

*მედიანიუსი*

# დავით გამყრელიძე ჯონ მაკკეინს შეხვდა

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი, დავით გამყრელიძე აშშ-ში ვიზიტს განაგრძობს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, გამყრელიძე ვაშინგტონში საერთაშორისო დემოკრატიული კავშირი-მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიების მსოფლიო გაერთიანება აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობს. ღონისძიებას ამერიკის რესპუბლიკური პარტია„ მასპინძლობს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დავით გამყრელიძის ორმხრივი შეხვედრები როგორც ამერიკის რესპუბლიკური პარტიის„, ისე ევროპული მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებთან.

საუბარი ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს, კერძოდ, მაღალ ინფლაციასა და ბაზრის მონოპოლიზირების სახიფათო ტენდენციებს შეეხო.

დავით გამყრელიძე საქართველოში 1 ივლისს დაბრუნდება.

**ინტერპრესნიუსი**

# კირთაძე ათენში გაემგზავრა

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ საერთაშორისო მდივანი ნესტან კირთაძე ათენში სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭოს სხდომაში მიიღებს მონაწილეობას.



სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭოს სხდომა 1-2 ივლისს გაიმართება. მას მასპინძლობას საბერძნეთის პრემირ-მინისტრი, სოციალისტური ინტერნაციონალის პრეზიდენტი, გეორგიუს პაპანდრეუსი გაუწევს.

ათენში დაგეგმილ სოცინტერნის საბჭოს სხდომაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური და ლეიბორისტული პარტიების მმართველი და ოპოზიციური ლიდერები მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის, სახელმწიფოთა მეთაურები და წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები.

ათენის საბჭოს სხდომის ფარგლებში დაგეგმილია ნესტან კირთაძის ორმხრივი შეხვედრები ინგლისის ლეიბორისტულ, საფრანგეთის სოციალისტურ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ, შვედეთის, ავსტრიის, რუსეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებთან. ასევე, ევროპარლამენტის სოციალისტური ფრაქციის წარმომადგენლებთან.

ასევე შეხვედრა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან გეორგიუს პაპანდრეუსთან შედგება.

ნესტან კირთაძე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების წარმომადგენლებთან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ საუბარს და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ საარჩევნო ინიციატივების გაცნობას გეგმავს.

**ინტერპრესნიუსი**

# რეფერენდუმით მიღებული ნორმის რეფერენდუმითვე შეცვლა კანონის მოთხოვნაა

რეფერენდუმით მიღებული ნორმის რეფერენდუმითვე შეცვლა კანონის მოთხოვნაა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ირაკლი ჩიქოვანმა განუცხადა.

მისი თქმით, მიიჩნევს, რომ პარლამენტის წევრთა რაოდენობის შეცვლა რეფერენდუმის საკითხია და საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ხალხი ინებებს.

რაც შეეხება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მუშაობის გაგრძელებას, ჩიქოვანის განცხადებით, მიაჩნიათ რომ საარჩევნო კოდექსში შესაცვლელი ჯერ კიდევ ბევრია და ამისთვის ბრძოლას სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად გააგრძელებენ.

„ნაციონალური მოძრაობისა“ და რამდენიმე პარტიას შორის გაფორმებული საარჩევნო შეთანხმების თანახმად, პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-იდან 190-მდე უნდა გაიზარდოს. პარლამენტართა რაოდენობა 235-იდან 150-მდე 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად შემცირდა.

„რეფერენდუმის შესახებ“ კანონის თანახმად, “რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით; რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით“.

**ინტერპრესნიუსი**

# მოქვის სახარების გადასარჩენად აუქციონი ჩატარდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჯრუჭის I ოთხთავი და ვანის სახარება, „ვეფხისტყაოსანი“. ეგვიპტელი სტუმარი გაეცნო უძველეს უცხოენოვან ხელნაწერებს. ალექსანდრიის უნივერსიტეტის პროფესორის დიდი ინტერესი გამოიწვია XIV-XVIII საუკუნეებით დათარიღებულმა საღვთისმეტყველო და სამედიცინო ხასიათის არაბულმა ხელნაწერებმა. სტუმარმა ცენტრის ადმინიასტრაციასთან ერთად სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და თანამშრომლობის გზები დასახა.

ამერიკის სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები, დამოუკიდებელი მკვლევრები და ექსპერტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეწვივნენ. მათ შორის იყვნენ ჰილის მუზეუმისა და ხელნაწერთა ბიბლიოთეკის დირექტორი, მინესოტის უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელი, მინესოტის საისტორიო საზოგადოების ხელმძღვანელი. სტუმრებმა დაათვალიერეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მუდმივმოქმედი ექსპოზიცია, სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ქართული საერო და სასულიერო ხელნაწერი წიგნების მნიშვნელოვანი ნუსხების ასლები VII საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით. უცხოელმა ექსპერტებმა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციასთან სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს და თანამშრომლობის გზები დასახეს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ირანის დელეგაცია სტუმრობდა. ირანელ სტუმრებს მასპინძლობა ფონდების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შალვა გლოველმა და გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის მეცნიერ თანამშრომელმა ლელა ქურდაძემ გაუწიეს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა სტუმრებს ილია აბულაძის სახელობის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი მუდმივმოქმედი გამოფენა და სპეციალურად მათთვის მოწყობილი მინიგამოფენა — ერთ საგამოფენო სტენდში მოთავსებული სპარსული ხელნაწერები დაათვალიერებინეს. ირანის დელეგაცია განსაკუთრებით სპარსული ხელნაწერებით დაინტერესდა. ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბატონ აი უბის თქმით, ორგანიზაცია დაინტერესებულია საქართველოსა და ირანს შორის კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებით. ბატონმა აი უბიმ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შესთავაზა ცენტრის ამავე ორგანიზაციასთან არსებულ კულტურული თანამშრომლობის პროგრამაში ჩართვა. ვიზიტის ბოლოს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისგან, სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა მის მიერ გამოაცხადებული საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგები. კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას. კომისიამ განიხილა თითოეული განაცხადი, შეაფასა ისინი გამოავლინა გამარჯვებული პროექტები, მათ შორის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტი — საერთაშორისო კონფერენცია „უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა“. კონფერენცია 20-24 სექტემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება.

საფრანგეთის „წარწერათა და სიტყვაკაზმული მწერლობის აკადემიამ“ უცხოელ წევრ-კორესპონდენტად კავკასიის სამწერლობო კულტურათა სპეციალისტი ზაზა ალექსიძე აირჩია. „საფრანგეთის ინსტიტუტი“ შედგება 5 აკადემიისაგან, ამათგან „წარწერათა და სიტყვაკაზმული მწერლობის აკადემია“ დაარსდა 1663 წელს. მისი წევრები არიან ფრანგი აკადემიკოსები, უცხოელი ასოცირებული წევრები, ფრანგი წევრ-კორესპონდენტები და უცხოელი წევრ-კორესპონდენტები. აკადემია თავის წევრებად ირჩევს მის კომპეტენციაში შემავალ სფეროებში (არქეოლოგია, ისტორია, ენათმეცნიერება, ფილოლოგია და მათი მრავალი განშტოება) განსაკუთრებული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს, რომელთა შრომებსაც საერთაშორისო აღიარება აქვს მოპოვებული. „წარწერათა და სიტყვაკაზმული მწერლობის აკადემიის“ ფრანგი წევრები იყვნენ ფრანსუა შამპოლეონი (ეგვიპტოლოგი), შარლ დილი (ბიზანტინისტი) და ანტუან მეიე (ენათმეცნიერი). უცხოელი წევრკორესპონდენტები: თეოდორ მომზენი (ისტორიკოსი) და ბორის პიოტროვსკი (არქეოლოგი). დღეს მოქმედი უცხოელი წევრ-კორესპონდენტია კირილ მანგო (ბიზანტინსტიკა).

ბაკურიანში თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის სემინარზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ ცენტრში დაცული კულტურული მემკვიდრეობისა და ხელნაწერთა კოლექციისადმი დროსთან შესაბამისი მიდგომების აუცილებლობაზე ისაუბრა. პრეზენტაციაზე სემინარის მონაწილეებმა ბუბა კუდავას საინტერესო შეკითხვები დაუსვეს და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაგეგმილი სამომავლო პროექტების შესახებაც მიიღეს ინფორმაცია. ბუბა კუდავამ მონაწილეებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების საქმიანობის პრინციპები და მიმართულებები გააცნო. ყველაზე აქტუალურ და გადაუდებელ პროექტად კი მოქვის სახარების (1300 წელი, აფხაზეთი) დიაგნოსტიკა დაასახელა. სემინარის მონაწილეებმა ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაიწყო სერთიფიკატის მიღებაზე გასაუბრების კომისიის სხდომების სერია. კომისიის წინაშე სულ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან, 49 სტაჟიორია წარდგენილი. 2010 წლიდან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის ახალი წესი მოქმედებს. იგი დამტკიცებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ბუბა კუდავას ბრძანებით. ეს წესი არეგულირებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლას. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სტაჟირების საშუალებით, სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენის პირობებს. სტაჟირება მიმდინარეობს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებში (დეპარტამენტებში, სამსახურებში, ლაბორატორიებში). სტაჟირება ითვალისწინებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სტაჟირების ახალი სისტემა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამორჩეულია იმითაც, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების სრულყოფის მიზნით, სტაჟიორები ამზადებენ მათი მუშაობის შემაჯამებელ პრეზენტაციას და შემდეგ წარუდგენენ სპეციალურ კომისიას. კურსის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში გაიცემა სერთიფიკატი. იმ სტაჟიორებს, რომელთაც კომისია დადებითად შეაფასებს, სერთიფიკატები 30 ივნისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ.

# ლაგოდეხის ნაკრძალის დასუფთავების აქციაში კერძო სექტორი ჩაერთო

ლაგოდეხის ნაკრძალის დასუფთავების აქციაში კერძო სექტორი ჩაერთო.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს და „პროკრედიტ ბანკის“ ორგანიზებით, ლაგოდეხის ნაკრძალის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია მოეწო. აქციაში პროკრედიტ ბანკის„ და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის 50-მდე თანამშრომელთან ერთად დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი შონვაძე და პროკრედიტ ბანკის„ საქართველოს გენერალური დირექტორი მაია მერედოვა მონაწილეობდნენ. ღონისძიების ბოლოს აქციის მონაწილეებმა ნაკრძალის ვიზიტორთა ცენტრი და საგამოფენო დარბაზი მოინახულეს.

დასუფთავების აქციის მიზანი დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობადობის ამაღლება და ეკო-საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვაა.

მსგავსი ტიპის ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება დაცულ ტერიტორიებზე მომავალშიც გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# 15 წლის მოზარდმა მძიმე დამწვრობა მიიღო

დამწვრობის ცენტრში მძიმე დამწვრობით 15 წლის ქეთევან მარტიაშვილი მკურნალობს. ის საავადმყოფოში გუშინ მოათავსეს.

მოზარდმა უკეთ გარუჯვის მიზნით მზის აბაზანის მიღების შემდეგ კანზე ლეღვის ფოთლის ნახარში წაისვა, რის შედეგადაც კანის უმძიმესი დამწვრობა მიიღო. როგორც „მედიანიუსს“ დამწვრობის ცენტრში განუცხადეს გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისათვის სტაბილურია. მას კანის ზედაპირის 65 პროცენტი აქვს დამწვარი.

**მედიანიუსი**

# *გენადი ონიშჩენკო:* ღორის ჭირი რუსეთში საქართველოდან გავრცელდა

რუსეთის სანიტარიული სამსახურის „როსპოტრებდანზორის“ ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო დარწმუნებულია, რომ რუსეთში ღორის ჭირი საქართველოდან გავრცელდა — იუწყება სააგენტო „ინტერფაქსი“.

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ღორის ჭირი რუსეთში საქართველოდან გავრცელდა. ცხადია, ღორის ჭირი ბიოლოგიური ომი არ არის, მაგრამ შეიძლება, შეფასდეს, როგორც ეკონომიკური დივერსია. იდიოტი უნდა იყო, რომ ბიოლოგიური ომის წარმოებას ეცადო, რადგან ეს შეუძლებელია, — განაცხადა ონიშჩენკომ და დასძინა, რომ ეს დაავადება ადამიანებისათვის სახიფათო არ არის.

**მედიანიუსი**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 30 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** მედ-ინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.05** დოკ. ფილმი "ბრძოლა ევერესტის დასაპყრობად" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** **ფეხბურთი**. ევროლიგა. 1-ლი საკვ. ეტაპი. "დინამო" (თბილისი) – "მილსამი" (მოლდოვა) **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"პარანოია"** (12) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"საღამოს ვარსკვლავი"** (შ. მაკლეინი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ. ფილმი **"გრეისის არჩევანი"** **01.00** მხ. ფილმი **"ბირთვი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობელი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** ჯეოსელის გათამაშება (პირდ.) **22.30** პროფილი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი **"ბარის მოყვარულები"** (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** რემონტი (გან.) **00.30** მხ. ფილმი **"თაფლობის თვე"** (ს. მილერი) (სუბტ.) **02.45** მხ. ფილმი **"24 საათი ტყვეობაში"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.00, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40** სცენა **11.20, 14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **11.50** სერ. **"ორმაგი ცხოვრება"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **21.00** სერ. **"ეს მაფიაა"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ლუარსაბ თათქარიძე"** **13.30** კონცერტი – სასულე მუსიკის ფესტივალი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"წინამორბედი"** **17.30** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.20** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჩიორა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დოკ. ფილმი "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" 1-ლი ნ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.20** კონცერტი – ანასოფია მუთერი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**30 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6544 |
| ევრო | 2,3524 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6464 |
| რუსული რუბლი | 0,0583 |

## ამინდის პროგნოზი 30 ივნისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2§-33, ღამით — 16-21

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 1§-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2§-27, ღამით — 12-17







წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146

## თბილისი ჩემპიონთა ლიგას დაააჭაშნიკებს

**20 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით თბილისი ფუტსალში ჩემპიონთა ლიგის ძირითად ეტაპს უმასპინძლებს.**



ფუტსალის საფეხბურთო კლუბმა „იბერია სტარმა“ განაცხადი ჩემპიონთა ლიგის ძირითადი ეტაპის მასპინძლობაზე შეიტანა და მთავარმა საფეხბურთო ორგანომ ინფრასტრუქტურის შესამოწმებლად თბილისში დესპანი აფრინა — ლორან მორელი, ფუტსალის შეჯიბრებათა მენეჯერი, საქართველოს დედაქალაქში 2 დღე იმყოფებოდა.

მორელმა პირველ რიგში სპორტის სასახლე მოინახულა, შემდეგ სასტუმროებიც ნახა და მხოლოდ ერთი რეკომენდაცია დატოვა — სპორტის სასახლეში საპრესკონფერენციო დარბაზი ისე უნდა იყოს დაშორებული გულშემატკივართა ადგილს, რომ მათ შორის შეხება არ იყოს. ეს კი ყველაზე ადვილად მოსაგვარებელი პრობლემაა.

რაც შეეხება თავად „იბერია სტარს“: გუნდი პირველ კალათაშია განთესილი ესპანეთის, იტალიისა და რუსეთის ჩემპიონებთან ერთად. რეიტინგით კი ევროპაში მე-8 ადგილზეა. კენჭისყრა 6 ივნისს ჩატარდება. გეტყვით იმასაც, რომ მომდევნო დღეს 2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრაც გაიმართება. ეს იმიტომ, რომ დიდი ალბათობით, უეფა ამ ეტაპის მასპინძლობასაც დაგვიდასტურებს.

რეიტინგის გამო, საკვალიფიკაციო ეტაპზე „იბერია“ არ მონაწილეობს და პირდაპირ ძირითადი ეტაპიდან ჩაერთვება. ჯგუფიდან კი 2 გამარჯვებული ელიტრაუნდში გავა, სადაც უკვე ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. თუ შარშანდელ შედეგს გავითვალისწინებთ, როდესაც „იბერიამ“ ელიტრაუნდში იტამაშა და ნახევარფინალში მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ვერ გავიდა, არც წელს არ უნდა გაუჭირდეს ძირითადი ეტაპის დაძლევა.

როგორც გითხარით, ძირითადი ეტაპი 24 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე უნდა ჩატარდეს და კონკრეტულ 4-დღიან ვადას, მასპინძელი ქვეყანა თავად შეარჩევს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ასტროპროგნოზი 30 ივნისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ხალისიანი დღეა**

**ვერძი** — საქმე კარგად წაგივათ, იაქტიურეთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — არ აყვეთ სხვებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **ლომი** — პრობლემა უცებ მოგეხსნებათ, ამაზე იზრუნებენ. **ქალწული** — კარგ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მორიელი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მშვილდოსანი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ოპონენტები გყავთ. **თხის რქა** — კარგ ხასიათზე ხართ, ყველაფერი გეხალისებათ. **მერწყული** — გადაიხალისეთ გარდერობი, სასიამოვნო შეხვედრა გელით. **თევზები** — არ აყვეთ ჭორებს, სიმართლე ხომ ისედაც იცით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

მალე! მალე! მალე!

გაზეთი „ახალი თაობა“ და გამომცემლობა „კლიო“




გთავაზობთ უნიკალურ გამოცემას

საქართველოს 100 ღირსშესანიშნაობა

გაზეთი და წიგნი ერთად 15 ლარი

## იუმორი



— რატომაა, რომ გონებამახვილი ადამიანები უფრო ნაკლები არიან, ვიდრე სერიოზულები?

— იმიტომ, რომ სერიოზულად თავის მოჩვენება უფრო ადვილია...

***

— ქალიშვილს რომ ათხოვებს, ყველა დედა ტირის.

— დედაჩემმა კი თქვა, ვინც წაგიყვანს, იმან იტიროსო...

***

— თუ შეიძლება, მექანიკოსი გამოგზავნეთ, მანქანა არ იქოქება.

— რა დაემართა.

— კარბურატორში წყალი მოხვდა.

— გასაგებია, მანქანა სად არის?

— ნაპირიდან ხუთ მეტრში...

გ. თ.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ქართული ტელეკომპანია; 5. ბუნებრივი მინერალური სალებავი, ჟანგმიწა; 6. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. კბილების დაავადება; 15. ყოველდღიური გაზეთი ავსტრალიაში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო, დამსჯელი ორგანიზაცია მე-13-19 საუკუნეში; 4. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მე-10 საუკუნეში; 7. პრივილეგირებული მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 9. კინოკომედია „არ დაიდარდოს“ კინორეჟისორი; 10. ფინეთის პარლამენტი; 12. მონასტერი კახეთში; 16. ძველბერძენი ისტორიკოსი; 17. მოიერიშე ამერიკული სამხედრო ვერტმფრენების სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 22. მოწინაალმდეგე კამათში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

